# საერთო გაზეთი

№24 (336) ● 1 ივლისი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი


**სოსო მანჯავიძე:**

## სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი ახდა – ისლამური სახელმწიფო საქართველოსკენ მოიწევს!



## „კაბელების საქმე“, რომელიც, სინამდვილეში, სულაც არ არის მხოლოდ კაბელების საქმე...



## ოცდაათ ვერცხლად გაყიდულები

მოდელირებული საგიჟეთი და „რუსთავი-2“ — ლაბორატორია, რომელიც ფსიქიურ ეპიდემიას ავრცელებს

## ერისთვის სახიფათო ზონები

მე ვიცი ქართველი ხალხის განწყობა — მას არ სურს რუსეთთან მუდმივი კონფრონტაცია!

## ყველაფერი სოციალურად დაუცველთა შესახებ

რატომ აგონებს პროფესიული განათლების პროფლიდერს თამარ სანიკიძე დიმიტრი შაშკინს?

**საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# ოცდაათ ვერცხლად გაყიდულები



ვახტანგ ხარჩილავა

**ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო სამსახურის გამოყოფა საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური დამოუკიდებლობისკენ გადადგმული თამამი და რისკიანი ნაბიჯია, რომელსაც საქართველოს ყველა პატრიოტი მოქალაქე უნდა მიესალმოს და მხარი დაუჭიროს.**

საქმე ის არის, რომ ეს ჩვენი ეროვნული ბანკი, სახელად ჩვენი და საზრავად სხვისი, „ნაცმოძრაობის“ გამყიდველური პოლიტიკის შედეგად, კარგა ხანია, სახელმწიფოში მეორე სახელმწიფოდ იქცა, რომლის პრეზიდენტიც, მისთვის მინიჭებული განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის წყალობით, ფაქტობრივად, საქართველოს ხელისუფლებას არ ემორჩილება.

ვერ ხედავთ, ბატონი ქადაგიძე როგორი გაყინჩული და გაბღენძილი დადის და როგორ გველაპარაკება საიდანღაც ზემოდან.

ის დიდი ხანია ამ ქვეყნისა არ არის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და როგორც ბოლო დროის მოვლენებმა გვაჩვენა, უფროსობაც ამ ქვეყანაში კი არა, სხვაგან ჰყავს.

აქ არ შევუდგები იმ საეჭვო და აშკარად კორუფციული ნიშნების შემცველი სქემის გაშიფვრას, რომელზეც არის აგებული ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ურთიერთობა, ვიტყვი მხოლოდ ერთს: ეროვნული ბანკი, იმ ფორმით და იმ სტატუსით, რომლითაც ის დღეს არსებობს, სულაც არ არის ეროვნული საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც მხოლოდ ქართული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.

ასეთია სიტუაცია და ამ დროს უკიდურესად აღმაშფოთებელია ის პოზიცია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა, ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაიკავეს.

ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილებას შეიძლება დაუპირისპირდე, მაგრამ როდესაც ამ დაპირისპირებით ქვეყნის ინტერესებს უპირისპირდები, ეს უკვე აღარ არის ოპოზიციონერობა, ეს ქვეყნის მტრობა და ღალატია.

ენა როგორ უნდა მოგიტრიალდეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტს, ქვეყნის პირველ პირს, მისი საპრეზიდენტო სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების ღალატში დასდო ბრალი, მაგრამ სხვანაირად როგორ უნდა მოიქცე, როცა საქართველოს პრეზიდენტი ვეტოს დადებას აპირებს საქართველოს პარლამენტის იმ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც საზედამხედველო სამსახური ეროვნული ბანკის დაქვემდებარებიდან გამოდის?

ჩვენ გვყავდა ერთი პრეზიდენტი, სააკაშვილი, რომელიც ამბობდა, რომ თან პრეზიდენტია და შეთავსებით კიდევ ოპოზიციონერი (გახსოვთ, ალბათ, ეს გაუგონარი ამბავი 2013 წლის იანვრიდან ოქტომბრის თვემდე გრძელდებოდა). ახლა იგივეს აკეთებს ბატონი მარგველაშვილიც, რომელიც, თუ ასე გააგრძელა, იმდენს იზამს, რომ ქართველი ხალხის პრეზიდენტობიდან ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობოთა ერთი ჯგუფის პრეზიდენტად ჩამოილაბორანტებს თავს და პოლიტიკურ კარიერას ამით დაამთავრებს.

მარგველაშვილთან ერთად საზედამხედველო სამსახურის გამოყოფის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან „ნაციონალები“ და „თავისუფალი დემოკრატები“, რომლებიც სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან და ემსგავსებიან ერთმანეთს პოლიტიკური სინტაქსითაც და იდეოლოგიურადაც.



– ჩვენ ეს რომ გავაკეთოთ, რას იტყვის საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რას იტყვის მსოფლიო ბანკი, რას იტყვის ევროკავშირი? ხომ არ გამოიწვევს ეს მათთან ურთიერთობის გაფუჭებას, რაც შემდგომში უარყოფით გავლენას მოახდენს ინვესტიციების შემოდინებაზე? – აი, ასეთია ის რიტორიკული ხასიათის კითხვები, რომლებსაც „ნაციონალები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ სვამენ და რომლებსაც თვითონვე პასუხობენ – ამის გაკეთება ეკონომიკას დაანგრევს, ეროვნულ ვალუტას გააუფასურებს, ქვეყნის განვითარებას შეაფერხებს და ა.შ.

მთელ ამ დემაგოგიურ პრანჭვა-გრეხვას რომ უსმენ, არ შეიძლება არ დაგებადოს კითხვა: კი, მაგრამ, ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო სამსახურის გამოყოფამ რატომ უნდა გაგვიფუჭოს ურთიერთობები ან ევროკავშირთან ან მსოფლიო ბანკთან, ან სავალუტო ფონდთან, გნებავთ, სხვა ორგანიზაციებთან?

**ქვეყნის ჭირისუფლის და გულდამწვარი პატრიოტების ნიღბით მოლაღადე ეს ჭკუისკოლოფები იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ ამ თავიანთი თავგამოდებული ვექილობით და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებზე ხაზგასმული და ზედმეტად აჟიტირებული აქცენტების გაკეთებით, ფრიად უსიამოვნო და უხერხულ ეჭვებს აჩენენ თვით ამ ორგანიზაციების მისამართით** – ხომ არ არის რაღაც ფარული გარიგებები და ფინანსური მაქინაციები ეროვნულ ბანკსა და ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციებს შორის და საზედამხედველო სამსახურის საქართველოს ხელისუფლებისათვის დაქვემდებარება ხელს ხომ არ შეუშლის ამ გარიგებებს და მაქინაციებს და სწორედ ამიტომ ხომ არ ძვრებიან ტყავიდან ვიღაც-ვიღაცები?

აქვე მინდა ქართულ პოლიტიკაში გამეფებულ ერთ საჩოთირო და სათაკილო ტენდენციაზეც გავამახვილო ყურადღება.

**ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი ვერა და ვერ გათავისუფლდა მონური მორჩილების, ქვეშევრდომული, ქვემძრომული და პატრონ-ყმური კომპლექსებისგან. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ამისა ის გახლავთ, რომ პოლიტიკურ ბაზარზე ეს ყველაფერი სარფიანად იყიდება და თანაც ისე სარფიანად, რომ შეიძლება დიდი კარიერული წარმატების გარანტიაც გახდეს.**

საზედამხედველო სამსახურის ცალკე სააგენტოდ ჩამოყალიბების თემას ახალ მიზეზად და საბაბად იყენებენ „ნაციონალები“ და „თავისუფალი დემოკრატები“, რომ დასავლეთს კიდევ ერთხელ დაუმტკიცონ ერთგულება და საკუთარი თავი დასავლური ორიენტაციის თავდადებულ ქომაგებად წარმოაჩინონ, რომლებიც თავიანთი შეუპოვრობით საშუალებას არ აძლევენ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას დასავლური კურსიდან გადაუხვიონ.

ამ იაფფასიან, ამ ვირეშმაკულ და ცუღლუტურ პიარს ემსახურება ის ისტერიკული კამპანია, რაც ვიღაც-ვიღაცებმა წამოიწყეს ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით.

სამწუხაროა, რომ ქვეყნისა და მისი ინტერესების ოცდაათ ვერცხლად გაყიდვის საბედისწერო „ტრადიცია“ დღესაც გრძელდება...



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



**კობა არაბული**

# ერისთვის სახიფათო ზონები

## (თემის გაგრძელება)

**სენტენცია პირველი:**

ადამიანთა სახიფათო ამორალური ზონა, ულმერთობის და უზნეობის ფატალური იერიში კაცობრიობის რწმენასა და გენ-კოდზე, მის ისტორიულ ცნობიერებაზე...

ამერიკა მთლიანად გავიდა ზნეობრივი ზონიდან, ანუ უფლის სამყაროდან: ამერიკის პრეზიდენტმა ჰუსეინ ობამამ მიულოცა ამერიკელ ხალხს გასვლა მორალური და ზნეობრივი სივრციდან: ჰომოსექსუალთა, ერთსქესიანთა თავისუფალი ქორწინების ნება ამერიკელი ერის თავისუფლების უმაღლეს კატეგორიად გამოაცხადა!

სამწუხაროდ, ამერიკა თვითონ ქმნის აპოკალიფსს კაცობრიობისთვის და ამ აპოკალიფსით თვითონვე დაიღუპება...

ამდენად, შესაქმნელია მორალური და სარწმუნოებრივი დაცვის სარტყელი: დასაძლევია „ადამიანთა“ უზნეობის ზონა“... ამ ზონის სახიფათო ბანილია „კოჰაბიტაციის“ ვირუსი, რომელიც დააბერტყეს თავზე ჩვენს ერს და შეიყვანეს უმძიმეს განსაცდელში — „ბოროტთან ზავის შეკვრის პროცესში...“

კონკრეტულად ამერიკის გადადგმული ნაბიჯი ღმერთის წინააღმდეგ ჩვენთვის ხიფათის შემცველია!..

**სენტენცია მეორე:**

და არსებითი: უცხო ქვეყანათა კაპიტალის, მასონური ინტერვენციის და ექსპანსიის სახიფათო ეკონომიკური ზონა, დამანგრეველი ბანკები და სავალუტო ფონდები...

ქართული ეროვნული ბანკი — ერისთვის ხიფათის შემცველი „გორდიასის კვანძი“ — ვისია იგი — ისევ სააკაშვილის!! — ალბათ...

მსოფლიო მასშტაბის მძარცველი, თაღლითი მაფიოზური კლანები და „ზონები“, რომლებიც იცავენ ასევე მაფიოზურ-თაღლითურ ბანკს და მის დირექტორს, იცავენ სახელმწიფოსგან! — რომ არ გაერკვეს ვითარებაში და აზრზე არ მოვიდეს!!! თუ როგორ ძარცვავს საქართველოს ამ ბანკის საშუალებით კვლავ ოდესაში მომჯდარი სააკაშვილი...

საქართველოს წინააღმდეგ ამ ბანკის შეთქმულებას ქვეყნის „დეფოლტად“ ქცევას მხარს უჭერენ „ევრობანკი“ „ამერიკის ბანკი“... მავანისა და მავანის ფინანსური კლანები და მათ შორის (ჩვენდა გასაკვირად?!) ქართული პოლიტიკური თაღლითები: ნაცები, დემოკრატები, არასამთავრობოები, „რუსთავი-2“ და პრეზიდენტის მრჩეველი, ასევე თაღლითი — აბაშიშვილი! რომ ეს ქვეყანა ჩატოვონ მარადიულ მონობაში... ანუ, ეს გახლავთ, მთლიანობაში, ნაცების ღალატის ზონა და პოლიტიკურ პარტიათა ერისთვის დამანგრეველი შეთქმულების ზონა...

* * *

ცალკე უნდა გამოიყოს სატელევიზიო არხების ამორალური პროპაგანდის დივერსიული მარყუჟი, ერის იდეოლოგიური სახრჩობელების ქსელი — ქვეყნის შესუსტების უმართავი (და უმმართველო) სისტემა... იგი უნდა ჩაიჭრას, ვითარცა რუსთაველის გმირი იტყვის: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე...“

* * *

როგორც ამერიკის შესვლა ჰომოსექსუალურ ზონაში, ასეთივე (საპირისპირო) ხიფათის შემცველია ისლამური — ხალიფატური ზონების მოახლოება ჩვენი ერის საკრალურ-საკულტო სივრცისთვის... მაგრამ ამაზე არანაკლებ ხიფათის შემცველია ჩვენთვის ჩვენი მომიჯნავე ძველი და ახალი „ჯუჯა ქვეყნების“ მტრული ამბიცია...

როგორ იქცევა აზერბაიჯანელი ჩვენი კულტურის და ეკლესიების მიმართ ჰერეთში, გარეჯში...

როგორი მტრულია სომხების პოლიტიკა ქართული ისტორიული ცივილიზაციის და სახელმწიფოს მიმართ ზოგადად მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მათ ინტერესებს და ამბიციებს ჩვენს წინააღმდეგ მხარს უჭერენ თურქები, რუსები, სპარსელები...

ჩვენ ვინ გვიჭერს მხარს? ევრო-ამერიკა და ვეინახები? ისრაელი და უკრაინა?

* * *

უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მეტად სახიფათოა მცირე სახელმწიფოთა „მარყუჟი“ ჩვენს ირგვლივ...

აგრეთვე რუსული ინტერვენციის და ოკუპაციის შედეგად ჩამომდგარი (გაჩენილი) ქვეცნობიერი შიში... ერთგვარი უმწეობის (უძლურების) გრძნობა ფატალური მტრის წინააღმდეგ...

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

**„მე, როგორც პრემიერ-მინისტრი და როგორც საქართველოს მოქალაქე, ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ ქორწინება და ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა!“**



* * *

სად გადის „უცნობი“ იმედის ზღვარი? საკმარისია „პირობითი დაცვის“ სენტენციები: ჩვენს მიმართ ევროკავშირიდან! ამერიკისგან! გაძლევენ-გართმევენ!!! გახვევენ, გაცუცურაკებენ!

* * *

მხოლოდ რუსმა სასულიერო პირმა გამოუცხადა ამერიკის „ზნეობრივ ნადიმს“ პროტესტი!..

არც აქ და არც სხვაგან არავის ამოუღია ხმა!..

* * *

ჩვენ, ქართველ ერს, ჩვენი გალიბერასტების და გაპედარასტების პირობით დაგვიცავს ამერიკა?!

გაპიდარასტებულებს დაცვა რაში სჭირდებათ?

ელგბტ-თ“ იერიშებისგან დაგვიცავენ ჩვენი ტელევიზიები და არასამთავრობოები???

ჩვენი უმთავრესი ამოცანა (ამ ტექსტის სენტენცია) არის: ერის გადარჩენის — სულიერი და მატერიალური დაცვის ზონების შექმნა!

ეროვნული ენერგიის გამოხმობის შესაძლებლობა:

ეროვნული თავისუფლების კარის შეხსნა! „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“: ჩვენ, ჩვენი ხელით, ნაბიჯ-ნაბიჯ ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა...

* * *

ჩვენ ვდგავართ გაუბედაობის და მერყეობის სახიფათო ზონაში... ჩვენ უნდა შევქმნათ ეროვნული დაცვის საიდუმლო მოდელი და დავძლიოთ ქვეცნობიერი შიშის სახიფათო ზონა...

აღვიდგინოთ დათრგუნული ნებელობა...

* * *

არსებობს უხილავი, ხელშეუვლები იმედის ზღვარი, მითოლოგიური დაცვის „კედელი“, „საიდუმლო ციხის“ კარი და ა.შ.

გარეგანი დაცვის სარტყელი გავაძლიეროთ ვეინახური თემების სიახლოვით მათთან კავშირით, აქედან უნდა აღვიდგინოთ სამეზობლოში იმედის სინდრომი... და შევკრათ სოლარული რკალი — დაცვის „უცნობი“ ზონა...

შესაქმნელია მორალური დაცვის ზონა საპატრიარქოსთან და ეკლესიასთან მჭიდრო კავშირით...

ისტორიული „მეს“ დასანახად... და გენეტიკური რყევის დასაძლევად საჭიროა ისტორიულ თემებთან მიახლოება და ხელისუფლების შეღწევა ერის სამეურნეო, საკრალური დაცვის ზონებში: მთათა გამოქვაბულებსა, მღვიმეებსა, გვირაბებსა და სავარგულებში — მთათა სოლარულ რკალზე!

ეს არის სარანგთა და თემის კითხულთა და ხევისბერთა დაცვის შეუვალი კარიბჭე, სადაც ჩვენ უნდა შევიდეთ და გამოვიდეთ!



# მოდელირებული საგიჟეთი და „რუსთავი-2“ — ლაბორატორია, რომელიც ფსიქიურ ეპიდემიას ავრცელებს




„ძალიან დიდი ბოდიში გაქვთ მოსახდელი!“ — მიმართა „რუსთავი-2-ს“ ვერეს ხეობაში გაწმენდით სამუშაოებზე ხელდაკაპიწებულმა მოხალისეთა ჯგუფმაც.

„რუსთავი-2-ს“ იმდენი ბოდიში აქვს მოსახდელი, კალკულატორს გადაწვავს მათი საბოდიშო საქმეების დათვლა, მაგრამ ისეთ მძიმე ვითარებაშიც რომ არ მოიშლიდა აშკარა მორიელობას, როცა საქართველო უდანაშაულო მსხვერპლს გლოვობდა, მხოლოდ ერთეულები თუ ვარაუდობდნენ.

„რუსთავი-2 — დეზინმფორმატ-2!“ ჯერ კიდევ წლების წინ გამოჩნდა ასეთი წარწერები ქალაქში არსებული შენობების კედლებზე, მაგრამ რა, შეაყარე კედელს ცერცვი და მგელს კრავი შეაყვარე...

მოხალისეების მხრიდან პროტესტი „რუსთავი-2-ის“ გავრცელებულ კადრებს მოჰყვა, სადაც ერთ-ერთი მოხალისე ირწმუნებოდა, რომ მოხალისეებს ამუშავებდნენ და არ აჭმევდნენ. რა თქმა უნდა, მის ჩივილს „შემთხვევით შეესწრო“ „რუსთავი-2-ის ჟურნალისტი. ტყუილს მოკლე ფეხები აღმოაჩნდა, მალევე გავრცელდა მობილური ტელეფონით გადაღებული კადრები, სადაც მომჩივანი მოხალისე



(შუბლისძარღვგაწყვეტილი) ორი განსხვავებული კვების რაციონით ხელში არის დაფიქსირებული და ცხადია, „მოხალისე-პროვოკატორობისას“ ამის გარდა კიდევ არა ერთხელ არის დანაყრებული...

მართებულია ხალხის წუხილი — არაფერი არსებობს „რუსთავი-2-ისთვის“ წმინდა და ხელშეუხებელი?

„მოხალისეების თემა“ ისე აიტაცა ხალხმა, ისე უხაროდათ, ისეთი მადლიერები იყვნენ ახლიდან „აღმოჩენილი“ თაობის, თითქოს მსგავსი რამ არსად და არასდროს მომხდარიყო, თუნდაც იმავე საქართველოსა და იმავე თბილისში, მაგრამ... მოვარდა ღვარცოფივით „რუსთავი-2“ და ცივი წყალი გადაასხა ხალხს, ნაჯაფ ახალგაზრდებსაც და მათი შრომით გახარებულებსაც. წყალსაც გააჩნია, ბინძურ პოლიტიკაში გაზავებული წყალი, როგორც სჩვევია — სიბინძურე, კურდღლის ცურცლივით ერთი გასროლით მრავალი... მაინდამაინც „რუსთავი-2-ს“ „გადაეყარნენ“ ის „მოხალისეები“ რომელთაც, არც საჭმელს აჭმევდნენ, არც წყალს ასმევდნენ საკმარისად... თურმე გამოცდებსაც არ უუქმებდნენ და თანაც, თურმე ხელისუფლებამ ვერეში კანალიზაცია ჩაუშვა და ფეკალიებში გაუფრთხილებლად ავლებდნენ გულანთებულ ადამიანებს...

„რუსთავი-2“ ღიად შეეცადა იმ ახალგაზრდების „წამოკიდებას“, რომლებიც ვინმეს ყოველგვარი მიმართვის გარეშე, შინაგანი პატრიოტიზმით საკუთარი ქვეყნის დედაქალაქისადმი მოქალაქეობრივი ვალის აღსასრულებლად აენთნენ; მეორეს მხრივ, ხალხის გონების არევას და ნიჰილიზმის დათესვას შეეცადნენ, რას გიხარიათ მათი გარჯა, მართლა კი არ ეხალისებათ, მერკანტილური მოსაზრებებით მოქმედებენ, ჩვეულებრივი „ვიგოდნიკები“ არიანო...

„რუსთავი-2-ს“ ბინძური დავალებების მეტი რა აქვს მიღებული და აღსრულებული... ამჯერად მოძლიერებული ახალგაზრობის გაბითურება აქვს დავალებული, რომელიც სააკაშვილის 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის შედეგად ფრთადაგლეჯილი თაობის მომდევნოა და ლაღად გასაშლელ ფრთებს იბუმბლავს სამომავლოდ; უფროს თაობას — უნდა ჩააგონონ, რომ ახალგაზრდები მხოლოდ ისეთ „ღირებულებებზე“ არიან ორიენტირებული, რაც მიუღებელია ქართული ტრადიციული მენტალიტეტისთვის, ისეთი საშინელი თაობაა, რომ არაფერი უნდათ ქართული, არც ცეკვა-თამაში და არც მეტყველება; არიან უშნოები, უაზროები, უცოდინარები, უწიგნურები, ურწმუნოები, ბოროტები, მოძალადეები, მკვლელები, ნარკომანები, სექსუალურად გადაგვარებულები და ა.შ რაც კი რამ ცუდია...

საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც 13 ივნისის ტრაგედიას და შემდგომ მოვლენებს ტელევიზიითაც ხედავდა და საკუთარი თვალითაც ადგილზე, ადვილად შენიშნავდა „ნაცმოძრაობისა“ და „რუსთავი-2-ის“ მცდელობას, რომ ტრაგედია პოლიტიკურ ჭრილში გადაეყვანა და დღემდე აგრძელებს. ყველაფერს სათითაოდ რა ჩამოთვლის, მაგრამ რაც ორიოდე სიტყვით ითქმის, ისიც საკმარისია მათი „მუშაობის“ ზოგადი სურათის დასახატად.

ვიღაცამ თქვა, დეზინფორმაციის გავრცელება და ხალხის ისტერიაში ჩაგდება „რუსთავი-2-ის“ სტილიაო. ბატონებო! რით ვერ ისწავლეთ ყველაფერზე კუთვნილი სახელის მიჩენა? „სტილი“ კი არა, ეს არის მიზანმიმართული ბოროტი ქმედება საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ.

112-ში 2000-მდე შესული ზარი, რომ თითქოს ვეფხვი (ან სხვა მტაცებელი) შენიშნეს, როგორ ფიქრობთ, რისი შედეგია, მასიური ჰალუცინაციის? სახელმწიფო ორგანოების დეზორგანიზაცია კარგი გასართობი ყოფილა მავანთათვის და კიდევ, პანიკას რომ ბუმერანგის ეფექტი აქვს, კარგად სცოდნიათ...

ან იქნებ, ზოოპარკის დირექტორის, ბატონი გურიელიძის მხარდამჭერი აქცია ეგონია ვინმეს სპონტანური და მართლა მის დასაცავად ორგანიზებული? გადახედეთ კადრებს, ვინ იდგა გურიელიძის დასაცავად, ვისი მოწყობილი იყო აქცია; შემდეგ, ინტერნეტში გადახედეთ ფოტოებს, როგორ



ერთობა სამასკარადო სამოსში გამოწყობილი გურიელიძე „ნაცბანდის“ კარნავალზე და გასაგები ხდება რა იყო მიზანი. ისინი, რიგითი მოქალაქეები იყვნენ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ რაში იხარშებოდნენ...

(ისე კი, კაცმა რომ იკითხოს, რა სჭირდა დასაცავი დღემდე თავგზააბნეულ გურიელიძეს, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით ისეთ უცნაურობებს ამბობს, ეჭვი გაუჩნდება ადამიანს, სრულ ჭკუაზე თუ არისო? ან იქნებ სწორედაც რომ სჭირდა და სჭირს, ამიტომ ამოიწვერა საიდანღაც მანამდე საეჭვოდ მიმალული ასო-ებიდან ერთ-ერთი მთავარი „ასო“, „საია“ ადვოკატ ვეფხვაძის სახით?)

უკრაინულმა „ვიკილიქსმა“ სააკაშვილის და ზურაბ ადეიშვილის საუბარი გამოაქვეყნა.

**მ.ს:** — ვიკაიფებ თუ ნიანგმა შეჭამა ვინმე, ან ბიძინას პინგვინებში შეუშვებენ მხეცებს — ეს უკეთესი იქნება.

**ზ.ა:** — ბიძინას ბაღში დათვები და ნიანგები საინტერესო იქნება... ისე, ტრაგიკული სიტუაციაა... დამატებით რაღაც უნდა მოვიფიქროთ...“

და იგონებენ ახალ-ახალ „რაღაცებს“ ბოროტი სნეულები, რასაც დიდი სიხარულითა და შემართებით ასრულებენ პატარ-პატარა სნეულები...

ხალხი ისეა „აჭრილი“, თუ სერიოზულად არ შემოუძახა ვინმემ, იმ დინებას მიჰყვება, რა კალაპოტსაც უჭრიან — დაღუპულ ადამიანებზე მეტად ცხოველებს დასტირიან; თეთრი ლომის ბოკვერის სახელი იციან და იმ მაშველისა არა, რომელმაც შვიდი ადამიანი გადაარჩინა და თვითონ დაიღუპა...

მაია ორჯონიკიძე იმ სპეცრაზმელების სიას ითხოვს, რომლებმაც ცხოველები დახოცეს და მათი დასჯის მოთხოვნით ხალხის აყოლიებას ცდილობს, ხალხი კი ბრმად უბავს მხარს, იგივე ხალხი, რომელიც მაია ორჯონიკიძის „რაზმს“ არაერთგზის ჰყავს დარბეული, ნაცემი, ციხეებში გამოკეტილი, სადაც ცხოველზე ბევრად უარესად ეპყრობოდნენ, ბოლო-ბოლო მოკლულები. იმავე ხალხს აზრად არ მოსვლია ასე გულმოდგინედ მოეთხოვათ იმ სპეცრაზმელების სია, რომლებიც ამ ყველაფერს სჩადიოდნენ თუნდაც მხოლოდ 2011 წლის 26 მაისს ან 7 ნოემბერს და



მთლიანად კი, 9 წლის განმავლობაში...

პატარ-პატარა, მაგრამ მრუმე შავ-შავი პიარი საბოლოოდ სწორედ იმ მიზანს აღწევს, რაც ჩაფიქრებულია, პიარის დიდოსტატები კი, იცოცხლეთ, მართლაც არიან პიარში სპეციალურად მაღალ დონეზე დატრენინგებული ჟურნალისტები (რომლებიც დესანტად არიან გაშლილები) და მათი ზემდგომები.

ისევე, როგორც „რუსთავი-2“ არის ქართული ტელე-მედიის მთავარი „ნაცმეტრი“ და ნაყარი ჰყავს განტოტვილი დანარჩენ ტელივიზიებში, ასევეა „საია“-ც ნაყარი „ასო-ებით“, ორივე სუბიექტი კი ისევე არიან ერთმანეთთან შეხმატკბილებული, როგორც „რესპუბლიკური პარტია“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ასე რომ, სულაც არ არის გასაკვირი, თუ თავდაცვის მინისტრმა, ქალბატონმა თინა ხიდაშელმა მადლობა გადაუხადა გმირთა მოედანზე, „რუსთავი-2-ის“ მიერ გვამებზე დაგებულ ბრჭყვიალა სცენაზე გაპრანჭულ ტინგიცობას, აბსოლუტურად ტენდენციური ინფორმაციის ტირაჟირებას.

ზოგჯერ, არ გინდა ადამიანს ახსენო კონკრეტული პირები, მაგრამ რომ არ გეშვებიან?

გიორგი გაბუნამ ნიშნისმოგებით გვტყორცნა რომელ საათზე შევიდა პირველი ზარი 112-ზე 13 ივნისს, ანუ იმის




თქმა უნდოდა, როგორ დააგვიანა „უნიათო“ ხელისუფლებამ, თორემ ადამიანების მსხვერპლი არ იქნებოდაო. როგორ არ უნდა წამოაძახო ახლა ამ უტიფარს 2012 წლის 14 მაისი, როცა 5 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ორთაჭალაში ვიღაცის კეთილმოწყობას „მაღლა“ და ისე მიაჩუმათეს, თითქოს ჩიტები დახოცილიყვნენ, ქვეყნის პრეზიდენტი კი ამ ტრაგედიიდან მეორე დღეს მილანში „შოპინგობდა“... და საერთოდ, ვის ახირებას და მადას შეეწირა სწორედ 13 ივნისს ეს ხალხი...

ახლა, ნიკა რურუამ, ვითომ „უცოდველმა კინალოკომ“ გამოჰყო თავი, მთაწმინდა, განსაკუთრებით მამა დავითის მთა, ეს არის სახიფათოდ გადმოკიდებული ქედი და სწორედ ამიტომ, ახლა დროა, დეტალურად შეისწავლონ ქანები, ჩამდინარე წყლის რაოდენობა, ნიადაგის მდგომარეობაო. თურმე წარმოდგენაც არ უნდა რა მოხდება, თუ მთაწმინდის ქედის ნაწილი მოწყდება და წამოვა ქალაქზე. იქნებ, პირიქით, სწორედ რომ წარმოდგენილი აქვს და სწორედაც რომ უნდა? ამ კაი დედმამისშვილს, ასე თუ აფიქრებდა მამა დავითის მთა, ხმის ჩახლეჩამდე რომ შევძახოდით, გაანებეთ მამა დავითის მთის დამახინჯება-განაშენიანებას თავიო, რატომ არ გაითვალისწინეს? — ამ შემთხვევაში ეს კი არ არის მთავარი, მთავარი ის არის, რომ ნიკა რურუას ამ განცხადებამ თავზარი დასცა ხალხს, ვაიმე, ამ ხელისუფლების სამავნებლოდ ხალხს იმეტებენ, მამა დავითის მთის აფეთქებას გეგმავენ „ნაციონალებიო“ და ისედაც მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე კიდევ ერთი უხილავი დიდი ჩხვლეტა ხდება; მეორეს მხრივ, მთაწმინდის ფერდობზე აკოკლებულ კურპუსებში მცხოვრებლებს წინსწრებით აგულიანებენ, ეს მთავრობა სახლებიდან გამოგყრიანო...




რა თქმა უნდა, ხალხის ყველაფრის „საქმის კურსში ჩაყენება“, უგვანო პირთა და მათი უგვანო ნააზრევის ელვისებური გავრცელება იმ ქართული მედიით ხდება, რომლისთვისაც აბსოლუტურად უცხოა შინაგანი ცენზურა, პირიქით, ყველანაირად ცდილობენ მაქსიმალურად „უცენზურონი“ იყვნენ და „თავისუფალი მედიის“ ფარქვეშ სხვასაც ხელი შეუწყონ მისგან განთავისუფლებაში...

აყვირეს შალვა ნათელაშვილი, ალანძღინეს „გაქსუებული ივანიშვილი“, რომელიც თურმე სადღაც იყო დამალული; ვიღაცას ბერა გაახსენდა, რომ მღეროდა, საქართველოვ, სულ შენს გვერდზე ვიქნები, სად არისო? გამოჩნდა ივანიშვილი, ზარალთან დაკავშირებით თქვა, რასაც ვერ შეაგროვებენ, იმას დავამატებო და ატეხეს წკავწკავი, „ჟმოტიო“. ნმთაწმინდის ქედზე მოფიქრალმა ნიკა რურუამ ლამის ლექცია წაიკითხა თემაზე, როგორ იქცევიან ძალიან მდიდრები — „მე გავაორმაგებ იმ თანხას, რაც შეიკრიბება!“ და მაგალითად მოიყვანა მსოფლიოო მილიარდერები და მიაბა კახა ბენდუქიძე, მართლაცდა ცნობილი „ჟმოტი“, რომელმაც საკუთარი პირით თქვა, რატომ უნდა ვაჩუქო ვინმეს ფული, იმუშაოს და ექნებაო. რურუამ, თან დაამატა, ესეც, გარემოცვამ ურჩია ივანიშვილს და იძულებული გახდა, არ გამოდიოდა კარგად, მიმალული რომ იყოო და დასკვნა დადო, ქველმოქმედებას კლასი სჭირდება, მეჟღანუაშვილი ვერ კახდება კარნეგიო.

კაცი ამბობს, არ მაინტერესებს გასაცემი თანხის ოდენობა, სრულად ვდებო და კიდევ ის არის „ჟმოტი“? თქვენ, ბოროტებით აყვავებულებო, სრულიად საქართველოს ბიუჯეტი და ცალკეული ადამიანების ნალვაწ-ნაგროვები რომ ჩაიდეთ ჯიბეებში, თქვენ რამდენს დებთ იმ საქმეში რაც თქვენივე გაფუჭებულია? რამდენს დებს ამ ტრაგედიის ერთ-ერთი პირველი „შემოქმედი“, ოდესის გუბერნატორი სააკაშვილი, ან „მატროსოველი კამპანია“, განსაკუთრებით ქალაქის მერყოფილი, რომელსაც გაჩეხილი ვერეს ხეობის ხეებიდანაც გვარიანი ხურდა დარჩა მილიონებში?

მოდელირებული საგიჟეთია! ჟურნალისტები აბოჟირდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინციატივაზე, რომ ე.წ ცხელ წერტილებში მომუშავე ჟურნალისტები დაჯილდოვდნენ. ვინ ჩააწოდა პრემიერს ეს იდეა, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ნიკა გვარამიამ, შეკვეთილი ფილმის, „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ ავტორმა, ტრაგედიის პირველივე დღეს განაცხადა, მადლობა მაინც გვითხარითო. ესეც სალაპარაკო გახდა, უნდა მიიღოს თუ არა ჟურნალისტმა ჯილდო ხელისუფლებისგან. ვიღაც — ითხოვდა; ვიღაცამ — იუკადრისა, ტრაგედიაზე რა ჯილდო უნდა ავიღოო; ვიღაც — ვერ



გაერკვა, რატომ უნდა აელო ჯილდო იმაში, რაც მისი პირდაპირი მოვალეობა და ა.შ „ყველაფრისტმა“ ზვიად ქორიძემ სულაც დაახეთქა, ეს ჟურნალისტების მოსყიდვააო. ხალხს გაუკვირდა, აბა, ჯარისკაცებს რატომღა აჯილდოებენო?

„ბატონო პრემიერო! ვერ ხედავთ, თქვენი სისხლიდან ოქრო რომ გამოიდნოთ და ამ გადა-როგ-ავ-ებულებს აჩუქოთ, არ უნდათ... ხელისგულზე რომ ერბო-კვერცხი მოიწვათ და მიართვათ, მაინც ვერ დაინახავენ და ნუ გეწყინებათ, მორიელმა თქვა „ასეთი გვარისა ვარ, უნდა გიკბინოთო“...

კი, ოპერატიულია „რუსთავი-2“ არსებობის დღიდან, მაგრამ სწორედ იმ დღიდან რომ მუდმივად „რუსთავი-2 — დეზინფორმატ-2-ია?“ ალბათ ეს არის მიზეზი იმისა, რაც ეს დღეებია ამგვარად გამოიხატება სოციალურ ქსელებში:

„რამდენი ხელმოწერა უნდა შეგროვდეს რომ „რუსთავი-2“ გაუქმდეს და პასუხი აგოს ერის წინაშე?“

„კომუნისტური პარტია“ ხომ აიკრძალა, „მოქალაქეთა კავშირიც“, ჰოდა, მოვითხოვოთ „ნაცმოძრაობის“ პარტიის აკრძალვაც. შევაგროვოთ ხელმოწერები და იქნებ ნახონ რამდენი ვართ!“

„რუსთავი-2“ არ ვიცი, მაგრამ სანამ „ნაცები“ არსებობენ, ნამდვილად გაგვიჭირდება სიმშვიდის დამყარება მათი აუტანელი საბოტაჟის გამო. აქ ცხოვრება აუტანელი გახდა, თუმცა თვითონ მაინც კარგად ახერხებენ ცხოვრებას.“

„რუსთავი-2“ — დეზინფორმატ-2 და მათი ნაყარი ჟურნალისტები დღემდე აქეთ-იქით ეხეთქებიან; ასნაირ პერანგს იცვლიან „წიწილები“, რომელთაც დედა-გვერის მსგავსად რეაქცია არ აქვთ ასეულობით გუნდა ტალახის სროლაზე...

როგორც ჩანს, ყველაფერმა მიჩვევა იცის — მთელი თავიანთი მედია-ცხოვრება ისეთ ამაზრზენ ტალახში აქვთ გავლილი, გუნდა ტალახი არაფერია მასთან შედარებით, თუმცა ხალხის მიერ ნასროლი ტალახი ის ტალახია, რომელსაც ვერანაირი წყალი ვერ ჩამორეცხს, რაგინდ ძვირადღირებული და „იმპორტული“ იყოს...

**გიორგი ჩხეიძე**



**წინა ინტერვიუ ამ თემაზე დაბეჭდილია №14-ში, 22 აპრილს.**

**„ახლო აღმოსავლეთი, ყოველთვის, დაპირისპირების ბუდე იყო, პანდორას ყუთი სრულიად დაუფიქრებლად, საკითხის უცოდინრად გაიხსნა, საიდანაც ჩვენ უამრავი უბედურება მივიღეთ, რაც უფრო და უფრო მძაფრდება. არავინ იცის, ამ პროცესს როგორ მოუაროს. ისლამის დროშის ქვეშ მებრძოლი რადიკალიზმი უფრო და უფრო მეტად ხდება მიზიდულობის ცენტრი. მოდით ასე ვთქვათ, მთელს ახლობელ აღმოსავლეთში ისლამური ხალიფატის აჩრდილი დადის. ისლამურ სამყაროში ყოველთვის იყო იდეა ხალიფატის აღდგენის და ისლამური სამყაროს ერთიანი ხალიფატის ქვეშ გაერთიანების, როგორც ოთხი მართალი ხალიფას დროს იყო“. ესაა ფრაგმენტი ინტერვიუდან, რომელიც საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატთან სოსო მანჯავიძესთან 22 აპრილს ჩავწერეთ. მისი პროგნოზი ერთმნიშვნელოვნად ახდა. ამჯერად, საქართველოს საფრთხე კი არ დაშორდა, პირიქით, უფრო მოუახლოვდა. სოსო მანჯავიძე წინამდებარე ინტერვიუში გამოსავლის გზებზე — მეზობელ ქვეყნებთან მოლაპარაკების დაწყებასა და მათ შორის, უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შექმნაზე საუბრობდა. როგორ გამოვიყენოთ ჩვენი შანსი, რამდენად გაიზარდა საფრთხეები და როგორ ვაქციოთ ჩვენი ქვეყანა ოაზისად, ამ თემაზე სასაუბროდ კვლავ საკრებულოს დეპუტატ სოსო მანჯავიძეს მივმართეთ:**



## სოსო მანჯავიძე:

# სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი ახდა — ისლამური სახელმწიფო საქართველოსკენ მოიწევს!

**—როგორ ვაქციოთ კავკასიის რეგიონი ციტადელად, სადაც ისლამური სახელმწიფოს გავლენა არ გავრცელდება**

— მოსალოდნელი საფრთხის შესახებ თქვენთან „საერთო გაზეთში“ ჯერ კიდევ 22 აპრილს ვისაუბრე. რამდენიმე დღის წინ კი უკვე გავრცელდა ინფორმაცია ერთიანი კავკასიური იმარატის შექმნის შესახებ, რომელიც ისლამურ სახელმწიფოს დაექვემდებარება. ეს, მთლიანად რეგიონისთვის და ასევე, რუსეთისთვისაც, შეიძლება, უმძიმესი შედეგების მომტანი გახდეს. არ ვიცი, ამას მოსკოვში რამდენად აცნობიერებენ, მაგრამ შედეგი ნამდვილად ეს იქნება. 2012 წლიდან მოყოლებული „საერთო გაზეთში“ არაერთხელ მითქვამს: ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესი აუცილებლად ერთიანი ისლამური ხალიფატის შექმნისკენ მიგვიყვანსმეთქი. სამწუხაროდ, აშშ-ს — ობამას ადმინისტრაციის არაკვალიფიციურმა, გაუთვლელმა, ეგოისტურმა მოქმედებებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ეს პროცესი რეალური გახდა. თუ რუსეთმაც იგივე შეცდომა დაუშვა და არ გაითვალისწინა მის კარიბჭესთან რა საფრთხეებია მომდგარი და თავისი ძლევამოსილების ილუზიაში დარჩა, მას ძალიან მძიმე შედეგები დაუდგება. აქედან გამომდინარე, ჩვენი ამოცანაა ამ პროცესში გადავრჩეთ და აქტიური მოქმედებები განვახორციელოთ — კავკასიის რეგიონი ციტადელად გადავაქციოთ, სადაც ისლამური სახელმწიფოს გავლენა არ გავრცელდება. ზოგადად, რეგიონი, ტერორიზმისგან თავისუფალ ზონად უნდა გადავაქციოთ, რაც შესაძლებელია მხოლოდ ზე-სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების, ამ რეგიონში მათი ინტერესების დაბალანსების შედეგად. თუ რეგიონი ჩვენი აქტიური ძალისხმევით ზე-სახელმწიფოების ერთიანი ძალისხმევის პოლიგონად გადავაქციეთ, ეს შეიძლება გლობალური უსაფრთხოებისთვისაც უდიდეს წინგადადგმულ ნაბიჯად იქცეს. ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის და ზოგადად, გადარჩენის, ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნების ერთადერთი შანსია. კარგად უნდა გვესმოდეს სამხედრო ძალთა თანაფარდობა, იმ ძალების სიმრავლე, ფინანსური უზრუნველყოფის ხარისხი, მეომართა თავგანწირვა და ომში დაოსტატებულობა, რაც გვაქვს. უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ რეგიონის ციტადელად გარდაქმნა, ყველას ინტერესებშია. ეს გაგებული არ უნდა იქნეს როგორც საკუთრივ ისლამის წინააღმდეგ ბრძოლად. ჩვენ, მხარი უნდა დავუჭიროთ საერო ისლამს და იმ სახელმწიფოებს, სადაც სალაფიტური მოძრაობები გაბატონებული არაა. ამავე დროს, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ მოლაპარაკებების პროცესში, რათა საბრძოლო მოქმედებების ეპიცენტრში არ აღმოვჩნდეთ ისე, რომ გარანტიები არ გვქონდეს. თუ ამ პროცესს დავიწყებთ, ცხადია, ჩვენს მიმართ მაშინვე ყურადღება გადმოინაცვლებს. ამ მონსტრის ყურადღების მიქცევა მოუმზადებლად, კატასტროფის ტოლფასი იქნება. ამას იმიტომ ვაჟღერებ, რომ მინდა საზოგადოებამ მოსალოდნელი საფრთხე კარგად გააცნობიეროს. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებისთვის არხეინობა და სირაქლემას დოქტრინაა დამახასიათებელი. ბუჩქებში ჩამალული კურდღლის პოლიტიკას ვატარებთ, გვგონია ვერ შეგვამჩნევენ, რაც კარგს არაფერს მოგვიტანს. უკვე შემჩნეულები ვართ.

**— ქარბორბალასავით დატრიალებული საბედისწერო ეპიცენტრი საქართველოში ინაცვლებს?!**

—როგორც აღვნიშნე, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები, ახალი, დიდი გეოპოლიტიკური ცენტრის შექმნისკენაა მიმართული. ძალის ცენტრებს არ სურთ ახალი, მძლავრი ადამიანური, ფინანსური, ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფილი და, რაც მთავარია, აგრესიული რელიგიური იდეოლოგიით შეიარაღებული ისლამური ცენტრის წარმოქმნა, რომელიც მილიარდნახევრიანი მუსლიმი მოსახლეობის სიმპატიებს მოიზიდავს და თავის ძალმოსილებას შეიძენს. პროცესი, სწორედ, აქეთკენ მიდის, რასაც ხელი შეუწყო შეერთებული შტატების უგუნურმა პოლიტიკამ დემოკრატიის გავრცელების მოტივით საერო რეჟიმების დამხობა გამოეწვიათ. ლიბიის მაგალითზე კარგად ვხედავთ რა დემოკრატიაზეცაა საუბარი, იგი ჰუმანიტარული კატასტროფის ზონად გადაიქცა, საიდანაც ეს მოძრაობები ადამიანური რესურსებით მარაგდება. იგივე ითქმის ერაყზე, სირიაზე, ავღანეთზე და ა.შ. ანუ, საქმე გვაქვს წარმოუდგენელი მასშტაბის მენტალურ გაუგებრობასთან. ამ ცუნამის ტოლფასმა კატასტროფამ უკვე მილიონობით ადამიანი მოიცვა, რასაც ყოველდღიურად წარმოუდგენელი მსხვერპლი მოაქვს. ხომ ვხედავთ რა დაემართა აღმოსავლეთ ქრისტიანობას, რა გამოიწვია კულტურული ძეგლების, ისტორიის განადგურებამ, რა უქნეს პალმირას და ა.შ. წარმოვიდგინოთ, რა გველოდება ჩვენ თუ საფრთხე დროზე არ შეჩერდა. ამის მაგალითი თვალწინაა. აქედან გამომდინარე, ეს ახალი ფაქტორი ალბათ, დასავლეთსა და რუსეთს შორის გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობებს შეასუსტებს. აქაა ჩვენი შანსიც. მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ეს დიდი ინერციული სისტემებია, ამაზე მთელი ინსტიტუტები მუშაობს, შესაბამისად, ეს რთული პროცესია და ამიტომაა ჩვენის მხრივ აქტიურობა საჭირო. ნელ-ნელა საბედისწერო ეპიცენტრი ჩვენსკენ მოჩოჩავს, როგორც ქარბორბალა, ტორნადო ჩვენსკენ ინაცვლებს, რაზეც 16 აპრილს ძალიან კვალიფიციურად ისაუბრა ირანის თავდაცვის მინისტრმა უსაფრთხოების კონფერენციაზე. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. ამაში ყველა უნდა ჩაერთოს ხელისუფლებიდან დაწყებული.



**—ვის დასწვავს კავკასიაში დანთებული ცეცხლი?!**

— საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები სხვა კონტექსტშია გადასაყვანი. მთავარია, ეს კრემლში გაიგონ. ამავე დროს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ტერორისტული სახელმწიფოს შიშით ტერიტორიულ მთლიანობაზე უარი ვთქვათ. უბრალოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ თანამშრომლობაზე უნდა წავიდეთ, ხოლო მოლაპარაკებები ამ ამოუწურავ კონფლიქტზე, რც გვაქვს უნდა გრძელდებოდეს. იმედია, რუსეთის ხელმძღვანელობაში ეს ვითარება ნელ-ნელა ადეკვატურ ასახვას ჰპოვებს და ისინი საკუთარი უძლეველობის განცდით არ იქნებიან დაბანგული. იმიტომ, რომ ეს სულ სხვა ტიპის განცდაა. რუსეთს უნდა ესმოდეს, რომ კავკასიაში ცეცხლის დანთების შემდეგ, მისი მოკავშირე შუა აზიის რესპუბლიკაშიც შეიძლება ერთ დღეში აყირავდნენ საერო, ნახევრად ფეოდალური და ნახევრად დინასტიური რეჟიმები. ეს შეიძლება ძალიან სწრაფად მოხდეს და ამ შემთხვევაში, რუსეთი მთელ ამ გრანდიოზულ გეოპოლიტიკურ სივრცეზე, აბსოლუტურად, დაუცველი და მოწყვლადი აღმოცნდება, რის შემდეგაც მას ვერანაირი სპეცრაზმი და გე-რე-უ ვერ უშველის იმიტომ, რომ რუსეთში ძალიან დიდია მუსულმანთა რიცხვი.

**— რისთვის ემზადებიან საქართველოში გაბატონებული ფერად-რევოლუციონერები?! სად გაგრძელდება ერევანში დაწყებული პროექტი?**

— თავისი ტექნოლოგიებით ცნობილი ფერადი რევოლუციების პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა, არ ჩერდება. ახლა, ამ მცდელობამ სომხეთში გადმოინაცვლა. გასაგებია, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნები ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის დიქტატურები, ინფორმაციული ტექნოლოგიების წინაშე, რომელიც ფერადი რევოლუციების მთავარი გამომწვევია, დაუცველნი არიან. ანუ, ესაა აღმასრულებელი ხელისუფლებების მხილება, მათი არასამთავრობო სექტორის შექმნა, ვგულისხმობ, ტექნოლოგიას, საინფორმაციო უპირატესობის მოპოვებას, მერე, ინფორმაციული ტექნოლოგიებით მოსახლეობის დამუხტვას, მათ უარყოფითად დაპროგრამებას და შემდეგ უკვე ხალხის ქუჩაში გამოყვანას, ასევე, სახელისუფლებო ორგანოების ძალადობაზე გამოწვევას და შემდეგ ამ ძალადობას ებლევა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია ან მსგავსი რამ — სამთავრობო ორგანოების ტერორისტებად გამოყვანა და შედეგად ფერადი რევოლუციის მოხდენა. ცხადია, პოლიტტექნოლოგიები, რომელიც ერევანში გამოიყენება, ზემოთქმულზე ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს. იგივე ტექნოლოგიების გამოყენება სცადეს ახლახან, 21 მარტის აქციაზე „ნაციონალებმა“, თუმცა, ეს საფრთხე, თავიდან ავიცილეთ. „ნაცმოძრაობას“ დისკრედიტირებულობის გამო შესაბამისი ადამიანური რესურსი არ ჰქონდა, ფინანსების პრობლემაც იყო და შესაბამისად, პროგრამა ვერ განახორციელეს. ის რაც ერევანში ხორციელდება, ცხადია, თუ წარმატებით დასრულდება, რეგიონში სიტუაციას, აბსოლუტურად, შეცვლის და ამის შედეგები ძნელი გასათვლელი იქნება. ასეთ შემთხვევაში, ერევანში უმძიმესი პროცესები განვითარდება, რაც გეოპოლიტიკურ ვითარებას საერთოდ აურევს. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში, მსგავსი სცენარის განვითარებისთვის მოღვაწეობა, არ ჩერდება. ანუ, ეს პროგრამა ავტომატურად მუშაობს. პროგრამის არსი რა არის? — ის, რომ ფერად-რევოლუციონერებმა აღმასრულებელი ხელისუფლება მუდმივად ტერორის რეჟიმში უნდა ამყოფონ, არ მისცენ ქვეყანაში სიტუციის დარეგულირების, პოზიტიური პროცესების დაწყების საშუალება, დაადანაშაულონ, დემონიზაცია გაუკეთონ და საჭირო მომენტში ჩამოაგდონ. ხელისუფლების თავზე დამოკლეს მახვილი მუდმივად ჰკიდია და ამის

გამო, იგი, მუდმივად ცდილობს სხვადასხვა ძალებს თავი მოუქონოს, თავისი ქვეყნის სრული დესუვერენიზაცია მოახდინოს და ბოლომდე დამორჩილებული იყოს. ანუ, ეს კონტროლის მექანიზმიცაა — მუდმივი რევოლუციის საფრთხის ქვეშ ყოფნა მესამე ქვეყნის მმართველებს აიძულებს მორჩილნი იყვნენ. აი, ამ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ძალიან ცუდია, რომ ეს პროცესი სომხეთში მიმდინარეობს. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული პროგრამა იმის მიუხედავად რაც მახლობელ აღმოსავლეთში ხდება, მაინც, ავტომატურ რეჟიმში მუშაობს. ახლა, ამერიკიდან ახლადდაბრუნებული ფერადი რევოლუციონერებისგან, რომლებმაც იქ ტრენინგები გაიარეს, ახალ ლექსიკას, ახალ თემატიკას, ახალი სახეების წარმოჩინებას უნდა ველოდოთ, რაშიც, რა თქმა უნდა, თავს გამოიჩენს ტელე მონსტრი „რუსთავი-2“ და სხვა ტელევიზიები, მათი კლონები. რა თქმა უნდა, წინასწარ შემიძლია ვთქვა, ლაპარაკი იქნება სოცილურ თემატიკაზე, რასაც ერევანში ვხედავთ. სოციალური თემატიკისთვის ნიადაგი ნოყიერადაა მომზადებული და არც ჩვენი ხელისუფლება მოქმედებს მაინცდამაინც ეფექტურად. თუმცა, ერთი რამ უნდა ითქვას, იგი ამ საფრთხეებს ითვალისწინებს და ცდილობს მაქსიმალურად ფრთხილად იყოს. უნდა გვესმოდეს, რომ საინფორმაციო შეტევის წინააღმდეგ ძალიან რთულია რაიმე ეფექტური მოქმედებების დაპირისპირება. სამწუხაროდ, ასეა. ვინაიდან „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ეს მწარე გამოცდილება აქვს და მუდმივად, თავდასხმის ობიექტია, საინფორმაციო ტერორის ქვეშაა, მეტ-ნაკლებად რაღაც იმუნიტეტი გამოუმუშავდა. მაგრამ რა პოლიტიკურ შემადგენელს ჩართავენ ამჟამად, თუ საქართველოში იგივე პროცესის განხორციელება დასჭირდათ, რაც ერევანში და რას მოითხოვენ იმისათვის, რომ ეს არ გააკეთონ, ეს მეორე საკითხია. ვხედავთ სრულიად ნათელ სურათს, რაც ერევანში ხდება. ამავე დროს, ამ ხალხს თადარიგში ისეთი ფიგურები ჰყავს, როგორებიცაა „ნაცმოძრაობის“ კადრები უკრაინაში, ეს გასათვალისწინებელია,. ასეთი ტიპის საფრთხეები გვაქვს, თუმცა არის შანსი, რომ ეს საფრთხეები რეალიზებული არ იყოს.

**— სოსო, როგორც აღნიშნე ისლამური სახელმწიფოს საფრთხე თანდათან ჩვენსკენ მოჩოჩავს. ამ დროს ტელევიზიით ვრცელდება, რომ ხელისუფლება საზღვრებს გაამკაცრებს. ეს რამდენადაა გამოსავალი? ჩვენ ხომ საზღვრების დიდი ნაწილი დემარკირებული არ გვაქვს?**

— ჩვენ საერთოდ ეპიცენტრში ვართ, აგერაა ჩრდილოეთ-კავკასია და ისლამური ხალიფატის ცენტრი ჩვენი საზღვრიდან 500 კილომეტრში. თან, მათთვის, ხომ ეს საზღვრები არ არსებობს. რომც არსებობდეს, საზღვრები რა შუაშია. ეპიცენტრი ვართ. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიმართ დანდობა არ იქნება, ეს შეუძლებელია, მაშინ საჯაროდ, ჩვენს იდენტობაზე უნდა ვთქვათ უარი და ჩვენი თავი სალაფიტებად გამოვაცხადოთ. აი, რასთან გვაქვს საქმე. ეს ხომ წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, ეს არხეინობა, დაუშვებელია. ადამიანის ფსიქოლოგია ისეა მოწყობილი, არ უნდა ცუდი დაიჯეროს. ერთ წმინდანს ჰკითხეს: რა არის ყველაზე დიდი სასწაულიო. მან უპასუხა: ყველაზე დიდი სასწაული ისაა, ვინც დაიბადა ყველა მოკვდა, მაგრამ ვინც მოკვდა არავის ეგონა რომ მოკვდებოდაო.

აქვე, უნდა გვესმოდეს, რომ უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შექმნის, მოლაპარაკებების გარეშე რაიმეს მიღწევა, ძალიან რთული იქნება. იმიტომ, რომ, პირველ რიგში, ესაა რუსეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ჩრდილოეთ-კავკასია. თუ ის აფეთქდა და პარალელურად მისი მხარდამჭერი ისლამური სახელმწიფო იქნა, ძალიან გაგვიჭირდება ამ ვითარებას მარტო გავუმკლავდეთ. რაზეა საუბარი, როცა ისრაელი მთლიანად პანიკაშია, კისინჯერი წინასწარმეტყველებს, რომ 2020 წელს ისრაელის სახელმწიფო დამთავრდება. იგივეს ამბობს გაიდარ ჯემალი, დუგინი და სხვა გეო-პოლიტიკოსები. ანუ, ჩვენს ყურის ძირას სერიოზული პროცესები ვითარდება. ერთადერთი ბუფერი თურქეთია, რომელსაც ასევე, ძალიან სერიოზული პრობლემები გაუჩნდა. აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს აზერბაიჯანის პრობლემებიც. აზერბაიჯანის ზოლი ჩრდილო-კავკასიურია, ისინი სინამდვილეში დაღესტნელები, ჩრდილო-კავკასიელი მუსლიმები არიან, სადაც ეს სუნიტური მოძრაობა ძალიან ძლიერია. აზერბაიჯანში საერო ისლამის, ალიევების მიმართ დიდი უკმაყოფილებაა, რომელიც შეიძლება, მოკლე ხანში, აალდეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ. ანუ, ერთიან მშვიდობის სისტემაში სამხედრო რეფორმები იგულისხმება. ჩვენ, უნდა მოვიზიდოთ ფინანსებიც, ტექნიკური და სხვა საინფორმაციო საშუალებებიც, ქვეყნის შიგნით იმ ტიპის რეფორმები ჩავატაროთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს შეიარაღებული ძალები გარდავქმნათ, საჭიროების შესაბამისად გავზარდოთ. ცხადია, ამას ჩვენი ეკონომიკა არ ეყოფა, პირიქით, სახსრები უნდა მოვიზიდოთ. იმიტომ, რომ ჩვენი საზღვრების დაცვა საერთაშორისო ინტერესის საგანი უნდა გახდეს. თუ ჩვენს საზღვრებს დავიცავთ, ეს გეო-პოლიტიკური სტაბილურობისათვის გაწეული სამსახური იქნება. ამაში, უნდა დაგვეხმარონ როგორც ეკონომიკურად, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. ცხადია, მეზობლებს გარანტიები უნდა მივცეთ, რომ ეს დახმარებები დანიშნულებისამებრ იქნება გამოყენებული. ამის გაკეთება ძალიან რთულია. ამ მიმართულებით, უკრაინაში წარმოებული პოლიტიკა უნდა გადაიხედოს, იგივე, ფერადი რევოლუციების აკვიატებული იდეები, რომელსაც დომინირებისათვის იყენებენ და ა.შ. გადასახედია პოლიტიკის წარმოების ის ფორმები, რომელმაც კაცობრიობა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. თუ ეს მოხდა და სუნიტური, აგრესიული ისლამური იდეოლოგიით აღჭურვილი ერთიანი ცენტრი წარმოიქმნა, მთელს დედამიწას და კაცობრიობას უმძიმესი რეალობა დაუდგება, ეს იქნება გლობალური ომი ცივილიზაციებს შორის, შეიძლება რელიგიური ომების ეპოქა დადგეს. ეს მებრძოლები ეშმაკს ებრძვიან, ანუ მათ წარმოსახვაში დასავლური სამყარო ეს ეშმაკის სამყაროა იგივეა, რუსეთთან და ჩვენთან მიმართებაში. ანუ, მათ წარმოდგენაში ეს რელიგიური ომია. თუ ამან ისლამური სამყაროს ეს უზარმაზარი პლასტები მოიცვა, წარმოიდგინეთ, რა შედეგებს მოიტანს, ეს აპოკალიფსი, ნამდვილი არმაგედონი იქნება. აქედან გამომდინარე, ძალის ცენტრებში ეს საფრთხეები თუ გააცნობიერეს და ამას ჩვენც შევუწყობთ ხელს, შეიძლება, ჩვენი რეგიონი, ქვეყანა მშვიდობის ოაზისი გახდეს. თუ ეს ასე არ მოხდა, პროცესების შემდგომი განვითარებისგან ღმერთმა დაგვიფაროს. იმედია, ძალის ცენტრებში ამას გააცნობიერებენ, ვგულისხმობ, მოსკოვს, ვაშინგტონს, პეკინს და ა.შ., იგივე, ევროპის ქვეყნებსაც. ისიც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ლიბერალური ინტერნაციონალის დღის წესრიგმა, დიდწილად, ისლამური ექსტრემიზმი განაპირობა, როგორც მისი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე. მიმდინარე კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი არსია, რომ ის იდეოლოგიური იარაღი, რომელიც დღეს ისლამისტი იდეოლოგების ხელშია ლიბერასტულ გადახრებს ემყარება, რაც მონოთეისტური რელიგიებისთვის ტრადიციული ღირებულებების უხეშმა დათელვამ, მილიარდობით ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფამ გამოიწვია. ასე თუ გაგრძელდა, ეს იდეოლოგია თავის მოკავშირეებს სხვა რელიგიების წარმომადგენლებშიც ძალიან უხვად მოიპოვებს. ჩვენთან, ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ამ ლიბერალურ ინტერნაციონალში გაერთიანებული პარტიების შეუზღუდავ პარპაშს ვხედავთ, რომლებიც ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას ცდილობენ არა ერთიანი პარტიის სახით, არამედ იდეოლოგიური ნიშნით. ანუ, ის პარტიები რომლებიც იდეოლოგიურად ერთნი არიან მიუხედავად მათი ვითომ დაპირისპირებისა, შეეცდებიან კონსტიტუციური უმრავლესობა მოიპოვონ, რათა შეუფერხებლად გაატარონ ლიბერალური ინტერნაციონალის დღის წესრიგში მყოფი საკითხები. ესაა ე.წ. საბაზრო ფუნდამენტალიზმი — საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების დოგმიდან გამომდინარე მოქმედებები, იგივე, ტრადიციული ოჯახის წინააღმდეგ, სახელმწიფოთა სრული დესუვერენიზაციისკენ მიმართული მოქმედებები, შესაბამისად, საერთაშორისო სავახშო კაპიტალის ინტერესების განუხრელი განხორციელება. ესაა ის დღის წესრიგი, რაც მათ აერთიანებთ. სწორედ ეს არ უნდა დავუშვათ და ამისთვის საჭიროა ამ ძალების დაბალანსება. მათი პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა არ უნდა დავუშვათ, თორემ ეს ქვეყნის დაღუპვა იქნება.







**— ჩვენ არხეინობას განვაგრძობთ, ამ დროს კი დაპირებული 15-20 წლის მერე ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს როგორ ევროპაში მოუწევთ შესვლა — მუსულმანურში?**

— ერთ-ერთმა ფრანგმა მწერალმა დაწერა, რომ 2025 წელს საფრანგეთის პრეზიდენტი მუსლიმების ლიდერი გახდება. ჩვენ გვაქვს ღირებულებეთა დაპირისპირება, ანუ ლიბერალურ იდეოლოგიასთან, რომელიც გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში წარმოიქმნა, ათასნაირი ტრანსფორმაცია გაიარა და ძალიან არაიერარქიულია. იგი ბევრ გაუგებრობაზეა აღმოცენებული, რომელიც ევროპაში რაციონალიზმის გამარჯვებას ემყარება და მისი კულტურის დესაკრალიზაციას. ამ ტიპის ლიბერალიზმი დაპირისპირებაში მოვიდა არამარტო ქრისტიანობასთან, არამედ ყველაზე უფრო ახალგაზრდა მონოთეისტურ რელიგიასთან — ისლამთან. ისლამი ამ შემთხვევაში მომგებიან მდგომარეობაშია. იგი სამომხმარებლო, ანუ იმ ცივილიზაციას უპირისპირდება, რომელსაც ამ ცივილიზაციის საუკეთესო წარმომადგენლებმა დაღუპული უწოდეს. ეს დაპირისპირებაა, მისი ხარისხი ძალიან მაღალია გამომდინარე იქედან, რომ იდეალები რომელიც ქცევის ნორმებია და რაც ისლამშია ევროპული ქცევის ნორმებთან, აბსოლუტურად, შეუთავსებელია. დაპირისპირება ღვივდება და კიდევ უფრო გაღვივდება. ჩვენ ამ შემთხვევაში, ძალიან არაორდინალურ სიტუაციაში ვიმყოფებით და იმედია, ამას თავს დაუზიანებლად დავაღწევთ. მთავარია, საფრთხის რეალური მასშტაბი გვესმოდეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ყველაფერი სოციალურად დაუცველთა შესახებ



**ვესაუბრებით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილეს ბატონ თენგიზ აბაზაძეს.**

**— ბატონო თენგიზ, უკანასკნელ პერიოდში შეიცვალა სოციალურად დაუცველთა ქულების დათვლის სისტემა, რით იყო ეს გამოწვეული და რით არის ახალი სისტემა უკეთესი მოქალაქეებისათვის?**

— წინა წლებში მობილური ტელეფონი, სარეცხის მანქანა და საერთოდ საოჯახო ტექნიკის ბევრი რამ საკმაოდ ძვირადღირებულ ნივთებს წარმოადგენდა, ამიტომ სოცმუშაკებს ისინი ყოველთვის შეჰქონდათ ჩამონათვალ სიაში, რაც მოქალაქეების ქულებს მაღლა სწევდა და ისინი სოციალურ დახმარებას ვერ ღებულობდნენ. დღეს უკვე ასე არ გახლავთ, საოჯახო ტექნიკა ბევრად გაიაფდა, ყოველ შემთხვევაში ისე, რომ მათი ქულებზე მოქმედება არ არის საჭირო, ამიტომ სისტემა შევცვალეთ, თითოეული შემავალი ცვლადების გადაფასება მოხდა, ეს გამოიწვია დრომ. თუმცა, არსებობს ტექნიკა, რომელიც პოტენციურად შეიძლება გამოყენებული იქნეს შემოსავლის წყაროდ, მაგალითად, მანქანა, ტრაქტორი, ბინა, აგარაკი შეიძლება მოქალაქემ გააქირაოს.

**— ამჟამად ციფრულ ტელევიზიაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ე. წ. სეთ-ბოქსები, რომელიც 60-70 ლარი ღირს, სოციალურად დაუცველთა ნაწილს უფასოდ გადაეცათ, ნაწილს არა, რა კრიტერიუმით იხელმძღვანელეთ და რის მიხედვით შეარჩიეთ ბენეფიციარები?**

— სააგენტომ, რომელმაც ეს სეთ-ბოქსები შეიძინა ბენეფიციარებისათვის, გვთხოვა რომელიღაც ერთი დღის მონაცემები ბაზიდან, რადგან ბაზა მუდმივი არ არის, როცა დაიწყეს ამ საქმისთვის მზადება, იყო ოქტომბერი და იმ დღის მონაცემებით შეიძინეს ეს სეთ-ბოქსები. შეიძლება მომავალში ცვლილება შევიდეს ამ კუთხით ჯერჯერობით არ ვიცით.

**— სულ რამდენი ადამიანია დარეგისტრირებული საქართველოს ბაზაში სოციალურად დაუცველად დღევანდელი მონაცემებით?**

— აქ გახლავთ ქულების მიხედვით დარეგისტრირებული, მონაცემები ასეთია, 57 ათასი ქულა და ამაზე ნაკლები აქვს 148 208 ოჯახს — ეს არის 442 188 ადამიანი, 70 ათასამდე ქულა აქვს 202 681 ოჯახს, ეს არის 610 560 ათასი ადამიანი, და 100 ათასამდე ქულა აქვს 1 მილიონ 147 693 ადამიანს ანუ 377 914 ოჯახს. ეს მონაცემები ცხადია ცვლადია, მუდმივი არ გახლავთ, თუ ვინმე იშოვის სამსახურს, გარდაიცვლება ან წავა სხვა ქვეყანაში მონაცემები იცვლება. ეს ციფრები დღევანდელი მონაცემებია.

ახალ სისტემაზე გადასვლის მთავარი მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის შკალაზე განლაგება რეალურად თავისი სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. დიფერენცირებული სისტემა შევიმუშავეთ, ძალიან გაჭირვებულმა მაგ. 57 ათასი



ქულის მქონემ და 100 000 ქულის მქონემ დახმარება ერთნაირად არ უნდა მიიღონ. მეორე ნაწილი ახალ მეთოდოლოგიაში არის ის, რომ ოჯახის ერთი წევრი იღებდა ადრე 60 ლარს დანარჩენები 48 ლარს. ეს თანხა ყველასათვის გათანაბრდა, ამიტომ ოჯახების ხელოვნური გაყოფა აღარ ხდება. ყველანი მიიღებენ 50 ლარს. მესამე ნაწილი ახალ მეთოდოლოგიაში გახლავთ ის, რომ სოც.აგენტის მიერ აღარ ხდება ოჯახის სუბიექტური შეფასება. ადრე იყო მათი შეფასების 8-9 პარამეტრი, რომელიც ქულის შეფასებაზე გავლენას ახდენდა, ამჟამად ეს გაუქმდა, რადგანაც მისი აზრი ბენეფიციარების უკმაყოფილებას იწვევდა. ამჟამად ეს შეფასება ზედაპირულად დარჩა, მაგრამ ქულის დათვლისას ეს პარამეტრი როგორც ცვლადი აღარ არსებობს.

**— ბატონო თენგიზ, მოსახლეობას აქვს ბევრი შეკითხვები, კონკრეტულად არ იციან როგორ მოიქცნენ მაგალითად ასეთ დროს, თუ ბენეფიციარი ცხოვრობს ერთ ადგილზე და გადადის მეორე მისამართზე, იგივე პირობებში, როგორ უნდა მოიქცეს ისე, რომ შემწეობა და თქვენი დახმარებები არ დაკარგოს?**

— თუ ბენეფიციარი საცხოვრებელ ადგილს იცვლის, ის უნდა მიბრძანდეს მისი რაიონის სოციალურ სამსახურში და დაწეროს განცხადება მისამართის შეცვლის თაობაზე, მას სოც-დახმარება შეუჩერდება, მაგრამ გადამოწმებული იქნება მისი ახალი საცხოვრებლის პირობები, თუ იგივე მდგომარეობა ექნება, ცხადია, გაუგრძელდება როგორც სოციალური შემწეობა ისე ყველა პირობა, რომელიც მანამდე ჰქონდა, ასევე მიეცემა გაცდენილი თვეების შემწეობა, რომელიც შეჩერებული ჰქონდა. თუ უკეთეს პირობებში გადავა მოქალაქე, ცხადია, მას მოეხსნება როგორც სოციალური შემწეობა, ისე სხვა დახმარებები.

**— შეიძლება თუ არა ოჯახში რამდენიმე წევრი მუშაობდეს, მაგრამ სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოხვდნენ?**

— შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ იმდენი ხელფასი, რომ შემოსავალი მინიმალურია და ოჯახის



წევრთა რაოდენობა ძალიან დიდია. ასეთ შემთხვევაში მათ აუცილებლად ეკუთვნით სოციალური დახმარება.

**— ბატონო თენგიზ, წინა 2013-14 წლების არჩევნების დროს, მოხდა ასეთი ფაქტები, მთავრობის 38 დადგენილების შესაბამისად ცესკომ უფლება მისცა სოციალურად დაუცველებს ემუშავათ ერთი თვე საუბნო საარჩევნო კომისიებში, რაც მათ მუშაობად არ ჩაეთვლებოდათ და არ შეუჩერიდებოდათ სოციალურად დაუცველის სტატუსი, სამწუხაროდ ყველა მათგანს არჩევნების დამთავრებისთანავე მოუხსნეს სოციალურად დაუცველის სტატუსი, რამაც ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია, რა აზრი ჰქონდა ამ 38 განკარგულებას ან ამ ხალხის მოტყუებას?**

— წინა პერიოდზე პასუხს მე ვერ გაგცემთ, მხოლოდ ერთი რჩევა მინდა მივცე ასეთ პიროვნებებს, რომ მომავალში გაითვალისწინონ, როცა ასეთი განსაკუთრებული შემთხვევები ხდება, აუცილებელია, რომ მათ დაწერონ წინასწარ განცხადება და წარადგინონ თავისი რაიონის სოციალური მომსახურების განყოფილებაში, რათა გაუგებრობები იქნას თავიდან აცილებული. თუ მოქალაქეები დაწერენ, რომ მათ აქვთ ერთჯერადი ერთთვიანი სამსახური და აცნობებენ შესაბამის სამსახურს, სოციალურად დაუცველის სტატუსი მათ აღარ შეუჩერდებათ. მე პირადად ვეცდები, რომ ახალ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ყველა ეს საკითხები მოსახლეობისათვის იმდენად ცნობადი გახდეს, რომ მოქალაქეებმა იცოდნენ წესები, თუ როგორ მოიქცნენ კონკრეტულ შემთხვევებში და გაუგებრობებს არ ჰქონდეს ადგილი.

**— ბევრ მოქალაქეს აინტერესებს, სოციალურად დაუცველის სტატუსის შეჩერების პერიოდი, რომელიც ახალ გადამოწმებას ექვემდებარება, რამდენად და როგორ აუნაზღაურდებათ?**

— სოციალურად დაუცველის სტატუსის შეჩერების **განაცდური პერიოდის ფულადი შემწეობა მთლიანად აუნაზღაურდებათ, თუ მათ იგივე საცხოვრებელი პირობები და სოციალური მდგომარეობა ექნებათ.** რაც შეეხება სოციალური სტატუსის შეწყვეტას, იქ არ ანაზღაურდება.

**— ერთი რამ მინდა გკითხოთ, სოციალურად დაუცველებს წინა წლებში ჰქონდათ შესაბამისი ფურცელი, რომლის მიხედვითაც ისინი უფასო სამედიცინო დახმარებას ღებულობდნენ კონკრეტულად მითითებულ სამედიცინო დაწესებულებაში, ახლა როგორ არის ახალი წესების შესაბამისად?**

— ნებისმიერ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პიროვნებას, ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში შეუძლია მივიდეს და მიიღოს უფასო სამედიცინო დახმარება, ყოველგვარი ბარათის წარდგენის გარეშე. უნდა იქონიოს თან მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი საბუთი. მათი ელექტრონული მონაცემები აქვს ყველა შესსაბამის დაწესებულებას. ამდენად, მოქალაქეებს აქვთ სრული არჩევანი თუ სად იმკურნალებენ და არა აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ამბულატორია თუ სტაციონარი.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# არჩილ ჭყოიძე: მე ვიცი ქართველი ხალხის განწყობა — მას არ სურს რუსეთთან მუდმივი კონფრონტაცია!

**ინტერვიუ „ერეკლე II“-ის საზოგადოების თავმჯდომარესთან არჩილ ჭყოიძესთან**

**— არჩილ თქვენი ორგანიზაცია პრორუსულის იმიჯს ატარებს. ეს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ცუდად აღიქმება. რას იტყვით ამაზე?**

— ძალიან ბევრი პოლიტიკოსისგან მომისმენია, ჩვენ არც პროდასავლელები ვართ, არც პრორუსები. ჩვენ პროქართული ძალა ვართო. პროდასავლელი და პრორუსი ნიშნავს სიმპათიით განწყობილს რუსეთის ან დასავლეთისადმი, რაც, როგორც ჩანს, არ იციან, ვინც ამას ლაპარაკობს. რა არის პროქართული? ქართველი უნდა იყო სისხლით და ხორცით, სამშობლოსთვის თავდადებული უნდა იყო. და ეს არ ეხება მხოლოდ ეროვნებით ქართველებს. აქედან გამომდინარე, ხალხი, ვინც ვერ არკვევს პრორუსული და პროქართული რას ნიშნავს, არის პოლიტიკურად უმწიფარი.

ჩვენ მუდმივად ვსაუბრობდით და ვსაუბრობთ დღესაც, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს ყველა ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობები. მათ შორის რუსეთთანაც და პუტინი იქნება თუ ვინმე სხვა, ვინც შემოგვთავაზებს, რომ შევხვდეთ და ვესაუბროთ, უნდა შევხვდეთ.

როცა საუბრობენ ჩემს რუსულ ორიენტაციაზე, ნახონ ჩემი გამოსვლები რუსეთში. რას ვეუბნებოდი **ალექსანდრ დუგინს** შეხვედრის დროს, იგივე **ჟირინოვსკის,** ან „ედინაია რასიას“ ახალგაზრდულ შეხვედრის დროს. ყველა შეხვედრაზე, მაშინ, როცა ქართველ პოლიტიკოსებს პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული, მე ხმამაღლა ვამბობდი, რომ რუსეთის მხრიდან აფხაზეთის და სამაჩაბლოს აღიარება იყო შეცდომა.

ჩვენ ვსაუბრობდით და ახლაც ამას ვამბობთ, რომ უნდა შედგეს პირდაპირი დიალოგი.

ჟირინოვსკიმ, ან სხვებმა, შეგვაგინესო და არ უნდა დაველაპარაკოთო. ზუსტად მათ უნდა დაველაპარაკოთ, ვინც გვაგინებს, შევაცვლევინოთ აზრი და ისინი ჩვენს სასიკეთოდ გამოვიყენოთ — ისევ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, სავაჭრო ბაზრის გახსნისთვის.

**— რუსეთის ხელისუფლებამ ღვარცოფის დღეებში დახმარება შემოგვთავაზა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს გარე ძალების ზეწოლით მოხდა?**

— რუსეთის მხრიდან ეს შემოთავაზება ძალიან კარგი ჟესტი იყო და ჩვენ, მინიმუმ, მადლობა მაინც უნდა გვეთქვა ამაზე.

რამდენიმე დღის წინ სოჩაში მოხდა დიდი წყალდიდობა. ჩვენი ქვეყნიდან არავის გაუკეთებია წუხილის მსგავსი განცხადება, რაც რუსებმა ჩვენი მისამართით გააკეთეს 13 ივნისის ტრაგედიის დღეებში.

რაც ეხება დასავლეთს. არის ერთგვარი შიშის თუ რიდის ალბათობაც. მით უფრო, რომ, როდესაც ჩვენს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს ოლიმპიადის დღეებში რუსეთში ვიზიტი შესთავაზეს, მან საქართველოს მოსახლეობისადმი შეურაცხმყოფელი განცხადება გააკეთა. მან თქვა: პუტინთან შესახვედრად მჭირდება აშშ-ისა და დასავლელი პარტნიორების კონსულტაციებიო.

ბატონ მარგველაშვილს მინდა შევახსენო, რომ ის გახლავთ საქართველოს პრეზიდენტი.

მას, შეიძლება, ვერც წარმოუდგენია, რომ პრეზიდენტია და ბიძინა ივანიშვილი რომ არა, თავისი ოჯახის წევრებიც არ მისცემდნენ ხმას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უნდა გაითავისოს, რომ ამ ქვეყნის პრეზიდენტია და დამოუკიდებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპაც და ამერიკაც არ არის ერთსახოვანი და არსებობს აშშ-შიც ძალები, რომლებიც წინააღმდეგნი არიან მაგალითად, ახლახან მიღებული ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების საკითხის.

აშშ-ი მართლაც არ აძლევს საქართველოს დამოუკიდებელი მოქმედების და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების საშუალებას, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირდაპირმა დიალოგმა რუსეთთან პოზიტიური შედეგები უკვე მოგვიტანა, აბაშიძე-კარასინის ფორმატს ვგულისხმობ — სოფლის მეურნეობის პროდუქტების რუსეთის ბაზარზე გასვლა მაქვს მხედველობაში. დღეს უკვე იმაზე არის საუბარი, რომ ციტრუსი, ყურძენი, მწვანილი კვლავ მოხვდება რუსეთის ბაზარზე და ა.შ.

ახლახან ჩვენ შევხვდით შვეიცარიის ელჩს რუსეთში. ჩვენი შეხვედრა ბატონი ელჩის პიერ ჰელგის ინიციატივით შედგა თბილისში. ზუსტად იმ თემებს შევეხეთ, რაც აწუხებს ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს კოალიციას, — უნდა მოხდეს საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტი და საქართველოს ჰქონდეს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები რუსეთთან, ევროპის ქვეყნებთან, ისე, როგორც აქვს, მაგალითად, ისრაელს. ამ ქვეყანამ ახლახან მოაწერა ხელი ევრაზიულ კავშირთან თავისუფალ ვაჭრობას. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა პროვილეგიით ისარგებლებს, რითაც ევრაზიის ქვეყნები სარგებლობენ რუსეთის ბაზარზე.



ჩვენს უნდა გვქონდეს ჩვენი წონა ყველა პოლიტიკურ ასპარეზზე და არა ისე, როგორც, მაგალითად, ამერიკის ელჩი რომ გამოვიდა და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ურცხვად გააკრიტიკა: როგორ გაბედა და სამი არასამთავრობო ორგანიზაციის — კოჟორიძეების და მათ მსგავსთა შემოსავლების შემოწმების აუცილებლობაზე ილაპარაკაო.

აშშ-ის ელჩი უფრო მეტს საუბრობს ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ვიდრე ჩვენი პოლიტიკოსები.

ჩვენ უნდა ვიყოთ თანასწორ მდგომარეობაში და არა ვასალურ სიტუაციაში, როგორც დღეს ვართ.

უნდა გითხრათ, რომ რამდენიმე დღის წინ შევხვდით ევროკავშირის მისიის წარმომადგენელს, ბატონ **რადისლავ დარსკის** ლგბტ-ორგანიზაციების საკითხზე. ავუხსენით ბატონ რადომირს, რომ ევროპისკენ ორიენტაციის მოხარული ვართ, მაგრამ ის, რაც ჩვენი ტრადიციებისთვის მიუღებელია, ჩვენ არ მივიღებთ-თქო.

**— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ხელისუფლებაში უკვე იყოთ.**

— ამ რეპლიკის პასუხად თქვენს გაზეთს ექსკლუზიურად უნდა მივაწოდო ინფორმაცია, რომ რამდენიმე დღეში საინიციატივო ჯგუფი ჩემს კანდიდატურას დააყენებს საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად. მე ვიცი, როგორია ხალხის განწყობა. ხალხს სურს მოხდეს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება და არა დამონება.

საგარეჯოს მოსახლეობა თუ მხარს დამიჭერს, მე შევძლებ რუსეთის რამდენიმე დიდ ქალაქთან დაძმობილდეს საგარეჯო.

შევეცდები დიპლომატიური ურთიერთობები აღდგეს რუსეთთან და უვიზო მიმოსვლები შედგეს რუსეთის ფედერაციასთან. მანამდე პირველი ნაბიჯები გადაიდგმება იმ მიმართულებით, რომ საგარეჯოს მოსახლეობა უვიზოდ გადაადგილდეს რუსეთის მიმართულებით და თავისი პროდუქცია გაიტანოს იქაურ ბაზარზე.

**— არჩილ, საგარეო საფრთხეებზე რას იტყვით. კავკასიის რეგიონში ხალიფატის შექმნის საშიშროება არსებობს?!**

— ჩვენ ვხედავთ, რომ ხალიფატის შექმნის საშიშროება საქართველოს საზღვრებთან რეალური ხდება და რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩვენი ხელისუფლება ძალიან გულგრილად უყურებს ამას, თითქოს ეს საფრთხე საქართველოდან 300-400 კმ-ში არ იყოს.

საფრთხეები სწორედაც რომ აშშ-ისგან მომდინარეობს, რადგან ისინი აფინანსებდნენ და ამხედრებდნენ ბაშარ ასადის წინააღმდეგ რადიკალ ისლამისტებს. ეს ის მუსულმანი ტერორისტები არიან, რომლებიც ადამიანის ორგანოებს ცოცხლად ჭამდნენ. მოკლედ, ძალიან დიდი საშიშროებაა მათი მოახლოება ჩვენს საზღვრებთან.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში მილიონამდე მუსლიმი ცხოვრობს. სერიოზული სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი ჩვენს სპეცსამსახურებს, რომ საქართველოს რეგიონებში რადიკალურმა ისლამმა ფეხი არ მოიკიდოს.

რუსეთის ფედერაციასთანაც უნდა დავიწყოთ ამ საკითხებზე კონსულტაციები, რადგან მათ ამ კუთხით ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობების დიდი გამოცდილება აქვთ...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „კაბელების საქმე“, რომელიც, სინამდვილეში, სულაც არ არის მხოლოდ კაბელების საქმე...



**ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში, რომელსაც შეხმატკბილებულად ახორციელებდნენ, როგორც ალასანია და მისი გუნდი, ისე ნაციონალები, მათი მართული მედიასაშუალებები და არასამთავრობო სექტორის ყოვლისმცოდნეობაზე პრეტენზიის მქონე ნაწილი, ბოლო ხანს სხვა მძიმეწონიანი „მოთამაშეც“ ჩაერთო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სახით.**

**გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი.**

— ე.წ. კაბელების საქმეს, თავის დროზე, როცა ეს საკითხი გახმაურდა, ჩვენმა ორგანიზაციამ ის „სილქნეთის“ საქმედ შეაფასა, თუმცა მედიასაშუალებებმა, იმის გამო, რომ არ მომხდარიყო ამ მიმართულებით კონკრეტიკა, „სილქნეთთან“ დაკავშირებით, კონკრეტული ადამიანების იდენტიფიცირების საკითხი, მას ე.წ. კაბელების საქმე უწოდა. სინამდვილეში ეს იყო თავდაცვის სამინისტროსა და ხსენებულ კომპანიას შორის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული უთანხმოება, რომელიც ირაკლი ალასანიას შემდგომმა ხელმძღვანელობამ სადაო გახადა. საზოგადოებამ ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა იცოდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი და გარემოება, რაც მათ შეუქმნის რწმენას თუ რასთან გვაქვს საქმე. საქმის მასალების მიხედვით, თავდაცვის სამინისტროსა და „სილქნეტს“ შორის სერიოზული ტენდერის გარეშე დაიდო მომსახურეობის ხელშეკრულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების შეძენასთან და სამინისტროს ინტერნეტსისტემის უფრო მეტად დაცულობასთან დაკავშირებით, შესყიდვებზე გამოცხადებული კონკურსის დროს, რომელშიც რამდენიმე კომპანია მონაწილეობდა, არ მომხდარა კონკურენტული გარემოს შექმნა. ჩვენი ინფორმაციით, „სილქნეტის“ განაცხადი, სადაც მისი წინადადებები იყო მითითებული ე.წ. ჟიურის ოთახში შეტანამდე გაიხსნა, ანუ თავდაცვის სამინისტრომ წინასწარ იცოდა, რა პირობებს სთავაზობდა ეს კომპანია, რაც გამჭვირვალობისა და ფარულობის დარღვევაა. როგორც ამბობენ, ამ ფაქტთან დაკავშირებით სპეციალური ოქმიც შედგა, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ სხვა კონკურსანტები ამ ფაქტს არ აპროტესტებდნენ, რომელთა წინადადებები ფაქტობრივად არც განუხილავთ, ისე გამოეთიშნენ კონკურსს, უპირატესობა მიენიჭა „სილქნეთის“ საგანაცხადო წინადადებას, მათ შორის ფინანსური თვალსაზრისითაც. როგორც ექსპერტები ამბობენ და საქმის მასალებიდან იკვეთება, თავდაცვის სამინისტრო ამ მომსახურებით ფინანსურად დაზარალებული რჩებოდა, რადგან იგი თანხას იხდიდა იმ კაბელებში, რომელიც „სილქნეთს“ კონკრეტულ მონაკვეთებზე ისედაც უკვე გაყვანილი ჰქონდა, კომპანია უბრალოდ ვალდებულებას იღებდა, რომ რამდენიმე წვერი კაბელი დაემატებინა, რათა უკეთ უზრუნველეყო დაცვის კუთხით ეს მიმართულება.

**- ხელოვნურად იყო „გაბერილი“ შესრულებული სამუშაო?**

- რასაკვირველია, თანაც თურმე სპეციალური ტექნოლოგიით უნდა გაითხაროს ნიადაგი კაბელის ჩასადებად და არც ეს წესები იყო დაცული. ხსენებული გარიგებით თავდაცვის სამინისტრო იმაზე მეტ თანხას ხარჯავდა, ვიდრე ეს საბაზრო ეკონომიკური პირობებიდან და შესასრულებელი სამუშაოებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სხვა კომპანიას უნდა განეხორციელებინა. ამ ხელშეკრულების ექსპერტიზიდან გამომდინარე, სწორედ ეს არის მთავარი სათქმელი. საქმე იმაშია, რომ გამოძიება მიმდინარეობდა არა თანხის მითვისების, არამედ გაფლანგვის ბრალდებით, ანუ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს იმ თანხის გაფლანგვას ედავებიან, რითაც სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. მოგეხსენებათ, საქმე სასამართლო განხილვის ეტაპზეა, რაც შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელების მცდელობა გახდა. პირველ რიგში, აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რატომ გახდა ეს საქმე პოლიტიკური დისკუსიის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოძიების მიმართ თანაბარი ინტერესი უნდა ჰქონოდა, როგორც სახელმწიფოს, ისე მინისტრ ალასანიას, რომ გარკვეულიყო: დაიდო თუ არა სახელმწიფოსა და „სილქნეთს“ შორის ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანია უფრო მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა; რატომ არ მოხდა შესყიდვის პროცესში კონკურენტების წინადადებების განხილვა; რომელი კომპანიები ვერ აკმაყოფილებდნენ იმ პირობებს, რომელიც რატომღაც დააკმაყოფილა „სილქნეთმა“; კონკურსამდე ხომ არ მიმდინარეობდა რაიმე ფარული მოლაპარაკება ხსენებულ კომპანიასა და თავდაცვის სამინისტროს შორის, რომელმაც ყველა სხვა კომპანია კონკურსს მიღმა დატოვა, ხომ არ სთავაზობდნენ ეს კომპანიები უფრო ხელსაყრელ პირობებს. როგორც ამბობენ, ამ კომპანიებს უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდათ, თუმცა მათ მიერ მომზადებული წინადადებები არ იქნა გათვალისწინებული და გაზიარებული. გავრცელებული ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროსა და „სილქნეთის“ წარმომადგენლებს კონკურსამდეც ჰქონდათ კომუნიკაცია, ამ უკანასკნელთათვის ცნობილი იყო, რომ სამინისტრო ინტერნეტსისტემის დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელებას აპირებდა, შესაბამისად კონკურსმა ფორმალური სახე მიიღო, უპირატესობა „სილქნეთს“ მიენიჭა, რაც სავარაუდოდ წინასწარ იყო შეთანხმებული. სახელმწიფომ ამ კომპანიის მომსახურეობაში 5 თუ 6 მილიონ ლარზე მეტი გადაიხადა, არადა იმ პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც ხელშეკრულების შინაარსზე მუშაობდნენ შეეძლოთ თანხა გაეთვალათ და შესაბამისობაში მოეყვანათ ბაზრის ღირებულებასთან, რაც არ მომხდარა, ამით დაირღვა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ბაზრის ღირებულების შესწავლის პრინციპი, ხელშეკრულება დაიდო სწორედ ამ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამორიცხვით და სახეზე გვაქვს ერთი კომპანიისთვის უპირატესობის მინიჭება. ისმის კითხვა, იცოდა თუ არა ამის შესახებ მინისტრმა ალასანიამ, რომელიც მოლაპარაკების მხარე იყო, როგორც კონკურსამდე, ისე ხელშეკრულების მომზადების პროცესში. იმ პირებს, რომლებიც ხსენებულ სს-ის საქმეში ბრალდებულებად ფიგურირებენ, ფინანსებთან შეხება ნამდვილად არ ჰქონიათ, მაგრამ სახელშეკრულებო ურთიერთობის მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართული, ხოლო „სილქნეთთან“ მოლაპარაკების უზრუნველყოფა მინისტრმა ალასანიამ თავის ერთ-ერთ მოადგილეს ალექსი ბატიაშვილს დაავალა, უშუალოდ ის ხელმძღვანელობდა სახელშეკრულებო ურთიერთობების პროცესში მონაწილეობას. ჩემი ინფორმაციით, ფიქსირდება ბატონ ბატიაშვილსა და „სილქნეთის“ კომერციულ დირექტორს ბაჩო ჩინჩალაძეს შორის, რომელიც მაშინაც ამ თანამდებობას იკავებდა, ნათესაური კავშირი, ჩინჩალაძის დედა თამარ ბატიაშვილი ალექსი ბატიაშვილის ახლო ნათესავი, ფაქტობრივად ოჯახის წევრია. მხარეები ყველა მოქმედებას, ყველა დოკუმენტურ მიმოწერას ალექსი ბატიაშვილისა და ბაჩო ჩინჩალაძის მეშვეობით ახორციელებდნენ, დოკუმენტების მიხედვით, ხელშეკრულების დადების პროცესში მათ შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები იმ საერთო სარგებლობის პირობებზე, რომელმაც შემდგომ სადაო გახადა ხელშეკრულება. ამიტომ დაინტერესდა თავის დროზე პროკურატურა და ამ საკითხთან დაკავშირებით მოწმედ დაკითხა ბატონი ბატიაშვილი. ჩემი აზრით, ბატონმა ბატიაშვილმა თავისი დაინტერესება ჭარმოაჩინა იმგვარად, რომ ხელშეკრულება დაიდო იმ კომპანიასთან, რომლის უმაღლესი მენეჯმენტის წარმომადგენელთანაც ნათესაური კავშირი ჰქონდა და სახელმწიფომ ამ შემთხვევაში გადაიხადა გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა გადაეხადა. დაუშვეს თუ არა ბრალდებულებმა სამართლებრივი შეცდომა, ეს გამოძიებისა და მართლმსაჯულების გასარკვევია. გამოძიება მიიჩნევს, რომ მათ უნდა გაეთვალისწინებინათ ბაზრის კვლევა და სწორედ ამის მიხედვით უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების ძირითადი და მთავარი პირობების ჩამოყალიბება. არსებობს უამრავი კითხვა, რომლებზე პასუხის გაცემა მხარის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, მაგრამ მხარე ამ მიმართულებით დუმს. ირაკლი ალასანიას, როგორც პოლიტიკოსის შეხედულებებმა მნიშვნელოვნად დააზარალა მართლმსაჯულების ინტერესები. ჩემი აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე დავით ჯუღელი პირდაპირ მოექცა პოლიტიკური წნეხის ქვეშ და მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რა-





საც მსოფლიო სასამართლო ისტორიაში ანალოგი არ აქვს, მან დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო, როგორც საინჟინრო საექსპერტო დასკვნა, ისე ბრალდების შესახებ დადგენილება, თუ ეს დადგენილება უკანონო იყო, აბა მთელი რვა თვის განმავლობაში რა საქმეს იხილავდა სასამართლო? პროკურატურამ ხსენებული გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანად გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გელა ბადრიაშვილმაც ასევე სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა აღნიშნული მტკიცებულებები დასაშვებად ცნო და საქმე ისევ საქალაქო სასამართლოს, კერძოდ, მოსამართლე დავით ჯუღელს დაუბრუნდა. მოსამართლე ჯუღელი ახლა თვითწნეხის ქვეშ მოექცა, მას ერთის მხრივ ბოლომდე უნდა ალასანიას გუნდის ინტერესები, ამიტომ გირაოს მაგივრად ხსენებული გუნდის თავდებობის ქვეშ გაათავისუფლა განსასჯელები, თუმცა უარი თქვა დაცვის მხარის შუამდგომლობაზე საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით, რაც ორმაგად მეტ კითხვას ბადებს. ცნობისთვის, დავით ჯუღელი მხოლოდ წინა სასამართლო განხილვას აწარმოებს, საქმის არსებითი განხილვა სხვა მოსამართლის მიერ მოხდება.

**- თქვენი აზრით, რატომ მიიღო მოსამართლე ჯუღელმა ისეთი გადაწყვეტილება, რაც სამართლებრივ ნონსენსად შეფასდა?**

- როდესაც საზოგადოებამ მსჯელობა დაიწყო მოსამართლის დამაბნეველ, მაგრამ ძალიან კარგად ასახსნელი მოქმედების თაობაზე, სასამართლოს ხელმძღვანელობამ სამოქალაქო სექტორს მოუწოდა, რომ არ ვყოფილიყავით კრიტიკული ხსენებული მოსამართლის მიმართ და არ მოვახდინოთ ზეწოლა სასამართლოზე, თუმცა სამწუხაროდ არ განმარტა რა გადაწყვეტილება მიიღო ამ მოსამართლემ და რაზე მიუთითა მას სააპელაციო სასამართლომ, ეს უფრო საინტერესო იქნებოდა საზოგადოებისთვის. როცა დაიწყო მსჯელობა, რომ მოსამართლე პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა, ჩვენმა ორგანიზაციამაც დასვა ეს კითხვა დავით ჯუღელის მიმართ, ოფიციალური წერილიც გავაგზავნეთ კითხვით, რომ ის ადასტურებდა თუ არა ნათესაურ კავშირს მასსა და ალასანიას პარტიის წევრს შორის. არსებული ინფორმაციით, ალასანიას პარტიის უსაფრთხოების უფროსი კახა ჩიხრაძე და მოსამართლე ჯუღელი ახლო ნათესავები არიან. მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხსენებული მოსამართლე სავარაუდოდ კორუფციულ გარიგებაში შევიდა „თავისუფალ-დემოკრატებთან“. ბუნებრივია, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ, რა სახის დაინტერესება იყო, საგამოძიებო ორგანოებმა სასწრაფოდ უნდა გაარკვიონ ეს ყველაფერი და ჩემი აზრით, ამ საქმეში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც უნდა ჩაერთოს. სხვათა შორის, ხსენებული ხელშეკრულების შეფასებისგან თავს იკავებს თავდაცვის ახალი მინისტრი თინა




ხიდაშელი და ჩემი აზრით, სწორადაც იქცევა, ის სასამართლოს საბოლოო, ძალაში შესულ გადაწყვეტილებას ელოდება, ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია, მინისტრი ასე უნდა იქცეოდეს. თუ ჩვენ გვაქვს მესამე ხელისუფლება მართლმსაჯულების სახით, სიმართლე მან უნდა გაარკვიოს, ყველა კითხვას მან უნდა გასცეს პასუხი. მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული საქმიდან პოლიტიკური კონტექსტი გამოვრიცხოთ, დავუბრუნოთ სასამართლოს ნდობა, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ნუ მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებს, რომელიც ვინმეს პოლიტიკური კარიერის გადამრჩენი. რაც ახლა ხდება, არის ჯანსაღი პროცესი, მაგრამ სამწუხაროდ ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები, მხოლოდ ერთ პოზიციაზე მსჯელობენ. მე ვერ დავინახე ამ საქმით დაინტერესებული ცალკეული ორგანიზაციების მხრიდან შეფასებები, რატომ ტყუის ან რატომ არ არის კარგად დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს იმიტომ ხდება, რომ მათაც ძალიან კარგად იციან ბრალდების დადგენილების და საექსპერტო დასკვნის საქმეზე არდართვა, რომ სამართლებრივი ნონსენსია. აბა რა რჩებათ არგუმენტად განსასჯელების დაცვის მხარეს და იმ არასამთავრობოებს, რომლებიც ირაკლი ალასანიას ლობისტური საქმიანობით არიან დაკავებული? რჩებათ მხოლოდ საზოგადოებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, თუ პროფესიონალიზმზე ვსაუბრობთ, ვისაუბროთ დოკუმენტებით და არა ვარაუდებით ამ საქმესთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური საექსპერტო დასკვნა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ყოველწლიურად ათი ათასობით აქვს გაცემული, თავად დავით ჯუღელს ბოლო სამი წლის განმავლობაში 250 მაინც ექნება გამოყენებული თავის სამართლებრივ გადაწყვეტილებებში, რატომ გამოიყენა მან ამ შემთხვევაში ორმაგი სტანდარტი ჩემთვის გაუგებარია. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი თემა, რასაც მონიტორინგის თვალსაზრისით ბოლომდე გავყვებით.

ირაკლი ალასანიას შეფასებიდან ისე ჩანს, რომ, როცა „ახალგაზრდა ადვოკატები“ ამ თემასთან დაკავშირებით რაიმე ფორმით აქტიურობენ, ისინი ხელისუფლების პოზიციას ახმოვანებენ, არადა სად იყო ხელისუფლება, როცა პირველებმა ვთქვით,



რომ ალასანიას მინისტრობისას ამ უწყებაში ადგილი ჰქონდა ჯარისკაცების მოწამვლას, რასაც უწყების წარმომადგენლები საჯაროდ უარყოფდნენ, ხოლო დოკუმენტურად გვიდასტურებდნენ, შემდგომ ამ ფაქტების რეალობა დადასტურდა. მინდია ჯანელიძის მინისტრობისას გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ 50 ობიექტში ელემენტარული ჰიგიენური პრობლემები არსებობდა, ისიც საინტერესოა, ახალი მინისტრი როგორ უყურებს ამ საკითხს. თუ ხელისუფლების წარმომადგენლები ჩვენს პოზიციას იზიარებენ, ამას ცხადია, მივესალმებით, არასამთავრობო სექტორი იმისთვის არსებობს, რომ გააკონტროლოს ყველა სფერო. როდესაც იურისტები ვსაუბრობთ ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვები, როცა მოსამართლე ამბობს, რომ ბრალდების შესახებ დადგენილება არ არის მტკიცებულება და ამას ეთანხმება ხუთი ე.წ. ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია ქართული სახელწოდებით, ეს არის სრულიად მიუღებელი და მოსახლეობაში სიცრუეში შეყვანის მცდელობა. საზოგადოებასაც ჭირდება ალტერნატიული სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი პოზიციებით, ფორმულირებული არ იქნება რომელიმე გრანტის ფარგლებში. სამწუხაროდ, ჩვენ შესაცვლელი გვაქვს ეს სტერეოტიპები და მიდგომები, სიმართლის თქმა გრანტთან კავშირში არ უნდა იყოს. ირაკლი ალასანიამ მოახერხა, რომ დაერწმუნებინა ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ე.წ. კაბელების საქმეში მხარს უჭერენ მის პოზიციებს, მაგრამ ისინი მხარს მხოლოდ იმიტომ უჭერენ, რომ მხარი არ დაუჭირონ ხელისუფლების ინიციატივებს და არა იმიტომ, რომ რეალობაა, რასაც „თავისუფალი დემოკრატები“ ამ საქმესთან დაკავშირებით ამბობენ.

**- როგორ შეაფასებთ ხსენებულ საქმეზე საერთაშორისო გამოხმაურებას, ვგულისხმობ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს.**

- ქართულმა საზოგადოებამ, იმ ხალხმა, ვისაც განსჯის და შეფასების უნარი გვაქვს, ამ საკითხში ძალზე მარტივი მიდგომები უნდა ამოვიკითხოთ, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში გამოქვეყნებამდე დიდი ხნით ადრე მზადდება, ამიტომ იქ შესულ თემებთან დაკავშირებით, უმეტესობა პრობლემებისა თუ რეკომენდაციების ფორმულირება იმ ლობისტებთან ურთიერთობის შედეგად ხდება, რომლებიც სახელმწიფო დეპარტამენტსა და ქართულ მხარეს შორის არსებობენ, ეს შეიძლება იყოს არასამთავრობო სექტორი ან რომელიმე პოლიტიკური პარტია, ვინც დეპარტამენტს მუდმივ რეჟიმში აწვდის ინფორმაციას საქართველოში სხვადასხვა სფეროში არსებულ ვითარებაზე. რა მიმართულებითაც ისინი იმუშავებენ, დაარწმუნებენ ანგარიშის ავტორებს, ბუნებრივია ანგარიშიც იმგვარად იქნება ფორმულირებული. ჩემი ვარაუდით, ალასანიას პარტიამ თავისი საერთაშორისო კონტაქტებიდან გამომდინარე უკეთესად იმუშავა, არ გამოვრიცხავ, რომ ნაცმოძრაობამ იმუშავა თავისი ძველი კონტაქტებით, რადგან მათ ძალიან აწყობთ მაღალი ტრიბუნიდან იმის გაჟღერება, რომ საქართველოში შერჩევითი მართლმსაჯულებაა, რათა მათი მმართველობის დროს მართლაც არსებული ორმაგი სტანდარტი გადაიფაროს ამით და საზოგადოებრივი აზრი, მხოლოდ დღეს არსებულ პრობლემებზე იყოს მიმართული. ფაქტია, რომ ხსენებული ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს მთავრობას და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს (მათ შორის ჩვენ ორგანიზაციას), რომლებსაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან მისასვლელი გზები ჩაკეტილი აქვს. ამიტომ ხსენებული ანგარიში არის პოლიტიკური და არა სამართლებრივი დოკუმენტი, ის ვერ იტყვის, რომ საქართველოში მართლმსაჯულება მიკერძოებულია, რადგან ეს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევაა, რაც კანონით აკრძალულია, მაგრამ იმის ხაზგასმა, რომ საქართველოში რაღაც არასწორად კეთდება, ეს, როგორც გითხარით, ლობისტური მუშაობის შედეგია, სხვათა შორის გიგი უგულავას 9-თვიან პატიმრობაზე ყურადღების გამახვილებაც პოლიტიკური ოპოზიციის ძალიან კარგად მუსაობის შედეგია. ჩვენ ეს ყველაფერი ისე უნდა მივიღოთ, როგორც სახელმწიფოებრიობის ნიშნებს შეესატყვისება, როგორც სრულფასოვანმა მთავრობამ და სრულფასოვანმა მოქალაქეებმა ისე უნდა მივიღოთ, ან გავითვალისწინოთ, ან არა, ან უნდა ვთქვათ, რომ ეს არასწორია, ანდა სამოქალაქო რეაქცია უნდა არსებობდეს, რომ დაველოდოთ გამოძიებას. თუ კრიტიკაა, ის დაზუსტებული უნდა იყოს, იცის კი სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომ ქართველი მოსამართლე ამბობს ბრალდების დადგენილება მტკიცებულება არ არისო. თუ იცის და მაინც ამბობს, რომ საქართველოში შერჩევითი მართლმსაჯულებაა, მაშინ ეს არის უკიდურესად მოტივირებული ანგარიში ამ ნაწილში, ხოლო თუ არ იცის, უნდა გავაგებინოთ. მე რომ ბრალდების მხარე ვიყო, ამ გადაწყვეტილებებს ინგლისურად ვთარგმნიდი და სახელმწიფო დეპარტამენტში გავაგზავნიდი, რომ გაიგონ რეალურად რა ხდება. ხელისუფლება ლობისტური მიმართულებით რომ არ მუშაობს ეს კარგიცაა და ცუდიც, ცუდია, როცა ხელისუფლებას არ გააჩნია სწორი პიარკომუნიკაციის სტრატეგია, მაგრამ კარგია, როცა ის საკუთარ წარმატებებსა თუ რეფორმებს თავზე რომ არ ახვევს, რომელიმე ქვეყნის მთავრობის ანგარიშის ავტორებს, თავად ამ ქვეყნებმა უნდა იმუშაონ ამ მიმართლებით, მათ იმიტომ აქვთ საელჩოები სხვადასხვა ქვეყანაში, რომ საელჩომ უზრუნველყოს რეფორმის თუ სხვა ცვლილებების ასახვა და მიწოდება.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

**იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**
**www.saertogazeti.ge**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

## დენის დავითაშვილი:

# რატომ აგონებს პროფესიული განათლების პროფლიდერს თამარ სანიკიძე დიმიტრი შაშკინს?

**„იცით, რატომ არის სამშენებლო ობიექტებზე ამდენი უცხოელი მუშა? იმიტომ, რომ ჩვენს მოსახლეობას საშუალება არა აქვს მიიღოს სრულყოფილი პროფესიული განათლება. მშენებლობაზე კი პროფესიონალი მშენებლები. მლესავები, შემდუღებლები და ელექტრიკოსები ჭირდებათ.“**

**ამ და სხვა საკითხებზე „საერთო გაზეთს“ პროფესიული განათლების პროფკავშირების თავმჯდომარე დენის დავითაშვილი ესაუბრა.**

ბოლო 20 წელია, აქტიურად მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის მიზანდასახული ნგრევა და განადგურება. სისტემას განსაკუთრებულად მძიმე პერიოდი 2007-2012 წლებში დაუდგა, როცა მიიღეს დამანგრეველი კანონი პროფესიული განათლების შესახებ. შეგახსენებთ, რომ ამ კანონმა პრობლემები შეუქმნა ახალგაზრდებს, რომლებსაც პროფესიულ კოლეჯებში ხელობის მიღების შემდეგ, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება სურდათ. იმავე 2010 წელს, შაშკინის ერთი ბრძანებით ლიკვიდაციაში გაუშვეს 25-მდე პროფესიული კოლეჯი. აგრარულ ქვეყანაში რომ 25-დან 22 სასოფლო სამეურნეო პროფილის კოლეჯს დახურავ, ამას ქვეყნის მტრობის გარდა არ ვიცი რა ქვია. თუ გიფიქრიათ, რატომ არის სამშენებლო ობიექტებზე ამდენი უცხოელი მუშა? თურქი, ჩინელი, ინდოელი.. იმიტომ, რომ ჩვენს მოსახლეობას არა აქვს საშუალება მიიღოს სრულყოფილი პროფესიული განათლება. მშენებლობაზე კი სწორედ პროფესიონალი მშენებლები, მლესავები, შემდუღებლები და ელექტრიკოსები ჭირდებათ. დამანგრეველი რეფორმების წყალობით, პროფესიული განათლების სისტემის უმძლავრესი ქსელიდან თვრამეტიოდე კოლეჯი დაგვრჩა და ისიც სწავლების დაბალი დონით. სწორედ ამ მიზეზების გამო, 2009 წლიდან მოყოლებული, ღიად დავუპირისპირდი დიმიტრი შაშკინს და დავიწყე ბრძოლა დახურული კოლეჯების აღდგენისთვის, იმისთვის, რომ რეგიონებში უსაქმურად დარჩენილი, ბირჟაზე დამდგარი ახალგაზრდები და უმუშევრად დარჩენილი პედაგოგები სასწავლო აუდიტორიებში დაგვებრუნებინა. რასაკვირველია, ახალი განათლების მინისტრის გამოჩენას დიდი იმედებით შევხვდით. გვჯეროდა, რომ ჯერ გიორგი მარგველაშვილი და შემდეგ თამარ სანიკიძე გაითვალისწინებდნენ ჩვენს გამოცდილებას და სწორ დასკვნებს გამოიტანდნენ. თავიდან მართლაც გვეკითხებოდნენ სისტემაში არსებული პრობლემებისა და მათი გამოსწორების გზებზე და როცა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს, ჩვენთან ყოველგვარი კომუნიკაცია გაწყვიტეს. **სამწუხაროდ, ჩვენი იმედები, რომ თამარ სანიკიძე და მისი გუნდი სისტემაში ჯანსაღ და საჭირო რეფორმებს გაატარებდა, არ გამართლდა. დღევანდელი სამინისტრო ზუსტად იმეორებს დიმიტრი შაშკინის პოლიტიკას, რომელმაც სოციალურ პარტნიორებთან დიალოგის გამართვის ნაცვლად, 2011 წელს ეროვნული პროფესიული საბჭოს შემადგენლობიდან გამოგვიყვანა.** 2012 წელს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამ საბჭოს შემადგენლობაში ისევ შეგვიყვანა, მაგრამ თამარ სანიკიძემ, რომელიც ხშირად მაგონებს დიმიტრი შაშკინს, ისევ თავიდან მოგვიცილა. ამ დროს, რა უნდა ვიფიქრო გარდა იმისა, რომ დღევანდელი განათლების მინისტრისთვის, რომელიც ექს-მინისტრის პოლიტიკას აგრძელებს, შაშკინთან დაპირისპირებული ყველა ადამიანი მიუღებელია. ალბათ, ამიტომაა, რომ განათლების სამინისტროს ყველა დეპარტამენტი დღემდე შაშკინის კადრებითაა დაკომპლექტებული. ეს ხალხი არ შეცვლილა და არც შეიცვლება, ამიტომ, იბლოკებოდა და იბლოკება ყველა საკითხი, რომლის სამინისტრომდე მიტანასაც ვცდილობთ.



**დენის დავითაშვილის თქმით, კოლეჯების დაფუძნების ცალკეული მცდელობები წარუმატებლად დასრულდა. ამის მაგალითად, პროფლიდერი წინა ხელისუფლების დროს გაუქმებული მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული ცენტრის მაგალითს ასახელებს.**

2013 წლის 19 აპრილს ჩვენი ინიციატივით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მინისტრ მარგველაშვილს დაუდო დასკვნა, რომელშიც ეწერა, რომ სამართლიანობის აღდგენისა და პროფესიული განათლების ხელშეწყობისთვის, აუცილებელია დიმიტრი შაშკინის მიერ ლიკვიდირებული 26 პროფესიული კოლეჯის თავიდან დაფუძნება. მაშინვე ჩანდა, რომ ეს არც იმდროინდელი მინისტრის მარგველაშვილის და არც მისი იმდროინდელი მოადგილის თამარ სანიკიძის ინტერესებში არ შედიოდა. არადა, ეს კოლეჯები ამზადებდნენ მეხილეებს, მებოსტნეებს, მევენახეებს, მეფუტკრეებს, მეციტრუსეებს, ვეტერინარებს და ა.შ. ვინმეს წარმოუდგენია სოფლის მეურნეობის აღორძინება ამ დარგების სპეცილისტების გარეშე? 26 რაიონის დეპუტატებმა, სადაც ეს კოლეჯები დაიხურა, ხელისუფლებას არაერთხელ მიმართეს ახალი კოლეჯების დაფუძნების თხოვნით, მაგრამ დაპირებების იქით საქმე არ წასულა. 2013 წელს თითქოს „ყინული დაიძრა“ და დაიწერა ბრძანება გაუქმებული თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული ცენტრის დაფუძნების თაობაზე. წერეთლის 134-ში შეარჩიეს ადგილი, სადაც კოლეჯი უნდა გახსნილიყო. ამ ადგილას მდებარეობდა შაშკინის მიერ დახურული მსუბუქი მრეწველობის პროფესიული კოლეჯი. 2014 წელს განათლების სამინისტროს მიერ მილიონ 222 000 ლარად გამოცხადებულ ტენდერში 400 000 ლარით ნაკლები თანხით გაიმარჯვა ერთადერთმა მონაწილემ. რომ გვეგონა, კოლეჯის დაფუძნებას ხელს აღარაფერი უშლიდა, 2015 წელს დაიდო შესაბამისი სამსახურების მიერ მომზადებული დასკვნა, სადაც ეწერა, რომ შენობა ავარიულია და ტენდერის შედეგები უნდა გაუქმდეს. ეს ყველაფერი წერია სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში, რომელიც ახლახან მივიღეთ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა- რატომ არ შეამოწმა განათლების სამინისტრომ შენობა ტენდერის გამოცხადებამდე? თავის დროზე, როცა შაშკინმა კოლეჯი დახურა, შენობის დასაკუთრების სურვილი ძალიან ბევრს ჰქონდა. მოდიოდნენ და სურათებს უღებდნენ, მაგრამ ჩვენ ამ შენობის გაყიდვის საშუალება არავის მივეცით. ეს იყო საკმაოდ გამართული კაპიტალური შენობა, რომელსაც ავარიულობის არაფერი ეტყობოდა, ამიტომ საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ შენობის ავარიულობა გამოგონილია და კოლეჯის ტერიტორია ვინმეს სახლის ასაშენებლად ან ბიზნესის საწარმოებლად უნდა გადასცენ. მომხდარი მხოლოდ სამინისტროს ხელმძღვანელობის უსუსურობაზე და არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს.





დავითაშვილი ყურადღებას „პროფესიული განათლების შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანაზეც ამახვილებს და განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ცვლილებებს სრულიად უვარგისს უწოდებს. წარმოდგენილი სახით ცვლილებების მიღება პროფესიული განათლების სისტემის საბოლოოდ დანგრევას გამოიწვევს – აცხადებს პროფესიული კავშირის ლიდერი. რატომ არ მოხვდა საკანონმდებლო ცვლილებებში პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გადავადება და რატომ იყრება წყალში ამ კატეგორიის ახალგაზრდების პროფესიული განათლებისთვის გამოყოფილი ფული წყალში? დენის დავითაშვილის თქმით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრის დავალებული ჰქონდა, იანვრის თვეში შეემუშავებინათ ყოვლისმომცველი კანონპროექტი, „რეფორმის განხორციელებისათვის– პროფესიული განათლების კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“. შარშან ამისთვის 381 ბრძანებით შეიქმნა სპეციალური მუშა ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც გახლავართ. 1 აგვისტომდე ვიმუშავეთ და 18 სხდომა ჩატარდა, მაგრამ ვერც ერთი თავი, ვერც ერთი მუხლი, ვერც ერთი პუნქტი ვერ შეიქმნა, რადგან განათლების სამინისტომ, რომ გამოგვიცხადა, ჩვენ თვითონ შევიმუშავებთ ყველაფერს კანონ-პროექტს დავდებთო. ვერც კანონპროექტი შეიმუშავეს და ვერც იურიდიული სახე მისცეს, მხოლოდ მოტყუებით, პრემიერ-მინისტრისთვის და პარლამენტისთვის „თვალში ნაცრის შეყრით“ ცდილობენ ცვლილებების გატანას. ყოვლისმომცველ ცვლილებებში, რომელიც უნდა შემუშავებულიყო, იგეგმებოდა შესულიყოპროფესიული კოლეჯების სტუდენტებისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადება. ჩვენ ამასთან დაკავშირებით, საუბარი გვქონდა ბატონ სესიაშვილთან და ის წინააღმდეგი არ წასულა. ბევრი ახალგაზრდა, რომელიც პროფესიულ კოლეჯში 17 წლის ასაკში შედის, სწავლის დასრულებას ვერ ასწრებს, რომ ჯარში იწვევენ და გამოდის, რომ მათი სწავლებისთვის დახარჯული საბიუჯეტო სახსრები ნიავდება. სახელმწიფოებრივი მიდგომა იქნებოდა, რომ ახალგაზრდების მცირე ჯგუფისთვის, დაახლოებით 3-4000-ის ფარგლებში, სამხედრო სავალდებულო სამსახურის ერთი წლით გადავადების საშუალება მიგვეცა. სამაგიეროდ, ისინი კოლეჯებს დაამთავრებდნენ, ხელობას მიიღებდნენ და იმ ხელობის შესაბამისად შეძლებდნენ საჯარისო ფორმირებებში ემსახურათ. ერთწლიანი წყვეტის შემდეგ, უამრავ ახალგაზრდას აღარც პროფესიის დაუფლების და აღარც უმაღლესში გაგრძელების სურვილი არა აქვს. კანონპროექტში, რომელიც პარლამენტში შევიდა, ეს საკითხი გაკვრითაც კი არაა ნახსენები. დაახლოებით 18 სხდომა ჩაატარა სპეციალურმა კომისიამ და არსებობს იმის დამადასტურებელი ოქმები, რომ ყველა ეს საკითხი განხილული იყო, მაგრამ განათლების სამინისტროს არც ერთი არ გაუთვალისწინებია. იქიდან, რაზეც ერთი წელი ვილაპარაკეთ, არაფერი არ გაკეთებულა და კანონის ფორმა არ მიუღია. ამის მაგივრად, შემოიტანეს რაღაც უაზრო, უშედეგო და არაფრის მომცემი ცვლილებები, რაც სრული არაპროფესიონალიზმისა და უვიცობის შედეგია. მე შეხვედრა და საუბარი მქონდა პარლამენტის თავმჯდომარესთან, მის პირველ მოადგილესთან მანანა კობახიძესთან და განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან ვანო კიღურაძესთან. მე მათ გავაცანი ჩვენი პოზიცია და ვუთხარი, რომ განათლების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული კანონპროექტი მთლიანად დაანგრევს პროფესიული განათლების სისტემას. მიუხედავად სამინისტროს დიდი სურვილისა, რომ სწორედ ამ სახით მოხდეს კანონის მიღება, მეეჭვება, რომ დეპუტატები პროფესიული განათლების სისტემის საბოლოოდ დანგრევას მოაწერენ ხელს.

***წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავიგეთ, რომ 27 ივნისს პარლამენტმა განათლების სამინისტროს მიერ შეთავაზებული კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო. ჩვენ დაგვიკავშირდა პროფესიული განათლების პროფკავშირების თავმჯდომარე და გვითხრა, რომ 30 ივნისს პრეზიდენტს განცხადებით მიმართავს, რათა მისთვის მინიჭებული უფლება გამოიყენოს და პროფესიული განათლების დამანგრეველ კანონს ვეტო დაადოს. მარგველაშვილის მინისტრობის დროინდელი პერიოდის მოგონებებიდან გამომდინარე, დენის დავითაშვილის მოთხოვნას დაკმაყოფილების თითქმის არავითარი შანსი აქვს, თუმცა მოვლენებს წინ არ გავუსწრებთ და პრეზიდენტის გადაწყვეტილებას დაველოდებით.***

**ნელი თორდია**

571 35 36 88

# როდის დაიწყება არასამთავრობოთა საქმიანობის შესწავლა საქართველოში?!

გასულ კვირას რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ მათი ქვეყნის დუმაში მუშავდება კანონპროექტი. საკანონმდებლო აქტის მიხედვით, რუსეთში მოქმედ არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომელთაც ჩვენში არასამთავრობოებად იცნობენ და ისინი საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან, რუსეთში ეკრძალებათ საქმიანობა. კანონის შექმნის მიზეზად ავტორები უცხოეთის აგენტების ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ასახელებენ. მათივე ინფორმაციით, 2013 წელს რუსეთში ამ ორგანიზაციების ანგარიშებზე 35 მილიარდი, ხოლო შარშან 70 მილიარდი რუბლი დაერიცხათ. ამის გარდა, როგორც თქვეს, კანონის დაჩქარებული წესით შექმნის და მიღების მიზეზი გახდა ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთმა ასეთმა ორგანიზაციამ რუსეთის მოსახლეობას ინტერნეტ-სივრცეში მოუწოდა ყირიმში დასვენებისგან შეიკავონ თავი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, უკრაინის ხელისუფლების თანხმობით ესტუმრონ ყირიმს.

შესაძლოა, მავანი შემოგვედაოს, რა შუაშია ჩვენთან რუსეთში მიმდინარე პროცესები, მით უფრო, ამ ქვეყანას საქართველოს ტერიტორიების 30 პროცენტი აქვს ოკუპირებულიო. დიახ, ამ ქვეყანასთან ბევრი პრობლემა გვაქვს, მაგრამ საერთო გასაჭირიც არსებობს. რუსეთის პოლიტიკა იმთავითვეა ცნობილი. არც მალავენ და ღიადაც ამბობენ, რომ მიაქვთ, რაც ცუდად დევს. ჩვენ რას ვუპირისპირებთ მათ ქმედებებს, ეს გახლავთ საკითხავი. თუმცა, ეს სხვა თემაა.

გადმოვინაცვლოთ საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში რამდენი არასამთავრობო ორგანიზაციაა, ძნელი დასადგენი აღმოჩნდა. აქვე სათქმელია, რომ ჩვენში, როგორც ასეთი, არასამთავრობო ორგანიზაციები არ არიან. ოფიციალურად მათ არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირებად მოიხსენიებენ (როგორც რუსეთში და, ალბათ, ყველგან). რუსეთისგან განსხვავებით, ჩვენი არასამთავრობოების ფინანსური ინფორმაცია დახურულია. თანხის რაოდენობა კი არა, საერთოდ, ვინ აფინანსებს ასეთებს, ესეც კი გასაიდუმლოებულია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ორგანიზაციები ძირითადად (რამდენიმე ქართული საქმის საკეთებლად დაფუძნებული ორგანიზაციის გამოკლებით) უცხოეთიდან ფინანსდებიან და იქიდანვე იმართებიან.

საქართველოში არასამთავრობოთა რაოდენობა განსაკუთრებით 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გაიზარდა. პირსისხლიანი, „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის წევრებმა განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს. არასამთავრობო ორგანიზაციები დააარსეს და ახლა ადამიანის უფლებების დამცველებად გვევლინებიან ადამიანები, რომელთა საქმეებიც, სულ ცოტა, პროკურატურად უნდა შეისწავლოს.

ჩვენში მოქმედი არასამთავრობოების საქმიანობა ფართო საზოგადოებას გულზე არასოდეს რომ არ ეხატებოდა, არახალია. გავიხსენოთ თუნდაც თავისუფლების ინსტიტუტი და მისი პირმშოს „კმარას“ საქმიანობა. ამ ორგანიზაციებმა გამოჩენისთანავე დაიმსახურეს ხალხში ანტიპათია პროვოკაციული ქმედებების გამო. „ვარდების“ გადატრიალების შემდეგ ამ ორგანიზაციების წევრები სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებში მოგვევლინენ.

ვთქვათ სიმართლე, ესოდენ მომრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი მხარდამჭერი პრესა-ტელევიზიები პირდაპირ შეტევაზე არიან გადმოსულნი, ებრძვიან ყველა ქართულ გამოვლინებას და რაც მთავარია, ჩვენს სახელმწიფოს, რომელიც ახლა დგება ფეხზე. ამის თქმის საფუძველს ბევრი გარემოება გვაძლევს. გავიხსენოთ სამალავებში ნაპოვნი ფარული ჩანაწერები, რომელთა განადგურებასაც დაჟინებით ითხოვდნენ და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც საწადელს. ამიტომ თქვეს „ნაცებმა“: „დაგვიმტკიცეთ, ბატონო, ჩვენი დანაშაულიო“. მათ, ფაქტობრივად, შეძლეს გაენადგურებინათ დანაშაულის მტკიცებულებები. აღარაფერს ვამბობთ მოსმენების ე. წ. „გასალებზე“, რომელსაც უცხოელებს უგდებდნენ ხელში.

გასაგებია მეგობარი ქვეყანა, მაგრამ მიმოვიხედოთ, რა ხდება აშშ-გერმანიის, აშშ-საფრანგეთის ურთიერთობებში, სადაც მაღალჩინოსნებსაც კი უსმენენ. საუბედუროდ, არასამთავრობოებს ის პოლიტიკური პარტიებიც ეხმარებიან, რომლებიც ვითომ ებრძოდნენ „ნაცმოძრაობის“ რეჟიმს. ამით დაამტკიცეს დამნაშავე რეჟიმთან უნისონში ყოფნა.

სავიზო რეჟიმის გამკაცრებაზე ხომ ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს „ნაცმოძრაობასთან“ ერთად. ლარის კურსის რყევაც კი ამას დააბრალეს, ტურისტები ველარ შემოდიანო. ჩვენი გაზეთი ადრეც წერდა, რომ სავიზო რეჟიმის გამარტივებით „ნაცმოძრაობა“ იყო და არის დაინტერესებული, რადგან ბნელი ზრახვები ამოძრავებთ.

„ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურებამ დაგვანახა, რომ თურმე აუცილებელია არა მარტო სავიზო, არამედ საპასპორტო რეჟიმის გამკაცრება. დავანებოთ თავი ამ ორგანიზაციას და გავიხსენოთ გასულ კვირას გამოვლენილი იარაღით ვაჭრობის ფაქტი. ქვეყნის უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებელია საზღვრების გამაგრება. ეს ძალიან კარგად იციან, როგორც არასამთავრობოებმა, ასევე ზოგიერთმა პოლიტიკოსებმა, მაგრამ საქართველო მათ არ ადარდებთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად უცხოეთიდან ფინანსდებიან. გაწეული მუშაობის ანგარიშს იმ ქვეყნის მთავრობის წევრებს აბარებენ, საიდანაც თანხა შემოსდით. იქნებ დადგეს საკითხი, საქართველოს მოსახლეობამ ის მაინც ვიცოდეთ, ვინ რომელი ქვეყნიდან ფინანსდება. თუმცა, ალბათ, ძნელი გასარკვევი იქნება, რადგან სპეცსამსახურები თავიანთ აგენტურას იშვიათად რომ შეელიონ. ამ აგენტებს შორის ხომ ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსი თუ „პოლიტტუტკაც“ არის.

იქნებ მიგვებაძა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის და ჩვენს ქვეყანაზე, სამშობლოზე, სახელმწიფოზე გვეზრუნა, თუნდაც რადიკალური ნაბიჯების გადადგმა დაგვჭირდეს, თორემ ესენი საქართველოს შეიწირავენ.

**გია ბურდული**
**551 71 27 07**

## მოსაზრება

# მაჟორიტარები — გვჭირდება თუ არა ისინი?!



***ბოლო პერიოდში კვლავ ძალზე აქტუალური გახდა მომავალი საპარლამენტო არჩევნების თემა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ამტკიცებს, რომ საერთოდ უნდა გაუქმდეს ე. წ. მაჟორიტარების ინსტიტუტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აღარ ეყოლებათ თავიანთი წარმომადგენლები.***

რა კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს საქართველოს პარლამენტის მიერ ამ დღეებში მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის აზრით, ჩვენს ქვეყანაში „დაარეგულირებს“ ე.წ. „არჩევნების“ პრობლემას?

დავიწყებ ცოტა შორიდან. ამ საქმეში ხელებს გვარიანად აფათურებდნენ და აფათურებენ პოლიტიკოსები, რომლებიც ცნობილი ჟურნალისტის თეიმურაზ ქორიძის მტკიცებით, „ძირითადად უპროფესიო და ხელმოცარული ადამიანები ბრძანდებიან.

ხმამაღლა ნათქვამად არ ჩამითვალოთ, უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში „პოლიტიკოსებს“ ობიექტურად და მიუკერძოებლად რომ განეხილათ და დაინტერესებულიყვნენ ამ პრობლემის თაობაზე ჩვენს მიერ გამოქვეყნებული მოსაზრებებით, მაშინ ასეთ უსუსურ დოკუმენტს არ მიიღებდნენ.

საუბარი და მსჯელობა შორს რომ არ გაგვექცეს, გაგაცნობთ რამდენიმე ამონარიდს ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებული სტატიებიდან.

„თუ გვინდა, რომ პარლამენტში მოხვედრისადმი გაფეტიშებული დამოკიდებულება შეიცვალოს და იქ მოხვდნენ განსწავლული და კანონპროექტებზე მომუშავე მაღალი დონის სპეციალისტები, მაშინ პარლამენტარებს უნდა მოეხსნათ ყოველგვარი იმუნიტეტი“.

„აქსიომაა, რომ ყველა ადამიანს აქვს პროფესიული განვითარების ზღვარი. აქედან გამომდინარე, ჩვენმა მომავალმა პარლამენტარებმა კარგად უნდა გაიაზრონ საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების ზღვარი და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრონ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თავიანთი კანდიდატურების წამოყენებაზე“.

სხვისი არ ვიცი და პირადად მე, ყბადაღებული ტერმინი „პოლიტიკოსი“ ძალიან მაღიზიანებს. ერთი საათის განმავლობაში დაარეგისტრირე ნებისმიერი პარტია, სიტყვა დემოკრატია გაურიე თავში, შუაში და ბოლოში და იძახე მერე, რამდენიც გინდა, პოლიტიკოსი ვარო.

არ შეიძლება კი არა, დანაშაულია ენდო ისეთ ე. წ. პოლიტიკოსს, რომელმაც პარტიულ სიაში გამსვლელი ადგილის მოპოვებისთვის ქრთამი გადაიხადა. დიახ, დიახ, ქრთამი გადაიხადა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამავე სიბრტყეში განვიხილავ ყველა გრანტიჭამია ე. წ. პოლიტიკურ პარტიას. ხმამაღლა უნდა განვაცხადო, რომ შენი ქვეყნის სასიკეთოდ ან ლამაზი თვალებისთვის არავინ არანაირ გრანტს არ არიგებს.

პოლიტიკური ასპარეზიდან ანუ ქვეყნის მართვის სადავეებიდან ე. წ. პოლიტიკოსთა ჩანაცვლების ჩვენეულ ვარიანტს ბევრი არარეალურად ჩაგვითვლის. მაგრამ ამ უკურნებელი სენისგან გათავისუფლების სხვა გზა აღარ ჩანს. წამლებით მკურნალობა დაგვიანებულია და „ავადმყოფს“ ვეღარ ვუშველით. საჭიროა რადიკალური ქირურგიული ჩარევა, რაც სარისკოა, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელი.

მართალია, მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულ დონეზე არეგულირებს წინასაარჩევნო პერიოდში სააგიტაციო საშუალებების თანაბარი გამოყენების პრობლემებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ეს რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ კანონმდებლობას ესაჭიროება სერიოზული დახვეწა და სრულყოფა, რომელმაც მომავალში უნდა გამორიცხოს ის ამაზრზენი შედეგები, რომლებთანაც დღეს გვაქვს საქმე. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ფულიან და უფულო კანდიდატს უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებების გამოყენების თანაბარი შესაძლებლობები!

უფრო გამოვკვეთილად რომ ვთქვა, მოსახლეობა, ანუ ამომრჩეველი ვიღაცის მიერ შერჩეულ და დანომრილ დეპუტატობის კანდიდატებზე მეტად უპარტიო მაჟორიტატარს უფრო ენდობა, რადგან ისინი თავიანთი ამომრჩევლების წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი.

**ანზორ ბაბუხადია**
**საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი**



# მაინტერესებს, თუ ბატონ შალვას მართლაც აქვს სერიოზული თანხები უცხოურ ბანკებში, რატომ არ შეაქვთ ნათელაშვილისგან განგომილებს სარჩელი პროკურატურაში ამ საქმის გამოძიების მოთხოვნით?!

**რამდენიმე დღის წინ ჩემი მობილური ტელეფონის ნომერზე დარეკა ვინმე გიორგი რურუამ, რომელმაც თავი იურისტად და ლეიბორისტული პარტიის მხარდამჭერად გამაცნო და მითხრა: უნდა შეგხვდეთ, ინტერვიუ მინდა ჩაიწეროთო. მე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი.**

**ჩვენ რედაქციაში შევხვდით. გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი რურუასთან.**

**— თქვენ რა სტატუსით მესტუმრეთ, გიორგი? პარტიაში იციან, რომ თქვენი ანალიზი გსურთ გაზეთში დაიბეჭდოს პარტიის სახელით?**

— მათ იციან ჩემი შესაძლებლობების შესახებ და საერთოდ, მთელი ლეიბორისტული პარტია მოწოდებულია იქითკენ, რომ ადამიანებმა თავიანთი აზრი თავისუფლად გამოხატონ.

თანაც ჩვენი საუბრები შეთანხმებული არის გარკვეულ ადამიანებთან და ბატონ შალვასთანაც.

მე თქვენთან ვარ, სტუმრად, როგორც პარტიის წევრი, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობს და არავითარი დიქტატურა ლეიბორისტულ პარტიაში არ არსებობს.

რაც შეეხება ბრალდებებს.

მე ძალიან გამაკვირვა ბატონი **სოსო შატბერაშვილის** კომენტარებმა.

ის ამბობს, რომ ძალიან აღშფოთდნენ ქალბატონი ბელა ალანიას საარჩევნო სიაში ჩასმის გამო. რატომ არ ჩასვეს სიაში ის ადამიანები, რომლებიც აქტივისტები არ იყვნენ, მაგრამ არაპირდაპირი გზით უჭერდნენ მხარს პარტიის მიმართულებასო.

ჩემი ანალიტიკური ხედვიდან გამომდინარე, ეს იყო შეუთანხმებლობა სიაზე. ამიტომ სოსო შატბერაშვილს, შეიძლება, ვინმე საჭირო ადამიანი ჰყავდა მოაზრებული სიაში ჩასასმელად და არა მხოლოდ **სოსო შატბერაშვილს,** არამედ მათ ტანდემს მთლიანად.

რამდენადაც ვიცი, ბატონი შატბერაშვილი ლიდერობდა იმ ჯგუფს, რომლებიც ახლა თავს „მემარცხენე ალიანსს" უწოდებენ, ანუ **ძაგანიას, ჯიბლაძეს** და სხვებს. **სოსო შატბერაშვილი** გახლდათ ყოჩი. ეს ბატონ შალვას შენიშნული ჰქონდა. ხედავდნენ პარტიაშიც, რომ დღესდღეობით განდგომილი ადამიანები აქტიურობდნენ არა პარტიის, არამედ თავიანთი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე და კონკრეტულად, ბელა ალანიაზე საუბარი არის თითიდან გამოწოვილი რამე.

სხვათა შორის, რამდენადაც ვიცი, ეს ადამიანები ქალაქის მერიასთან იყვნენ ძალიან ახლოს. მერიის მაღალჩინოსნებთან მეგობრობდნენ, ძალიან ბევრ საქმეს აკეთებდნენ თავიანთთვის სასარგებლოს, საკუთარი ახლობლებისთვის და კარგადაც ითბობდნენ ხელს.

**— კონკრეტულად?**

— მე როგორც ვიცი, **მამუკა ქაცარავასთან** ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა.

ბატონი სოსო ინტერვიუში არ ასახელებს კონკრეტულ წლებსა და სხვა თარიღებს. კონკრეტულად, როდის გაიგო ბატონი შალვას კონტაქტებზე **შევარდნაძესთან, სააკაშვილთან,** ლოგიკურად, მაშინ **ბიძინა ივანიშვილთანაც** უნდა ყოფილიყო შეკრული. მე მაინტერესებს, რომელ პერიოდში გახდა ეს ამბავი ცნობილი შატბერაშვილისთვის. კონკრეტული წყარო უნდა დაასახელოს.

როცა იგი ამბობს, ნათელაშვილი „ნაცმოძრაობასთან" იყო დაკავშირებულიო, წარმოუდგენელია მას ეს სცოდნოდა, თუ თვითონ არ იყო „ნაცმოძრაობის" გარკვეულ წრეებთან დაკავშირებული.

ჩემთვის ცნობილია, რომ ბატონი სოსო ახლო კონტაქტში იმყოფებოდა წინა ხელისუფლების კუდ-ის სამსახურთან. ეს პარტიაში ცნობილი თემა იყო. ამის შესახებ, დაახლოებით, ორი-სამი წლის წინ გავიგეთ. პარტიაში ითქვა, რომ სოსო შატბერაშვილს საიდუმლო შეხვედრები ჰქონდა ნაციონალებთან და, ასე ვთქვათ, „ვერბოვკას" უკეთებდა „მემარცხენე ალიანსის" ახლანდელ წევრებს, რათა გადამწყვეტ მომენტში დარტყმა მიეყენებინათ ლეიბორისტული პარტიისთვის. ისინი, ახლაც, მოსალოდნელია, ნაციონალებისგან იმართებოდნენ.

**— ახალგაზრდა ბრძანდებით და გემახსოვრებათ, ბატონი შალვა, თუ ის პრეზიდენტი გახდებოდა, „თავის მთავრობაში" ბიძინა ივანიშვილს პრემიერ-მინისტრობას სთავაზობდა. როგორ ახსნით ამ ფაქტს?**

— ბატონმა შალვამ კარგად იცოდა, რომ ივანიშვილი არჩევნებისთვის ემზადებოდა. ის მოიშორებდა სააკაშვილს, რომელთანაც ძალიან ახლოს იყო თავის დროზე და ასევე ძალიან მალე ხელისუფლებაში მოვიდოდა. ეს იცოდა ბატონმა შალვამ და როცა ივანიშვილს პრემიერობა შესთავაზა, ამით უთხრა: მოსცილდი „ნაცმოძრაობას", იყავი ლეიბორისტული პარტიის მხარდამჭერი, ანუ პარტიის, რომელიც მოქმედებს ეროვნული პრინციპებით, გავაკეთოთ ხალხისთვის სასარგებლო საქმეო.

ისევ თქვენს მიერ ჩაწერილ ინტერვიუს მივუბრუნდები.

ბატონი შალვასგან განდგომილები ამბობენ, რომ ნათელაშვილი თანხებს ფლობს უცხოურ ბანკებში. მე ძალიან მაინტერესებს, რატომ არ შეიტანეს განცხადება შატბერაშვილმა და ძაგანიამ პროკურატურაში ამ საქმის გამოძიების მოთხოვნით?!

ყოველივე ეს, ჩემი აზრით, მათი მხრიდან პიარის ნაწილია და ანგარიშების დამადასტურებელი დოკუმენტები, შეიძლება ყალბიც იყოს.

როცა ლაპარაკობენ, შალვამ თქვა, შეიძლება **ანატოლი მოტკინი მერაბიშვილის** კაციც იყოსო, დასკვნა ასეთია, რომ შატბერაშვილს ნათელაშვილზე მეტი ინფორმაცია ჰქონია, რადგან მოტკინის და მერაბიშვილის ბიზნესპარტნიორობაზე დამაჯერებლად ლაპარაკობს.

თუ შატბერაშვილმა დარწმუნებით იცის, რომ ნათელაშვილმა მოტკინისგან ფული აიღო, მაშინ თვითონ გამოდის განაწყენებული, რომ მას გარკვეული წილი არ მიუვიდა, ანუ დივიდენდებზე ვერ შეთანხმდნენ, სავარაუდოდ, ნათელაშვილი და შატბერაშვილი.

მე მომხრე ვარ იმისა, რომ ამ საკითხებზე გამოძიება დაიწყოს პროკურატურამ და ვინც იქნება დამნაშავე — დაისაჯოს.

მინდა გავახსენო ბატონ შატბერაშვილს: პარტიაში რომ მოვიდა, მორყეული გაზ-31-ით დადიოდა, მერე შეიძინა ვერცხლისფერი ტოიოტა-პრადო. გაგვცეს პასუხი, საიდან გაუჩნდა ფული?!

**— იურისტი ვარო, მითხარით და გეკითხებით: (ვაჩვენებ დეკლარაციებს, ნათელაშვილის ოჯახის წევრების სახელებზე გაფორმებული თანხების დოკუმენტებს — ი.კ.) ეს შეიძლება იყოს ყალბი?**

— დიახ, ეს არის დოკუმენტი, მაგრამ ამას აუცილებლად სჭირდება ექსპერტიზა. ეს, შეიძლება, კონკრეტულმა ადამიანმა შეადგინა და მოსალოდნელია, ფალსიფიკაცია იყოს. არის ასევე კონტექსტის პრობლემა. ანუ რაღაც ისტორიასთან არის დაკავშირებული თანხის გადარიცხვა. ეს არ არის დასტური იმისა, რომ ეს ფული შალვა ნათელაშვილის პირად ანგარიშზეა. თანხა, შეიძლება, დროებით იყოს ამ ფორმით, გარკვეული საქმისთვის გამოსაყენებლად.

**— თუ ლეიბორისტული პარტიისთვის იყო საჭირო ეს თანხები, ბელა ალანიას და ნათელაშვილის შვილების ანგარიშებზე რატომ არის ჩარიცხული?**

— ფაქტია, რომ თანხები მითითებულია კონკრეტულ ადამიანებზე, მაგრამ მიზეზი არ არის ნაჩვენები, ამიტომ ვერ ვიმსჯელებთ, რომ ეს ნათელაშვილის ოჯახის საკუთრებაა.

აქ არ ჩანს ისტორია, რატომ და რისთვის არის ეს თანხები ქ-ნ ბელას ანგარიშზე. ამით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს.

რაც ეხება **კოზზონისადმი** გაგზავნილ წერილს, უბრალოდ, ჩია კაცობაა ასეთ რამეებზე გამოკიდება.

**ჟირინოვსკის** და **ლუჟკოვს**, უბრალოდ, შეხვედრას სთხოვს ბატონი შალვა გაცნობის მიზნით. აქ არის ცნობისმოყვარეობის თემაც. მაგრამ რატომ არ აკეთებენ აქცენტებს ბატონი შალვას ამერიკულ ვოიაჟებზე?

**— დიახ, რატომ დადის ბატონი შალვა ამერიკაში?**

— ბატონ შალვას, შეიძლება, ძალიან არ სიამოვნებს ეს, მაგრამ ასეა აწყობილი ყველაფერი. ამერიკიდან ხდება გადაწყვეტილების მიღება და შალვა ნათელაშვილი ცდილობს დაარწმუნოს იქ ხალხი, რომ ცოტა სამართლიანობა დამყარდეს ჩვენთანაც. ისინი ფუთავენ თავიანთ ქმედებებს სამართლიანობის საფარველით, სინამდვილეში, ეს ჩემი აზრია, მხოლოდ თავიანთი სახელმწიფოსთვის არიან სასარგებლონი.

სახელმწიფოს მართვას სჭირდება დასავლეთთან და აშშ-სთან კონტაქტი.

**— ბატონი შალვა პროდასავლელი პოლიტიკოსია?**

— ჩემი ღრმა რწმენით, ის ეროვნული კაცია, მაგრამ ამერიკის გარეშე საქართველოში არჩევნები არ ტარდება.

**— მაშინ ჟირინოვსკისთან რაღა უნდოდა. სად სცალია პოლიტიკური პარტიის ლიდერს ხალხის გასაცნობად მოსკოვში სასიარულოდ?**

— პოლიტიკოსმა ყველგან და ყველასთან უნდა ილაპარაკოს. პირად სიმპათიებზე არ უნდა ააგოს ურთიერთობები.



**— ახლახან ფოსტალიონი ჯემ გაავრცელა: ამერიკაში მცხოვრები გამსახურდიას მომხრეები წერენ, რომ შატბერაშვილმა ერთ-ერთ მათგანს თვალი ამოსთხარა 1993 წელს. რას ფიქრობთ, ის ადამიანები რატომ სდუმდნენ 22 წელიწადი და როგორც თვითონ აღნიშნავენ, უპატიოსნეს შალვა ნათელაშვილს რატომ არ უთხრეს, ნუ აჩერებთ თქვენთან თვალისმთხრელ შატბერაშვილსო?**

— ნუ, ეს, დაუფიქრებელი განცხადებაა მათი მხრიდან.

**— კიდევ რაიმეს დამატება ხომ არ გნებავთ, ან რაიმე განცხადება რომ არ გსურთ გააკეთოთ?**

— არა, ჩემი აზრით, რაც მინდოდა, ვთქვი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „საერთო გაზეთი“ №22-23

# სტალინი — მაგია, ოკულტიზმი და ლურჯი ზეცა


სტალინი

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში, ძველი დავიწყებული ცოდნის აღორძინება დაიწყო. ყალიბდებოდა საძმოები და ორდენები „ჭეშმარიტი სიბრძნის მაძიებლები“ ცოდნის გასაღრმავებლად აღმოსავლეთს წლობით სტუმრობდნენ...

1930წელს ჰიტლერი და ჰიმლერი „ტულეს საძმოს“ წევრები იყვნენ, მოგვიანებით მათ დააარსეს კვლევითი ინსტიტუტი „წინაპრების ნაკვალევი“, სიმბოლო მზე-სვასტიკა. ინსტიტუტი 50 ფილიალს მოიცავდა, მათი წევრები ინსტრუქციებს ჰიმალაიდან იღებდნენ. აღნიშნულ პერიოდში ჰიტლერის და გურჯიევის „თანამშრომლობას“ ადასტურებენ სხვადასხვა წყაროები... გურჯიევმა, ევროპაში ყოფნის პერიოდში, დაამუშავა და ჩამოაყალიბა ადამიანთა რასობრივი დაყოფისა და კლასიფიკაციის სისტემა. სვასტიკის არსიც მან გაანდო ფიურერს. წიგნი „მაგების ბრძოლა“ გურჯიევმა 1915წელს დაწერა და მისი სცენარით პეტერბურგში თოჯინების თეატრში დადგმულმა სპექტაკლმა წარმატება მოიპოვა. გენერალურ რეპეტიციას გურჯიევის თხოვნით სტალინიც დაესწრო. ვფიქრობ, ერთგვარი მინიშნება იყო. სტალინს და ჰიტლერს მომავალში ბრძოლა მოუწევდათ. ძნელი სათქმელია, იცოდა თუ არა მაშინ ბელადმა გურჯიევის და ადოლფის საიდუმლო შეხვედრების შესახებ.

ჰიტლერიც და სტალინიც დაინტერესებულები იყვნენ „რუნებით“ და მის სიმბოლოებს აქტიურად იყენებდნენ. განსაკუთრებით ადოლფი. მის ყველა საბრძოლო დანაყოფს ჰყავდა თავის მაგი „ჩჩ“ სტრუქტურა თავიდან შეიქმნა, როგორც მაგიური ორდენი, 1940 წელს არც ერთი ოფიცერი არ იყო მაგიის სპეცკურსის გავლის დამადასტურებელი დიპლომის გარეშე. „ჩჩ“ წარმოადგენს ორმაგ რუნას სახელწოდებით „გამარჯვება“. მისტიკოსები თვლიან, რომ ზუსტად რუნების მაგიამ ააღორძინა ფაშიზმი. ლუბიანკაზე ჯერ კიდევ დერჟინსკის დროს ახალი, სპეც.ტექნიკური მერვე განყოფილება შეიქმნა. „რკინის ფელიქსი“ ძალიან ცნობისმოყვარე ადამიანი ყოფილა, დაინტერესებული პარანორმალური მოვლენებით და ოკულტიზმით. აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფდა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას და მასზე კონტროლს. ასევე იკვლევდნენ პარანორმალურ მოვლენებს და ოკულტურ საფუძვლებს. განყოფილებას ხელმძღვანელობდა — გლებ ბოკი. ამავე განყოფილებაში მუშაობდა ბიოფიზიკის დარგში პროფესორი ბარჩენკო. ამ განყოფილებას კურატორობას თვით დერჟინსკი უწევდა. სტალინი პარტიის საქმეებით იყო დაკავებული და აღნიშნული განყოფილების არსებობის შესახებ მხოლოდ დერჟინსკის სიკვდილის შემდგომ შეიტყო და მასზე კონტროლი ბუხარინს გადააბარა. ამ განყოფილებამ „აღუძრა“ დაზვერვას ტიბეტის ინტერესი. ასევე რერიხის „დამუშავების“ სურვილიც, რადგან, ტიბეტის კვლევას და შამბალას ძებნას მთელი სიცოცხლე მიუძღვნა. სტალინი განვითარებულმა მოვლენებმა დააფიქრა — პარალელური სამყაროს არსებობას ყმაწვილობის პერიოდიდან გრძნობდა, მის შესასწავლად სერიოზული ინსტიტუტის შექმნაზეც ფიქრობდა, თუმცა უამრავი წინააღმდეგობა არსებობდა, საჭირო იყო კვალიფიციური კადრები, ასევე ბუნებრივი ოკულტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების მოძიება, არსებობდა საშიშროებაც, აღნიშნული ჯგუფი ვეღარ გაეკონტროლებინა. პოტენციური მტრები კი მას არ ხიბლავდა. ამიტომ განსაზღვრული დროით ეს საკითხი დაიხურა.

1922 წელს ბეხტერევმა გამოსცა წიგნი „კოლექტიური რეფლექსოლოგია“, სადაც აღწერილია ფსიქიკური ეპიდემია, როგორც ენერგეტიკული პროცესი როგორ აერთიანებს მასებს, მაგრამ ხელოვნურად გამოწვევის ხერხებზე ნაშრომში აკადემიკოსი არ საუბრობს. მისი ნაშრომებია „შთაგონება და მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“, „შთაგონება დისტანციაზე“. .ბეხტერევი დუროვთან ერთად აწარმოებდა კვლევებს ცხოველებზე. მათ აძლევდნენ აზრობრივ დავალებებს, ასევე გადასცემდნენ ტელეპატიურ სიგნალებს ამა თუ იმ მოძრაობის შესასრულებლად. ეძებდნენ რადიოტალღების გადაცემის საშუალებებს, რომელიც შესაძლებელს გახდიდა აზრის ტრანსლაციას. .მკვლევარები აღნიშნულ ეტაპზე შედეგებით უკმაყოფილოები დარჩნენ. რადგან შედეგის მიღება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ეფექტის მიღწევა დიდ დროს მოითხოვდა. შემდეგი ექსპერიმენტი 1925 წელს განხორციელდა. ცდა დისტანციაზე, კოლექტიური ემოციის შთაგონებაზე ჩატარდა. ემოცია, აზრებისგან განსხვავებით, თითქმის ყველა ადამიანს ერთნაირი აქვს, ამიტომ ემოციურ ფონზე აზრის შთაგონება უფრო წარმატებულად ხორციელდება. შემდეგ დაიხვეწა ტექნიკა აზრობრივი სიგნალით გაძლიერებულ შთაგონებაზე. ექსპერიმენტი — აზრების გადაცემა დისტანციაზე ტელეპატიურად, ემოციური მდგომარეობის მართვა ტრანსლაციით, (რომელიც რადიოსტუდიის ჩვეულებრივი მიკროფონით ხდებოდა) გამოყვეს რადიოსიგნალის კომპლექსი განსაზღვრული ტემბრით და რითმით, რომელიც აძლიერებდა შთაგონებას. მოკლედ, შექმნეს ფსიქიკურ-იდეოლოგიური იარაღი, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა და, სავარაუდოდ, ჩვენს ეპოქაში უფრო დახვეწილი სახით გამოიყენება მოწინააღმდეგის დეზორგანიზების, პარალიზების და დამონებისათვის. თუმცა მეცნიერი აღნიშნულ შედეგზე სულაც არ ფიქრობდა, როგორც აინშტაინი ატომური ბომბით გამოწვეულ შესაძლო მსოფლიო საფრთხეზე. რასაკვირველია, ბეხტერევის ექსპერიმენტების წარმატებულად განხორციელებულმა შედეგმა, გარკვეულ ხელმოცარულ ადამიანებში, შურის ცეცხლი დაანთო და შესაბამის ორგანოებს დააკავშირა. იდეოლოგიურ აპარატს მაშინ თავისი ნოვატორები ვოიტოლოვსკი და რეისნერი წარმოადგენდნენ. შესაძლოა, ????-ში მიხვდნენ, რამხელა აღმოჩენასთან ჰქონდათ საქმე. კვლევები სპეცსამსახურების ზედამხედველობის ქვეშ განსაზღვრული მიმართულებით გაგრძელდა. ბეხტერევთან მომუშავე ერთ-ერთი მეცნიერი, რომელიც კვლევების დასაწყისში რამდენიმეჯერ სტუმრობდა გერმანიას და იქიდან კვლევებისთვის საჭირო ტექნიკაც ჩამოჰქონდა, მოულოდნელად, საიდუმლო კვლევის დოკუმენტებთან ერთად გაქრა. რასაკვირველია, ის გერმანიის ხელისუფლების დავალებათ მოქმედებდა და დროზე მოაწრო ქვეყნის დატოვება. ბეხტერევი კი სერიოზული დარტყმის ქვეშ დააყენა. მისი მეთოდები აპრობირებული და დამუშავებული იყო. ამიტომ კვლევები, ვოიტოლოვსკის და რეისნერის ხელმძღვანელობით, გაგრძელდებოდა. ბეხტერევი თავის გუნდთან ერთად „დაადუმეს“. ძნელი სათქმელია, ბეხტერევის კვლევები სტალინმა ან ჰიტლერმა ვის წინააღმდეგ ან რისთვის გამოიყენეს, მაგრამ ფაქტია, სტალინის პოპულარობა კოსმიური სიჩქარით იზრდებოდა, ვრცელდებოდა როგორც ფსიქიური ეპიდემია. სსრ კავშირში შემავალ სხვადასხვა ტრადიციების, ეროვნების, მენტალიტეტის ხალხში სტალინი ერთნაირ ემოციას იწვევდა. ანალოგიური ხდებოდა ჰიტლერის შემთხვევაშიც, ხალხისთვის ისიც ბელადი იყო. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? მხოლოდ პროპაგანდის შედეგს ვერ დავაბრალებთ. ჰიტლერი აქტიურად იყენებდა შთაგონების ელემენტებს, სტალინი სახალხო გამოსვლებს ერიდებოდა, შეგნებულად თავს არიდებდა ფართო აუდიტორიებს. არც იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებოდა, აპლოდისმენტები, აღფრთოვანებები და გადაჭარბებული ემოციები რომ აღაგზნებთ. სტალინი გამოირჩეოდა უბრალოებით, თავშეკავებით. ორიენტირებული იყო არა ხალხის ემოციების აღგზნებაზე, არამედ საღ აზროვნებაზე, ის შთაგონების ნაცვლად დამტკიცებას ცდილობდა. ჰიტლერი სრულიად საპირისპიროდ შთაგონების სხვადასხვა ხერხებს იყენებდა. მაშ რა იყო მაგიური სტალინში? — როგორ შექმნა ღირსეული ერის მამის სახე, რომელსაც რეპრესირებული ოჯახებიც კი აღიდებდნენ. ამომწურავი პასუხი, ვფიქრობ, არ არსებობს. ფსიქოლოგიური ზეწოლის ხერხებიდან რომელსაც მიმართავდა სტალინი. შეინოვი თავის წიგნში გამოყოფს კაბინეტში სიარულის ან ერთ ადგილზე დგომის ჩვევას, როცა სხვები ზიან. ასევე დინჯ, შესვენებებით საუბარს, რომელიც ავტორის აზრით აღიქმება ნდობის მოპოვების მცდელობად. ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიით, რომელიც ექსპერიმენტებს ეყრდნობა, დამტკიცებულია, რომ გაცილებით დიდი ნდობით სარგებლობენ სწრაფი, ენერგიულად მეტყველი ორატორები, როგორებიც იყვნენ: კერენსკი, ტროცკი, ჰიტლერი. შეინოვი აღნიშნავს, რომ სტალინი იყო ცუდი ორატორი, მას რომ სტალინს მეტოქეებთან: ბუხარინთან, კამენეევთან, ტროცკისთან, ზინოვიევთან ყველა პარამეტრებით უნდა წაეგო... შეინოვი არ იყო ისტორიკოსი და ნაკლებად ეყრდნობოდა დოკუმენტურ წყაროებს, თან აშკარად გორბაჩოვ-ელცინის ანტისტალინურ პროპაგანდის ილუზიაშია გახლართული. ჰიტლერიც არ გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით, ამ ჟანრის ვირტუოზი გებელსი ჰყავდა. სტალინი არ იყო დაკავებული არაორდინარული მონაცემების განვითარებით, ფიურერმა კი ამ საქმეს მრავალი წელი დაუთმო, სტალინს უყვარდა ღვინო, ცხარე ხორციანი სადილი, ეწეოდა, ჰიტლერი ვეგეტარიანელი იყო, არ ეწეოდა და არც ალკოჰოლს იღებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ერთმანეთს დაუპირისპირდა სტალინის და ჰიტლერის მიერ გადამუშავებული დოქტრინები — კომუნისტური და ფაშისტური. ბრძოლას ორ მაგს შორის გურჯიევი თვალს ამერიკიდან ადევნებდა, ფსონს რომელზე ჩავიდა, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ აღნიშნულ პერიოდში მას სტალინთან ურთიერთობა გაციებული ჰქონდა. ამბობენ, ხშირად აწუხებდა ნატყვიარი ჭრილობა, რომელიც კავკასიაში მიიღო. რატომ? ეს მხოლოდ ვიწრო წრემ იცოდა. 1904 წელს სტალინთან ერთად ჭიათურაში საფოსტო დილიჟანი დააყაჩაღეს, თანხა კი რევოლუციონერების შეკრებაზე აქტივს გადასცეს. მას სხვა მეგობრობა აკავშირებდა სტალინთან, ახალგაზრდობაც. სულის ტკივილი ახსენებდა თავს თუ ჭრილობა, ძნელი სათქმელია. ფაქტი ისაა, რომ მაგების ბრძოლაში სტალინმა გაიმარჯვა. ახალი ორდენები, ოკულტური საძმოები, სიონისტები, მასონები, დასავლეთის და ევროპის მაჯლაჯუნები ომის შემდეგ ახალი რევანშისთვის ემზადებოდნენ. ყველა ერთის წინააღმდეგ. ომის შემდეგ კი სტალინს ენერგიის აღდგენის დროც არ ჰქონდა. ფსიქოსფეროს მდგომარეობა განსაზღვრავს ქვეყნის და ხალხის ბედს ომის და მშვიდობის დროსაც. მტრების გაერთიანებას კი ხელი არავინ შეუშალა. ენერგეტიკული ზემოქმედების შედეგი იყო მტრები მეგობრებად რომ ეჩვენებოდა. კეთილისმსურველებთან კი ურთიერთობები ურთულდებოდა. იმ დროს მასთან ძირითადი ენერგეტიკულ ძალას მესინგი წარმოადგენდა. საკითხავია, სიონიზმთან მებრძოლი შეიძლებოდა მესინგის მეგობარი ყოფილიყო? ვფიქრობ, კოსმოსთან დაშვებული შეცდომების გამო გურჯიევმაც ძალა დაკარგა, არ გამოვრიცხავ აშშ-ის წვლილსაც. ძველმა ცივილიზაციებმა, რომლებმაც მიაღწიეს განსაზღვრული განვითარების ზღვარს, მაგრამ დაკარგეს ის ღირებულებები, რომლებმაც ოდესღაც ისინი დიდებამდე მიიყვანა, განადგურდნენ. ეტყობა, სტალინსაც ეტყობა, სტალინსაც დაეკარგა ძველი გზა და ძველი მეგობრებიც დაკარგა. თუმცა ისტორია, მიუხედავად ანტისტალინისტების დიდი მცდელობისა, არ კარგავს მის იდუმალებით მოცულ სახეს და დიდებას.



**ქეთევან ზარნაძე**
**599 52 60 30**

(გაგრძელება იქნება)

# რატომ აცხადებს უარს „ჰუალინგ ჯგუფი“ მშენებლობაზე დაღუპული ლევან მაღრაძის ოჯახისთვის კომპენსაციის გადახდაზე?

**2015 წლის 9 მარტს, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ჰუალინგ ჯგუფის“ მიერ წარმოებული ოლიმპიური ქალაქის მშენებლობაზე უბედური შემთხვევა მოხდა—ხარაჩოდან გადმოვარდა 40 წლის მუშა ლევან მაღრაძე, რომელიც ერთ თვეში გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. გარდაცვლილ მუშას მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი დარჩა. ოჯახმა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის, ჩინურ კომპანიას მიმართა, თუმცა უშედეგოდ. „საერთო გაზეთს“ ლევან მაღრაძის მეუღლე ესაუბრა.**



**მაკა ხველელიძე:**

– იმ უბედური 9 მარტის დილას, 6 საათი იქნებოდა დაწყებული, რომ ლევანი ადგა და სამსახურში წავიდა. მოგვიანებით, მისმა მეგობრებმა დამირეკეს და მითხრეს ლევანმა თავი დაიზიანა და საავადმყოფოში გადაიყვანესო. საავადმყოფოში მისვლისას გავიგე, რომ ჩემი მეუღლე სავენტილაციო სისტემის მონტაჟის დროს, ხარაჩოდან გადმოვარდა. ჩამოვარდნის მომეტი არავის დაუნახავს, მაგრამ მოგვიანებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ვარდნა დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლიდან მოხდა. როგორც ჩანს, ბეტონზე ცუდად დაარტყა თავი. თავის ქალა დამსხვრეული ჰქონდა და საშინელ მდგომარეობაში იყო. საავადმყოფოში მისვლისას შევხვდი ექიმს, რომელმაც მითხრა, რომ ჩემმა მეუღლემ საავადმყოფოში შეყვანისთავანე გონება დაკარგა და მაშინვე ოპერაციაზე შეიყვანეს. ერთი უმძიმესი ოპერაციის შემდეგ, ორ დღეში მეორე ჩატარდა, მაგრამ უშედეგოდ. უბედური შემთხვევიდან ზუსტად ერთი თვის მერე, 9 აპრილს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. ექიმები ძალიან ბევრს ეცადნენ, მაგრამ დაზიანებები იმდენად ძლიერი იყო, რომ თავადაც უკვირდათ, რომ ასეთ მდგომარეობაში ერთი თვე იცოცხლა.

**– უბედური შემთხვევის დროს, თქვენს მეუღლეს ჩაფხუტი ეხურა?**

– როგორც ექიმმა გვითხრა, ჩაფხუტი რომ ხურებოდა, ტვინის შერყევით გადარჩებოდა, მაგრამ ჩაფხუტი არავის არ ეხურა. ფიზიკურად არ არსებობდა ჩაფხუტები. ექსპერტიზამაც დაადგინა, რომ არც ჩაფხუტი იყო, არც დამცავი ბადეები და თოკები არ არსებობდა და ხარაჩოც მორყეული იყო. ლევანი წესიერი და მორჩილი ადამიანი იყო და ჩაფხუტი რომ მიეცათ, არავითარ შემთხვევაში არ მოიხსნიდა. რამდენიმე

HUALING GROUP

წლის წინ, პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობაზე მუშაობდა, სადაც ჩაფხუტის ტარება აუცილებელი იყო. ჩინელებთან ჩაფხუტი საერთოდ არ უხსენებია, მაგრამ ის კი უთქვამს, ქართველ მუშებს 20 და 30 ლარად მონებივით გვამუშავებენ და ჩინელ მუშებს დღეში 80 ლარი აქვთო. ყველაზე მეტად იცით რა მტკივა? ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა და არც დაურეკავთ, სამძიმარზეც არავინ მოსულა და უკითხავს, როგორ უნდა დაასაფლავოთ ეს ადამიანიო. თითქოს წიწილა მოკვდა, არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ. მთელი იბედურება ისაა, რომ 10 წლის ცოლ-ქმარი ვიყავით და ორი ახალშობილი შვილი გვყავს გარდაცვლილი. ძლივს, თან ამ ასაკში გაგვიჩნდა ჯანმრთელი შვილი, რომელიც ახლა სამი წლისაა და უკვე უმამოდ დარჩა. არც მშობლები გვყავს ამ ქვეყანაზე და არავინ..

**– როგორც ვიცი, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის კომპანიას უკვე მიმართეთ. რა გიპასუხეს?**

– ჩემი მეუღლის მკურნალობა ძირითადად საყოველთაო დაზღვევამ აიღო თავის თავზე. მერიაც დაგვეხმარა და კომპანიას მხოლოდ 5000 ლარის გადახდა მოუწია. ესეც ადვოკატების უდიდესი ბრძოლის შედეგად მოხდა. ლევანის გარდაცვალების შემდეგ კი ყველაფერზე უარი თქვეს. ჩემს მდგომარეობაში წარმოიდგინოს ყველამ თავი. იმის გამო, რომ ჩინურ კომპანიას მუშების აღჭურვილობის შეძენაზე ფული დაეზოგა, დავკარგეთ შრომისმოყვარე, უპატიოსნესი ახალგაზრდა კაცი. ყველა თბილისში დაბადებული და გაზრდილი ბიჭი არ დადგება ხარაჩოზე, რომ ცოლშვილს ლუკმა პური მოუტანოს. ბავშვის გულისთვის, არანაირ ფიზიკურ შრომას არ ერიდებოდა. ძლივს შევაგუე ბავშვი იმას, რომ მამა აღარ მოვა, ზეცაშია და იქიდან გვიყურებს. ისე მიჭირს ფსიქოლოგიურად, რომ მეტი არ შეიძლება.. (ტირის)

**– კომპენსაციის მიღების მოთხოვნით, სასამართლოსთვის არ მიგიმართავთ?**

– აუცილებლად მივმართავთ და არა მარტო სასამართლოს. ოლიმპიადა დაიწყება თუარა, ჩემს შვილთან, სანათესაოსთან და უამრავ ადამიანთან ერთად ჩინელების ოფისის წინ აქციას გავმართავ. ახლა რომ ტელევიზორში თავს იპიარებენ, რომ წყალდიდობით დაზარალებულებს ეხმარებიან, თავიანთი დაუდევრობით დაღუპულის ოჯახს რა პასუხს სცემენ? ჩემი ქმრის სიკვდილისთვის ვიღაცამ პასუხი აგოს. ვიღაცამ, ვისაც ევალებოდა უსაფრთხოების დაცვა.

**„ჰუალინგმა“, რომელიც სტიქიური უბედურების შემდეგ, ქველმოქმედებით იკეთებს პიარს, ჯობია იმ დაზარაკლებულთა ოჯახებს მიხედოს, რომლებმაც კომპანიის წყალობით, ჯანმრთელობა**



თამარ სადრაძე

**და სიცოცხლე დაკარგეს-აცხადებს ადვოკატი, სამართლის დოქტორი და პროფესორი თამარ სადრაძე:**

– ოლიმპიური ქალაქის მშენებლობაზე მომხდარი უბედური შემთხვევიდან რამდენიმე დღეში „ჰუალინგ-ჯგუფის“ ოფიციალურ ხელმძღვანელობას ვესტუმრეთ. ადგილზე დაგვხვდა ჩინელი მამაკაცი და მისი თარჯიმანი, რომლებსაც განვუმარტეთ, რომ კომპანიას თავის თავზე უნდა აეღო პასუხისმგებლობა და დაზარალებული მუშის მკურნალობის ხარჯები. ვინაიდან მკურნალობა მთლიანად დაზღვევამ და მერიამ დააფინანსა, საუბარი იყო მხოლოდ სუნთქვის აპარატის სარგებლობისთვის გადასახდელ 5000 ლარზე. რამდენიმე საათიანი საუბარი დაგვჭირდა, სანამ ამაზე დავითანხმებდით. დათანხმდნენ, თუმცა ერთიპირობით, მკურნალობას დიდი დრო რომ დაჭირდეს, მერე კიდევ უნდა დავილაპარაკოთო. სამწუხაროდ, სულ ერთ თვეში ადამიანი გარდაიცვალა და კომპანიას დამატებითი ფულის გადახდა აღარ მოუწია.

**– სავარაუდოდ, ლევან მაღრაძის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაწყებულია. ამ ეტაპისთვის რა გამოიკვეთა?**

–ჩამოვარდნის დღიდან ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება. დაინიშნა ექსპერტიზები, რომლებსაც უნდა გამოევლინათ ვისი ბრალეულობით მოხდა შემთხვევა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „ჰუალინგ ჯგუფის“ მიერ წარმოებულ მშენებლობაზე დარღვეულია ყველა სამშენებლო ნორმა და სტანდარტი. კომპანიას არ გააჩნია ჩაფხუტები, დამჭერი ზონარები, დამცავი ბადეები და ა.შ. ლევან მაღრაძის გარდაცვალების შემდეგ ჩვენ კვლავ მივაკითხეთ კომპანიას, მაგრამ გვითხრეს, რომ არაფერს გადაიხდიან, ვინაიდან მუშის ჩამოვარდნაში ბრალი არ მიუძღვით. ეს თქვა კომპანიამ, რომელსაც აბსოლუტურად ყველა სტანდარტი დარღვეული აქვს და მუშებს ხელშეკრულებების გარეშე, მონებივით ამუშავებს. „ჰუალინგმა“ სცადა ყველა პასუხისმგებლობა თავიდან აერიდებინა და მომხდარი ე.წ. საშუამავლო ქართული კომპანიისთვის გადაებრალებინა, რომელმაც ლევანი მშენებლობაზე მოიყვანა. ამ ადამიანთან გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი და სამსახურიდან გააგდეს.

**– ამჟამად რას აპირებთ?**

– როგორც კი ცნობილი გახდება ექსპერტიზის შედეგები, პროკურატურა მუშაობას დაასრულებს და ლევან მაღრაძის მეუღლეს დაზარალებულად ცნობენ, სასამართლოს მივმართავთ. საწარმოო ტრამვის საფუძველზე გარდაცვლილი ადამიანის ოჯახისთვის უნდა მოხდეს კომპენსაციის გადახდა, ასევე მოვითხოვთ უმკაცრესად დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც პასუხისმგებელი იყო მუშების უსაფრთხოებაზე.

კომპენსაციის გაცემის ნაცვლად, „ჰუალინგ ჯგუფის“ დირექტორმა ფაქტიურად, თავისი კაბინეტიდან გამოგვყარა და გვითხრა, რომ მუშამ თავად არ დაიფარა ჩაფხუტი, ხარაჩოდან საკუთარი დაუდევრობით გადმოვარდა და თუ პრეტენზიები გაქვთ, ქართველ ქვეკონტრაქტორს უნდა მიმართოთო. ა.შ. რა თქმა უნდა, ეს არ უშველით, რადგან ვალდებულნი არიან, რომ ლევან მაღრაძის ობლად დარჩენილ ბავშვს და შრომისუუნარო მეუღლეს მიყენებული ზარალი აუნაზღაურონ.

**ლევან მაღრაძის ოჯახისა და ადვოკატის ბრალდებებზე კომენტარისთვის, საინვესტიციო კომპანია „ჰუალინგ ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დავუკავშირდით. სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ შიშილაშვილი დაგვპირდა, რომ ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიების შემდეგ, თავად დაგვიკავშირდებოდა, თუმცა კომპანიიდან არავინ შეგვხმიანებია.**

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

# ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8-23

## რეისის რუკა

ვისაც თურქული სერიალი „დიდებული საუკუნე“ აქვს ნანახი აუცილებლად ემახსოვრება ფაშა, ადმირალი პირის (ხიზირ) რეისი (ჰაჯი მუჰიდინ პირი იბნ ჰაჯი მეჰმედ, „რეისი“ – ადმირალის წოდებაა), რომელიც თავდაპირველად მეკობრე იყო, შემდეგ ჩადგა სულთან სულეიმანის სამსახურში. (ფილმში მას რუსტემ ფაშა წამლავს თაფლით, მაგრამ რეალურად 90 წელი იცოცხლა და სრულიად ჯანმრთელი კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებდა სულთანს რომ თავი არ მოეკვეთა მისთვის 1554 წელს, არავინ იცის. სხვათაშორის, ასეთ ასაკამდე მიღწევა იშვიათობა იყო იმ ეპოქისთვის).

1929 წელს, როდესაც თოფქაფის სასახლე მუზეუმად გადაკეთდა და გადაიხედა სამუზეუმო ექსპონატები, ვიღაცის მახვილმა თვალმა შენიშნა, რომ ადმირალის მიერ 1513 წელს შედგენილ ერთ-ერთ რუკაზე (იგი კარტოგრაფიც იყო) გამოსახული იყო ამერიკის ორივე კონტინენტი და ანტარქტიდა, მატერიკის დღესდღეისობით ყინულით დაფარული ნაწილი.

მეცნიერები დღემდე ვერაფრით ხსნიან, საიდან უნდა სცოდნოდა მეკობრე ადმირალს (ან ვინმე სხვას) განვლილ ეპოქებში და უკვე მისი სახით მე-16 საუკუნეში ის, რაც არავის და არანაირად არ შეიძლებოდა რომ სცოდნოდა. კოლუმბის ამერიკის კონტინენტზე გამგზავრებიდან მხოლოდ 21 წელი იყო გასული, ანტარქტიდა კი, სულაც 1820 წელს იქნა აღმოჩენილი.

რუკაზე ასახულია მდინარე ამაზონი, ანდები, ფოლკლენდის კუნძულები, ვენესუელის ყურე და ანტარქტიდა. საქმე რაშია – როგორც დღეს, ისე 10 000 წელია, სამხრეთ ამერიკის კონტინენტსა და ანტარქტიდას შორის 1000 კმ-იანი წყლის გამყოფი ზოლია, ადმირალის რუკაზე კი მატერიკებს შორის ხმელეთია გამოსახული. მართლაც, 10 000 წლის წინ ანტარქტიდა არ იყო ყინულოვანი საფარველით მოცული და მართლაც უკავშირდებოდა სამხრეთ ამერიკას ხმელეთით!

1953 წელს რუკის ასლი გადააგზავნეს აშშ-ის საზღვაო ფლოტის ჰიდროგრაფიულ ბიუროში, სადაც შეამოწმეს რუკის სიზუსტე და უარესი თავსატეხი გაჩნდა, რუკა ზედმიწევნით ემთხვევა თანამედროვე რუკას. კიდევ უფრო მეტი თავსატეხი გააჩინა იმან, რომ ასეთი სიზუსტისთვის აეროგადაღებაა საჭირო, სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენლად შეუძლებელია, პირველი აეროგადაღება კი, მოგეხსენებათ, როდის, რამდენი საუკუნის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ამერიკელი სამხედროების დასკვნა: – „რუკის ქვედა ნაწილში გამოსახული გეოგრაფიული ელემენტები საგრძნობ მსგავსებას ამჟღავნებენ 1959 წლის შვედურ-ბრიტანული ექსპედიციის მიერ გაკეთებულ, ყინულოვანი საფარველის ქვეშ მყოფ გეოლოგიური რელიეფის სეისმოლოგიური სკანერების მონაცემებთან. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სანაპიროს კარტოგრაფირება მოხდა მანამ, სანამ ის ყინულით დაიფარებოდა. ყინულის სისქე ამ რეგიონში ამჟამად ერთ მილს შეადგენს.

ჩვენ არ გვაქვს იდეები იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება რუკაზე ასახული მონაცემების კორელაცია 1513 წლის გეოგრაფიული ცოდნის სავარაუდო დონესთან. ჰაროლდ ზ. ოლმეერი აშშ-ის საჰაერო სამხედრო ძალების სარდალი.“

კიდევ „უარესი“, ადმირალ წერს, რომ ამ რუკის შესადგენად მან რამდენიმე რუკა გამოიყენა, მათ შორის ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის რუკები (რომლებიც, სავარაუდოდ, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ინახებოდა და იმ დროს ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო). ადმირალი ახსენებს „კოლუმბის რუკასაც“, მაგრამ არა კოლუმბის მიერ შედგენილს, არამედ რუკას, რომელსაც კოლუმბი იყენებდა როდესაც ამერიკის აღმოსაჩენად გაემგზავრა. ადმირალის ჩანაწერების გარდა „კოლუმბის რუკის“ არსებობა არანაირად არ მტკიცდება.

განსაკუთრებული გაუგებრობისა და აქედან გამომდინარე, კამათის მიზეზი რეისის რუკაზე გამოსახული ანტარქტიდაა, რადგან მისი გამოსახულება გასაოცრად ემთხვევა თანამედროვე ტექნოლოგიებით კოსმოსიდან გადაღებულ სურათს.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: ვის შეეძლო ასეთი რუკის შექმნა?

პასუხი მხოლოდ ვერსიის დონეზე გაიცემა – თურქი ადმირალის რუკას საფუძვლად უდევს წინარეისტორიული ეპოქის ცივილიზაციების რუკები, თუმცა სადამდეც ისტორია წვდება, ვერაფერს იძლევა ათასწლეულების გადასახედი. ვთქვათ, თვით ალექსანდრე მაკედონელს (ან სხვას) საიდანღა შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე ისეთი რუკა, რომელიც ციდან იქნებოდა გადაღებული და მასზე ისეთი კონტინენტები იქნებოდა დატანებული, რომლის წარმოდგენა ყველაზე თამამ ფანტაზიებშიც კი წარმოუდგენელი იყო იმ დროს?

ადმირალის რუკა თოფ-ქაფის სასახლის მუზეუმშია დაცული და თურქულ ათ ლირაზეა გამოსახული...

ყველაზე თამამი ვერსიით, ეს „აღმოჩენა“ იმ გამქრალი ცივილიზაციის საკუთრებაა, რომელიც ფლობდა მაღალ ტექნოლოგიებს, ფრენდა ცაშიც და კიდევ ვინ იცის, რა საშუალებით, მაგრამ უსწრაფესად გადაადგილდებოდა სამყაროში. აამ უცნობი ცივილიზაციის კვალი სამყაროს სხვადასხვა ნაწილში მრავლად გვხვდება, მაგრამ ჯერ მაინც რომ ვერ წვდება ადამიანის გონი რა და როგორ იყო? იქნებ, ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ „ეფუთის“ დაკარგვიდან (ქურდობიდან) დაწყებული, დღემდე ჩვენი (კოლხეთის) ისტორიის გაყალბებამ, შესაბამისად, მსოფლიო ისტორია გააყალბა და სრულიად არი-დარია „გორგალი“, რომლიდანაც წვერი უნდა გამოიღოს მის გასახსნელად?



რეისის რუკა

### რას ვერ გავიგებდით გია კვაშილავას მეგრული რომ არ სცოდნოდა?

„მე რომ მეგრული არ მცოდნოდა, ამ ტექსტს, ალბათ, ვერ გავიგებდი. ისიც უნდა გითხრათ, რომ ის სიტყვები, რომლებსაც მე აქ ვპოულობ, სულხან-საბას ლექსიკონშიც მრავლადაა, ამიტომ ერთ გაბედულ განცხადებას გავაკეთებ – პროტოქართული ენა არის კოლხური და მისგან შეიქმნა სამხრეთ-კავკასიური ენები. ხაზს ვუსვამ, კოლხური და არა მეგრული, რადგან ასეთი ფორმის მეგრული 4 000 წლის წინათ არ არსებობდა. კოლხურ ენაზე მეტყველებდნენ არა მხოლოდ მეგრელები და ლაზები, არამედ, დაახლოებით 30-მდე ტომი. ამ ენაზე მეტყველებდნენ 4 000 წლის წინ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ადამიანები – ძველი კოლხები.“ – გია კვაშილავა.

(ჰოლანდიელმა ენათმეცნიერმა იოჰანეს ფურნიემ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე 5 000 პროტოქრთული ანუ კოლხური სიტყვა იპოვა, რომლებიც სხვადასხვა ენებშია შესული, მაგალითად, ბერძნულში, იტალიურში, ჩრდილოეთ ეგვიპტურში.)

1908 წლიდან, მას შემდეგ, რაც კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოში არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ თიხის დისკო აღმოაჩინა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერმა, მსოფლიოს 36 ენაზე სცადეს მისი ამოკითხვა, მაგრამ ამაოდ. მეცნიერთაგან მხოლოდ ერთი, ავსტრიელი მკვლევარი წარმოთქვამდა ჰიპოთეზას, რომ შესაძლებელი იყო დისკო ღმერთების ენაზე, იბერიულად ყოფილიყო დაწერილი („ღმერთები ენა“ რატომ ჰქვია, კიდევ საკითხავი არ უნდა იყოს...). და აი, 100 წლის შემდეგ დისკო ამოიკითხა იმ ხალხის შთამომავალმა, რომლებიც „ღმერთების ენაზე“, ძველკოლხურად მეტყველებდნენ.

რაც შეეხება „ფესტოს დისკოს“ წარმომავლობას. თიხის შემცველობა შემოწმებულია და დადსტურებულია, რომ იგი ფრიგიიდან არის წაღებული – თიხა ფრიგიულია. ფრიგია კოლხ-მესხთა ქვეყანა იყო. დედა-ღვთაება, ნანა, იგივე რეა-კიბელე, ფრიგიული ღვთაებაა. მხატვრები, ზოგჯერ, მედეასაც ფრიგიული ქუდით ხატავდნენ. ფრიგია ძველი კოლხეთის ერთ-ერთი კუთხე იყო. ერთი ცივილიზაცია ჰქონდა დღევანდელ სამეგრელოს, გურიას, ლაზეთს, მთელ თურქეთის ტერიტორიას, ჩრდილოეთ ეგვიპტეს, კრეტის ხალხებს (ბერძნებს)... ისიც დამტკიცებულია, რომ მეფე აიეტს თესალიის (დღეს საბერძნეთის) ტერიტორიაზე ჰქონდა სამეფო და შემდეგ გადმოიტანა კოლხეთში...

აღსანიშნავია, რომ დისკოზე დაწერილს თავის დროზეც ვერ წაიკითხავდა ყველა, რადგან იგი დაწერილია ქურუმების, იგივე საღვთო დამწერლობით, რადგან მასში განსაკუთრებული საიდუმლოებანი იმალებოდა.

მაგალითად, დისკოზე არის ამოკითხული წარწერა „ჰქმენით დაფარული ტაძარი“, „გარდაქმენით აიას სიცოცხლე ყველანაირად“, „დედის ქვეყანა მუდამ დაფარეთ“ და ა.შ – რაც დღესაც სიდუმლოა. „ჩხოფაი ორონე ნანა“ – „გასხივოსნებული დედა-ღმერთი“...

„დედის ქვეყანა“ კოლხეთია, მაგრამ ვისი დედის? ან რა უნდა იყოს მუდამ დაფარული „დედის ქვეყანაში“, კოლხეთში, ანუ საქართველოში, რა საიდუმლო იცოდნენ ღმერთის ენის მცოდნე ძველმა კოლხმა ქურუმებმა? (რატომ იწოდება იბერია ღვთისმშობლის წილხვედრად; ქართველები – განსაკუთრებულ ხალხად; ქართული ენა – ღმერთის ენად, იქნებ როგორმე გაიგონ მათ, ვინც ამ ყველაფერს აკნინებს და მასხრად იგდებს...)

გ გია კვაშილავა: – „ეს ამბები ქრისტიანობამდე 1800 წლის წინანდელია, საოცარია, როგორ შეიქმნა დედა-ღვთაებაზე ამდენი საგალობელი? იოანე ზოსმიეს სიტყვები „დამარხულ არს ენაი ქართული... და ამას ენასა სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან“... „ოთხი დღისა მკვდარი...“ და ა.შ და როგორც დავით წინასწარმეტყველმა თქვა: – „ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“ – შემიძლია, სხვა საინტერესო და მნიშვნელოვან დამთხვევებზე ვისაუბრო, მაგრამ არ არის ამის დრო. ყველაფერი რომ ვთქვა, ხალხს ზღაპარი ეგონება, არადა, ზღაპარი კი არა, რეალურია ყველაფერი.

მსოფლიომ ამის შესახებ უკვე იცის. შემიძლია გიჩვენოთ იმ მეცნიერთა წერილები, რომლებიც ათეული წლები „ფესტოს დისკოზე“ მუშაობდნენ და წარწერა ვერ ამოიკითხეს. მილოცავენ, სურთ შემხვდნენ. ეს არის საოცარი რამ არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის, მაგრამ ქართველები რატომღაც ძალიან გულგრილად ვეკიდებით ასეთ აღმოჩენებს. მაგალითად, ეს რომ სომხური წარწერა ყოფილიყო, მთელ მსოფლიოს სასწრაფოდ შეატყობინებდნენ ამ ამბავ... თუმცა, არ მსურს „დისკოს საკითხით“ სპეკულაცია მოხდეს, ან ეს აღმოჩენა პოლიტიზირებული გახდეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ოთხწლიანი ლოდინის შემდგომ, საზოგადოება „ზუგდიდელის“ ეგიდით მკითხველის სამსჯავროზე გამოვიდა საკმაოდ ორიგინალური, რუდუენებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული წიგნი „ზუგდიდი“ (ისტორია და თანამედროვეობა).

სათაურის მიხედვით შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ მის წინაშეა ეთნოგრაფიულ-ისტორიული ხასიათის თხზულება, თუმცა წიგნის მიზანდასახულობა გაცილებით მეტია — ზემოთხსენებული წიგნი ფიგურალურად შეიძლება შევადაროთ ზვავის აღძვრის სტადიას, რომელსაც ციცქნა კენჭის ჩამოზრიალება იწვევს პიტალო კლდისგან — ადვილმოსალოდნელია ხვალ-ზეგ იგი მოგვევლინოს ჩვენი სამშობლოს პირუთვნელი ბიოგრაფიის — დედასაქართველოს ქვაკუთხედად.

ეპოქალური წიგნი „ზუგდიდის“ იდეის ავტორია აწგანსვენებული, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ კვარაცხელია. მთავარი რედაქტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჭითანავა. პროექტის საორგანიზაციო ჯგუფში წარმოდგენილნი არიან: ექსპრემიერი ოთარ ფაცაცია, ენერგეტიკოსი იური გუგუჩია, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა; ზუგდიდის ინტელიგენციის გამოცდილი სამეურნეო მუშაკები: მურმან ნაჭყებია, კუკური როგავა, რევაზ ცაავა, თამაზ ცანავა, თენგიზ შანავა, ბონდო ჯიქია. წიგნის სარედაქციო საბჭოში არიან სხვადასხვა დარგის ცნობილი მეცნიერები: გონელი არახამია, ტიტე მოსია, ლეო ჩიქავა.

**წიგნი გამოცემულია აკადემიურად, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე, ბიბლიოგ- რაფიული ფოტი-მასალის თანხლებით, რომელსაც მრავალჯერადი რედაქტირება-მომზადების კვალდაკვალ ღირსეულად გაართვა თავი გამომცემლობა „ივერიონმა“ (დირექტორი ზაურ ნაჭყებია).**

ცოტა შორიდან დავიწყებ: ზუგდიდში საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებითი მივლინებით ოთხმოციან წლებში მოვხვდი. ქალაქი მაშინაც ორ უწყებად იყო დაყოფილი — **ქალაქკომად** და **რაიკომად.** პირველს **კლიმენტ ჯანჯღავა** ხელმძღვანელობდა, მეორეს — **ივლიანე თოდუა**.

იმ პერიოდის ზღვისპირა ჭურიაში კახათელი მწყემსების სტუმარმა, რომანი-ტრიადა „სიცოცხლემისჯილი“ მივუძღვენი სიზმარში ჩადევნებულ კუთხეს — ამ წიგნის ეპიცენტრია ერთადერთი კუნძული საქარ- თველოში — „შამგონა“, მაგრამ სივრცის თვალსაზრისით იგი მოიცავს მთელს სამეგრელოს, მოქმედებს ენგურს გაღმა-გამოღმა, ანუ სამურზაყანო-ოდიშში.

დასახელებულ რომანს მოგვიანებით (ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულს) მეორე ვრცელტანიანი თხზულება მოჰყვა — „როკი“, რომელიც კომუნისტური ერთსახოვნებით ჩაქოლილი ეროვნული ფასეულობების სააშკარაოზე გამოტანას, პარტოკრატიის წაქეზებით ბირჟავიკული და ქურდული ფსიქოლოგიის დამკვიდრებას და საბოლოო ჯამში უკიდურესად დაბეჩავებულ ადამიანს, პიროვნულ ნიველირებას ეძღვნებოდა.

როგორც შესავალში აღვნიშნე, მონუმენტური წიგნი „ზუგდიდის“ იდეის ავტორი ცხონებული პროფესორი **ვახტანგ კვარაცხელია** გახლდათ. (სხვათა შორია იგი ჩემი რომან **„როკის“©** პერსონაჟია **ვახტანგ კაკაჩიას** გვარ-სახელით). მე მისგან, სხვათა შორის ერთადერთისგან, მომეწოდა მრავალი საინტერესო და უტყუარი მასალა ზუგდიდ-ქალაქის სინამდვილეზე, რომელთაგან თითქმის ყველაფერი გავიზიარე, გარდა მთავარი გმირის დოკუმენტური ელფერის მოშლისა და როგორც ჩანს, აღნიშნული წიგნის დაბადებაც ამ მომენტმა ჩააგონა ბატონ ვახტანგს — მეცნიერული ბაზა შეექმნოდა ზერელე თუ ლამბერტი-ასტაფიევის მსგავსი ავტორების პასკვლების ალაგმვას ზუგდიდ-ქალაქზე.




# ზუგდიდიდან დანახული საქართველო

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში უამრავი მომენტია, როცა განგება სახელდახელოდ შემომაშველებს ხოლმე ხელს — საგანგებოდ გამომიგზავნის საჭირო თემებს, ადამიანებს. ახლაც მსგავსი რამ მოხდა — **ენგურის ხეობის ეპოპეის მესამე წიგნზე მუშაობაში ჩართულს, უფალმა ციურ მანანასავით მომაშველა მეცნიერული პატიოსნებითა და ინფორმაციული სიზუსტით შეკრული თხზულება ზუგდიდ-ქალაქზე, სადადიანოზე, ზოგადად საქართველოზე.**

შეიძლება ხმამაღლა ითქვას, რომ ზემოთხსენებული წიგნით სრულიად საქართველომ მიიღო ეპოქალური მნიშვნელობის მატიანე ქვეყნის გეო-სტრატეგიულ ტენდენციებზე...

დიახ, ეს დიდზე დიდი მონაპოვარია და უწინარესად ამ მაღალ თამასას, ამ მაღალ განზოგადოებებს უნდა ვუმადლოდეთ სახელგანთქმულ მეცნიერებს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ნოდარ ჭითანავას** და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **გონელი არახამიას**. მათ მეცნიერულ თუ პიროვნულ ღირსებებს.



გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ წიგნი ამ ორი ადამიანის სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უქონლად ვერაფრით შეიძენდა იმ საშვილიშვილო დატვირთვას, რითაც იგი გამორჩეულია ბოლოდროინდელ თხზულებებს შორის.

ფაქტები ქრონოლოგიური ხასიათითაა მოშველიებული, რაც დღემდე ბურუსით მოცულ უამრავ კითხვა ხდის ფარდას. ასევე ფარდას ხდის იმ უხერხულ სიტუაციასაც, რასაც უმადურობა ჰქვია; რაც დღემდე ძარღვებს უწეწავს ქვეყნის ცენტრს — დაქუცმაცების, ფეოდალური ტენდენციებით მოშთობილს... სამწუხაროდ, დღესაც ისმის ყოველგვარ საფუძველს მოკლებული კითხვა: „ნუთუ **სამეგრელოც განზე მაცქერლობის სენითაა შეპყრობილი?! ნუთუ ისიც გახლეჩის მოწადინეა?! ნუთუ მასაც შეუნახავს ხალთაში ხანჯალი დედასამშობლოს ერთიანობისთვის ზურგში ჩასაცემად?!“** „ზუგდიდი“ ყველა ამ საჩოთირო კითხვას საფუძვლიანად პასუხობს.

წიგნი ჩემთვის უამრავი ასპექტით აღმოჩნდა საინტერესო, მან უწინარესად ჩემს პირველ ორ რომანში არსებული რამდენიმე ათეული ხარვეზი გამასწორებინა.

მოვიშველიებ ტიპიურ მაგალითებს:

„დიხაგუძუბები“ ხელოვნური მიწაყრილებია კოლხეთში, „სამაროვანები“. იგი ერთგვარი პირამიდის მნიშვნელობისაა თავისი შრომატევადობით ჭაობნარში. ამ მხრივ ყველაზე მრავალრიცხოვანი ბირცვ-სამარხები ზღვისპირა ერგეტაშია.

ჩემი რომანის გმირი ექსპრესიის გასაძლიერებლად ერთ-ერთ გეოლოგიურ ორმო-ხაროში ამოჰყოფს თავს სატრფოს საჭეზე მითამამების გამო. მოქმედება ხდება 1972 წელს, როცა დიხაგუძუბების გათხრა ერგეტაში **ბონდო მამფორიას** თაოსნობით მხოლოდ 1978 წელს დაწყებულა. თითქოს დეტალია, მაგრამ მწერალს არ ეპატიება მსგავსი ლაპსუსი.

დაზუსტდა უამრავი ტოპონიმი. მაგალითისთვის: ყველგან „ონწყვეშია“-ს რომ ვარქმევ საფლობს, სინამდვილეში თურმე „ონწყოშია“ ყოფილა. მეტი სიცხადე შეემატა **გვანჯი ჩიქვანისა** და **კაკა ჟვანიას** პორტრეტებს.

მართლაც, **წიგნი „ზუგდიდი“ ფასდაუდებელი გზისმკვლევია ქართული ეთნოგენეზისით, გეოპოლიტიკური აზროვნების მკვლევარი ხალხისთვის და ვფიქრობ, უახლესი მასალების მოშველიებით გაცამტვერებულია ყბადაღებული „მეგრელთა საქმე“ — მეგრული სეპარატიზმის ანტისახელმწიფოებრივი ბაცილა, სრულიად სხვა განწყობისა და მიზანდასახულობის „მაფალუიზმის“ აპოკალიფ- სური ფრიალით.**

აქ ცალსახად, ერთხელ და სამუდამოდ გამოკვეთილია, რომ სამეგრელოს როლი ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის გარანტი.

წიგნმა გამოამჟღავნა მაღალი ესთეტიზმი და კიდევ უფრო მეტი კოლექტიური პასუხისმგებლობა კრიტერიუმების დაზუსტების თვალთახედვით. აქ მართლაც უნიკალურია მის მიერ ფორმულასავით გამოკვეთილი დოქტრინა: **„უკვე საქართველოში საკმარისი არ არის ეროვნული თანხმობა ერთიანი აზროვნებისათვის, საჭიროა სამოქალაქო კონსოლიდაციაც, რადგანაც ჩვენი ქვეყანა გამოსულია მონონაციონალურობის ექსტაზური ილუზიიდან. აქ უკვე 75 ეროვნება მკვიდრობს, რომელთა საერთო ხვედრითი წილი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცნობიერების მშენებლობაში აღემატება 40 პროცენტს. ამისთანა ვითარებაში ეროვნული თანხმობის გვერდით დღის წესრიგში თანადროულად უნდა დადგეს სამოქალაქო კონსოლიდაციის კანონმორჩილი მოთხოვნილება“.**



ნოდარ ჭითანავა

სამწუხაროდ, წიგნი სიმბოლური ტირაჟით გამოიცა, არადა, საჭიროა იგი ყველა რეგიონში შევიდეს, როგორც ლოცმანი, როგორც კომპასი ამ ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამოსასვლელად.

ვფიქრობ, პირველ გამოცემაში ავტორებმა კონიუნქტურის გათვალისწინებით თავი შეიკავეს 90-იან წლებში საქართველოში დატრიალებული მოვლენების წარმოჩენისგან. არადა, რადგან წიგნს მინიჭებული აქვს **მსაჯულის** ფუნქცია, საჭიროა იგი დროულად გადაიჭრას, სიმღერის ნახევარ ხმაზე გაწყვეტა საზიანოა და აღარც ნახევრად თქმული სიმართლეა რაიმე ფასეულის მომტანი.

ნათქვამია, წინა უკანას ხიდიაო და ჩვენც ამნაირად გვესახება ენციკლოპედიური აღნაგობის „ზუგდიდის“ მორიგი გამოცემა, რომელიც გვჯერა აფთიაქარის სასწორის სიზუსტით შეივსება ცალკეული თემით თუ პერსონით და ბიძგს, სტიმულს მისცემს უფრო მასშტაბურ და ტევად თხზულებას სრულიად საქართველოზე ცისარტყელასავით მოფრენილი სათაურის კვალობაზე: „დედასაქართველო“.

**გური ოტობაია,**
**მწერალი**

# ღია წერილი

## ინგა გრიგოლიას და ეკა ხოფერიას

თავიდანვე გეტყვით, რომ შეგნებულად არ მოგმართავთ ქალბატონოთი, რადგან თქვენ ჩემგან ეს არ დაგიმსახურებიათ.

თქვენთან შეხვედრა არაერთხელ ვცადე და რადგან ვერ მოვახერხე, ამიტომ გაზეთით მოგმართავთ.

20 წელი შევალიე შევარდნაძის ოჯახის წინაალმდეგ ბრძოლას.მათ ჩემი 23 წლის ინვალიდი შვილის სისხლში აქვთ ხელი გასვრილი...

ამ ოჯახს, რომელსაც ნახევარზე მეტი საქართველოში გამწარებული ჰყავს, არც კი რცხვენია, მანანა და სოფო თოქ-შოუებში ჰყავთ დროდადრო მიწვეული და ქართველ ხალხზე ხარხარებენ და კისკისებენ.

ამ კითხვით მინდოდა მომემართა თქვენთვის ინგა და ეკა, მაგრამ თქვენთან შეხვედრა შეუძლებელი აღმოჩნდა.

შემდეგ წერილით მივმართე TV ,,იმედის“ დირექციას, გაზეთითაც მივმართე, რომ სოფო შევარდნაძე გაეწვიათ, მაგრამ თქვენთვის ხომ სანახაობაა მთვარი და არა ხალხის ნერვები.

ინგა გრიგოლია, თქვენთვის მთავარია შოუ, თუნდაც ხალხმა დახოცოს ერთმანეთი, არ განაღვლებს და დღემდე ამას ცდილობ.

თქვენ სხვა ცოდვებიც გეყოფათ, ის, რაც პატარკაციშვილის სიცოცხლეში ინვალიდი ბავშვებითა და მათი მშობლების ,,იმედის“ შესასვლელთან პიკეტირებისას მოიმოქმედეთ. მაშინ დავიშალეთ, ერთი ადამიანის თხოვნით და მისი ხათრით და თუკი ოდესმე მოვხვდი რომელიმე ტელევიზიის ეთერში, იქ ვიტყვი იმ ადამიანის სახელსაც და ყველა იმ სისაძაგლეზე ვილაპარაკებ, რაც ჩაიდინეთ და რამაც გაღიზიანა ინვალიდი ბავშვების მშობლები.

ერთი რამ მაკვირვებს, გრიგოლია და ხოფერია, როგორ ჩაიგდეთ ხელში მთელი ტელევიზია ისე, რომ გამწარებული მშობელი, ინსულტიანი კაცი, შაქრიანი, ინფარქტგადატანილი, შიმშილობის აქცია რომ გამოვაცხადე, პლაკატით რომ ვიდექი ,,იმედის“ წინ და ამ ტელევიზიის თანამშრომლები ჩემსკენ საერთოდ არ იყურებოდნენ მას შემდეგ, რაც გრიგოლიას და ხოფერიას გვარს დაინახავდნენ ჩემს ხელში პლაკატზე.



შემხვდით და მომისმინეთ!

ნუ მაიძულებთ, ჩამოვიყვანო ჩემი ინვალიდი ბავშვი და კიდევ ერთხელ გადავკეტო ,,იმედის“ შესასვლელი.

შევარდნაძის ოჯახის რომელიმე წევრის ადგილი საქართველოში არ არის! სადაც მათზე რამეს გავიგონებ, პირობას ვდებ, სანამ ცოცხალი ვარ, არ გავახარებ.

**გოგიტა მურცხვალაძე**

**ქ. ბათუმი**


ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001



ქირავდება ერთოთახიანი ბინა აივნით, ყაზბეგის 47ბ, მეოთხე სართული, ყველანაირი ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, ბუნებრივი ცხელი წყლით.

ფასი შეთანხმებით.

ტელ.: 555 410 180


### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 22-ე ნომერში წერილში, სათაურით „საქვეყნო საქმე, რომელსაც კეთილი ადამიანების თანადგომა სჭირდება“, გაიპარა უნებლიე შეცდომა — „აჭარა ბეთის“ ნაცვლად უნდა ყოფილიყო „ევროპა ბეთი“, რისთვისაც წერილის ავტორი იხდის ბოდიშს.

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**-გთხოვთ, გაგვაცნოთ ჩამონათვალი იმ საჯარო ინფორმაციებისა, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია.**

-საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე, სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

* * *

**-როგორია საჯარო მოსამსახურის გამოსაცდელი ვადა?**

-არაუმეტეს 6 თვისა.

* * *

**- დებს თუ არა ფიცს საჯარო მოსამსახურე, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში?**

- დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

მუხლი 28. მოსამსახურის ფიცი

1. პირი, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში, დამნიშვნელ მოხელეს წარუდგენს შემდეგი შინაარსის ფიცს:

,,შეგნებული მაქვს რა საჯარო სამსახურში ჩემზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა, ვაცხადებ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს სახელმწიფოს და მის ხალხს, დავიცვა კონსტიტუცია და კანონები, პატივი ვცე სახელმწიფოს ინტერესებს და ავტორიტეტს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულო ჩემი მოვალეობანი“.

2. დამნიშვნელი თანამდებობის პირი ხელს აწერს ფიცის ტექსტს, რომელიც შემდგომ ინახება მოხელის პირად საქმესთან ერთად.


ავეჯის
გადაზიდვა



593 20 46 87

# როგორ მივიღოთ თანაბარი რუჯი



***კარგად გატარებული შვებულების მაჩვენებელი იდეალური რუჯია. კანის შეფერილობა შეიძლება განსხვავებული იყოს მსუბუქი-ატმისფერიდან მუქი-ყავისფერამდე. ყველაფერი დამოკიდებულია კანის თავისებურებებსა და დასვენების ადგილზე. რუჯის ეფექტურობასა და თანაბრად განაწილებაზე საჭიროა იზრუნოთ წინასწარ.***

## საფეხურები

**დალიეთ სტაფილოს წვენი**

რამდენიმე კვირით ადრე, სანამ გაემგზავრებით ზღვაზე, ან ადგილზე სადაც თქვენი სხეული აღმოჩნდება ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების ქვეშ, დაიწყეთ ორგანიზმის კაროტინით გამდიდრება. კაროტინი ასტიმულირებს მელანინის გამოყოფას, რომელიც პასუხისმგებელია კანის ფერის ცვლილებაზე. გააგრძელეთ სტაფილოს ან გარგარის წვენის სმა გარუჯვის დროსაც. ასევე თქვენს კვების რაციონს შემატეთ ხილი და ბოსტნეული, რომლებსაც აქვთ ღია-ყვითელი, მწვანე ან ფორთოხლისფერი შეფერილობა.



**დაიცავით კანი**

დიდი რაოდენობით ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით მიღებული ზიანი, უკვე დიდი ხანის დამტკიცებული ფაქტია. ამიტომაც, მზის დამწვრობის თავიდან ასაცილებლად და მიღებული რუჯის არა მარტო თანაბარობაზე, არამედ გასალამაზებლად და კანისათვის სარგებლის მისაღებად საჭიროა დაცვის მექანიზმების გამოყენება. მაღალი დონის დაცვის მქონე საშუალებები (შპფ 30, 40 ან 50) შეესაბამება ძალიან ღია ფერის კანს, მუქი კანზე წასასმელად შეგიძლიათ გამოიყენოთ უფრო მსუბუქი პრეპარატები - დაცვის დაბალი ხარისხის მქონე ზეთები.

**გააკონტროლეთ მზის გავლენა კანზე**

მზეზე გატარებული დრო პირველი დღეების განმავლობაში შეამცირეთ მინიმუმამდე, დაიწყეთ 15 წუთით. თანდათან გაზარდეთ მზის პროცედურების ხანგრძლივობა, მაგრამ მოერიდეთ მზის მაღალი აქტიურობის პერიოდებს, დღის 11-16 საათებს შორის. თუ თქვენი კანი დაიწვება პირველივე დღეებში, მაშინ მზის ზემოქმედება ახალ კანზე გამოიწვევს არალამაზი პიგმენტური ლაქების გაჩენას, რომლებიც გააფუჭებენ რუჯისგან მიღებულ შთაბეჭდილებას.

**გამოიყენეთ სკრაბები**

მანამდე, სანამ წაისმევდეთ მზისგან დამცავ საშუალებას, მოიშორეთ აქერცლილი და დაზიანებული კანი მსუბუქი საშუალებების დახმარებით. ასეთ შემთხვევაში რუჯი განაწილდება უფრო თანაბრად.

**დაიცავით კისრის, ტუჩების და ცხვირის კანი**

თუ სახის ან მისი ცალკეული ნაწილების შეფერილობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სხეულის ფერისგან, მაშინ ეს დაარღვევს რუჯის ბუნებრივობას. ამიტომაც დაიცავით კისერი, ტუჩები და ცხვირი, რომელთა კანიც ძალიან თხელია და მარტივად იწვება. ასეთ შემთხვევაში რუჯი დაფარავს მთელს თქვენს სხეულს თანაბრად, ხოლო კანის შეფერილობა არ იქნება კონტრასტული.

**გაიწმინდეთ კანი პლაჟზე ყოფნის შემდეგ**

ყოველთვის ჩამოიბანეთ მზისგან დამცავი პრეპარატების, ზღვის მარილის, წყლისა, ქვიშის ნარჩენები სახიდან და სხეულიდან. გამოიყენეთ მწმენდავი კრემები. მოერიდეთ სკრაბებისა და პილინგის პლაჟის შემდეგ გამოყენებას, ასე თქვენ შეიძლება დაიზიანოთ კანი. მზის ზემოქმედების შემდეგ სხეული და სახე აუცილებლად უნდა დაიტენიანოთ სპეციალური შემადგენლობებით, რომლებიც დაარბილებენ ქსოვილებს და დააჩქარებენ რეგენერაციის პროცესს.

www.rogor.ge


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ამ პერიოდში თქვენ მთლიანად დასვენებასა და გართობაზე გადაერთვებით, რაც გარკვეულწილად შეცდომა იქნება, მით უმეტეს, რომ თქვენი ინერტულობა და უპასუხისმგებლობა საქმიანი ურთიერთობებისა და გეგმების დამუხრუჭებას გამოიწვევს. ეს კი ცხადია, გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნით.

**კურო** — შესაძლოა, თქვენი აქტიური ხასიათის საწინააღმდეგოდ, თავი მოწყენილად და დეპრესიულადაც კი იგრძნოთ. ეს თქვენს საქმიან ცხოვრებას უკუპროცესით წარმართავს და გამორიცხული არ არის, მომავალი პოტენციური პროექტებიც ჩააგდოთ. ამიტომ ტემპს მოუმატე.

**ტყუპები** — ერთდროულად მრავალ ფრონტზე მოგიწევთ ბრძოლა. ბევრი მოუგვარებელი პრობლემა თქვენს ჩარევას მოითხოვს და როგორ გაართმევთ ამ ყოველივეს.

**კირჩხიბი** — შესაძლოა, რაღაცეები მოულოდნელად შეცვალოთ, რაც მეტესწილად პოზიტიურ შედეგს მოგცემთ, თუმცა ამ ცვლილებების გამო გართობასა და სიამოვნებაზე იტყვით უარს.

**ლომი** — ამ პერიოდში შეგექმნებათ არა ერთი შესაძლებლობა, მოაგვაროთ ყოფითი პრობლემები. ამისთვის ემოცია უკანა პლანზე უნდა გადასწიოთ.

**ქალწული** — მიმდინარე პერიოდში ფინანსური საკითხების მოგვარებით იქნებით დაკავებული. არ არის გამორიცხული, ახლობლებმა მატერიალური დახმარება გთხოვონ.

**სასწორი** — ამ პერიოდში მოვლენები ისე სწრაფად და ამასთან, მოულოდნელად განვითარდება, რომ შესაძლოა, ამ ყოველივეს ფეხი ვერ აუწყოთ და შეცდომებიც დაუშვათ. ასე რომ, მზად იყავით ნებისმიერი ექსტრემალური მოქმედებისთვის.

**მორიელი** — მოსალოდნელია ადმინისტრაციულ ან სახელმწიფო პირებთან ერთად გარკვეული პროექტების განხილვა და მათთან ერთად ამ პროექტების განხორციელებაზე ზრუნვაც მოგიწიოთ.

**მშვილდოსანი** — მოუხმეთ ორგანიზატორულ შესაძლებლობებს, რადგან თქვენს გარშემო მიმდინარე მოვლენები ქაოტურ სახეს მიიღებს, ეს გაიძულებთ, რაღაც-რაღაცეები გადააფასოთ.

**თხის რქა** — მოგიწევთ ლიდერის როლის შეთავსება და ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. ამას დაემატება თქვენი მხრიდან იმიჯის შეცვლაც. ეს ყოველივე საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს თქვენდამი დადებითად განაწყობს.

**მერწყული** — ენერგიულობა და შემოქმედებითი აღმაფრენა დაგეხმარებათ, წარმატებით დაასრულოთ ადრე წამოწყებული საქმეები და ახალი პროექტების დაგეგმვაზე იზრუნოთ.

**თევზები** — მოგიწევთ ადრე დაწყებული საქმეების დასრულება, თუმცა არ გირჩევთ, მკვეთრ მოქმედებებსა და კატეგორიულ ტონს, ეს კონფლიქტური სიტუაციების ალბათობას ერთი-ორად გაზრდის.

ISSN 2233-3983
9 772233 398001